# სარბიელი

სპორტული გაზეთი სამშაბათი 28 იანვარი 2003 №11 (1782) ფასი 50 თეთრი




# წავიდა!

## ლუის ვან გაალი ბარსელონას არ უშვებს

„ბარსელონა“ — დიდი კლუბი, სრულიად კატალონიის სიამაყე და მილიონთა კერპი. დიადი „ბარსელონა“, რომლის მომავლის განსასაზღვრადაც გუშინ საგანგებო სხდომაზე შეიკრიბა მისი უფროსობა და რომლის სიტყვასაც „ბარსას“ რამდენიმე ათეული მილიონი ქომაგი ელოდა.

ვათავისუფლებთ თუ არა ლუის ვან გაალს — აი, კითხვა რომელზეც პასუხის გასაცემადა შეიყარა ამდენი პატივცემული პირი და კაცმა რომ თქვას, პასუხი ადრევე იყო გაცემული. აკი წინა კვირაშივე ითქვა, ჰოლანდიელს ვიგოში არათუ წაგებას, ფრესაც აღარ ვაპატიებთო.

ამგვარად, წუხანდელი სხდომა წესით ფორმალური ხელის აწევით უნდა დასრულებულიყო, მაგრამ თბილისში ღამე რიჟრაჟისკენ წავიდა, ვან გაალი კი მოხსნილი ჯერაც არ იყო. კი, დირექტორატმა ხელი ასწია და დაადასტურა თავისი პოზიცია, მაგრამ უცაბედად საქმეში ფრიად წონიანი რამ — ფული ჩაერია.

ვითარება ამგვარია: კლუბი ვან გაალს უშვებს და ვან გაალიც ყაბულსაა, ოღონდ კონტრაქტის გაწყვეტისთვის საკომპენსაციოდ ოთხ მილიონ ევროს ითხოვს. ამის მერე კი გაჩაღდა ვაჭრობა, რომლის მსგავსსაც ყოველდღიურად შესწრებიხართ თბილისურ ბაზრობებზე, განსხვავება ოდენ ფულის ოდენობაშია.

— მე 4 მილიონი მეკუთვნის — დაიჟინა ვან გაალმა და მაგიდის მოპირდაპირე მხარეს მსხდომთა უფულობაზე წუწუნით თავმობეზრებულმა შინისკენ გასწია. პრეზიდენტი ხუან გასპარი და კლუბის გენერალური დირექტორი ხავიერ პერეს ფარგუელი დაედევნენ და მოლაპარაკება უკვე ვან გაალის სახლში გაგრძელდა.

როცა თბილისის ცაზე რიჟრაჟმა ბნელს გადასძალა, პერეს ფარგუელი და ხუან გასპარი ისევ ვან გაალის სტუმრები იყვნენ.

ახლა, როცა ამ ამბავს კითხულობთ, „ბარსელონას“ ვარჯიშს შესაძლოა, კარლოს რექსაჩი უტარებს.

# სოსიედადმა დემეტრაძე ჯამარაულს გაუგზავნა

ესპანური პრიმერადივიზიონის ლიდერმა „სოსიედადმა“ ქართველი თავდამსხმელი გიორგი დემეტრაძე ისევ გაანათხოვრა — ამჯერად უკრაინულ დონეცკის „მეტალურგში“, სადაც ერთი ქართველიც, გოჩა ჯამარაული თამაშობს.

დემეტრაძე და „მეტალურგის“ პრეზიდენტი ოლეგ მკრტიჩიანი ერთმანეთს უკვე რამდენჯერმე ესაუბრნენ და პირობებზე შეთანხმდნენ. უკრაინელებს „სოსიედადისთვის“ ჩვენებურის ნათხოვრობის სანაცვლო თანხაც გადაუხდიათ და შეგვიძლიათ ჩათვალოთ, რომ გიორგი დემეტრაძე ზაფხულამდე სწორედ „მეტალურგში“ ითამაშებს, რომელიც ამჟამად ბარსელონის მახლობელ ჟირონაში ემზადება უკრაინის ჩემპიონატის მეორე წრისთვის. დემეტრაძე „მეტალურგს“ დღეს ან ხვალ შეუერთდება.

აქვე გეტყვით, რომ გიორგი დემეტრაძის ნათხოვრობის სურვილი ესპანური პრიმერადივიზიონის „რაიომაც“ გამოთქვა, თუმც ეს კლუბი ვერც ფეხბურთელის, ვერც მისი მფლობელი „სოსიედადის“ მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებდა.

ერთი სიტყვით, ვიდრე დონეცკის „მეტალურგმა“ მწვრთნელის პოსტზე რუმინელ გეორგე ჰაჯისთან მოლაპარაკება გააჯანჯლა, ქართველი თავდამსხმელი გიორგი დემეტრაძე სეზონის ბოლომდე, მაისამდე სათავისოდ დაიგულა.

ძობა ინასარიძე

Australian Open

# შიუტლერი: ფუტლიარი აგასისთვის

## ქალთა ჩოგბურთი უილიამსებისთვის ორმაგი ჩიზბურგერია

ავსტრალიის წლევანდელმა ღია პირველობამ კვლავაც აუტანელი სიცხის თანხლებით ჩაიარა. მწველი სამხრეთული მზით დაბუღულ კორტს ტიტულთა და ქონებათათვის მორკინალმა მეჩოგნეებმა თავიანთი ჯიგარიც უხვად შეუნთეს და მელბურნ პარკში ბრძმედისებრი ალმური დატრიალდა. დაძაბული ორკვირეულის ბოლოს ბრძმედიდან ტიტულები და დოლარები გამოდნა — კაცთა შორის 32 წლის სიმძიმე არად დაიტყო და მასზე გაცილებით ჭაბუკ რაყიფებს კარიერის მერვე სლემტიტული ციმციმ წაჰგვარა ბრძენმა არმენოამერიკელმა ანდრე აგასიმ. ქალთა მხარეზე კი მილეთს შავდა უილიამსთა ზედიზედ მეოთხე შიდადური სლემფინალის ცქერა მოუხდა და ახტაჯანა სერენამ ზედიზედ მეოთხედვე სძლია ვინუსს. ასეთი რამ კი — ანუ მიჯრით ოთხ სლემტურნირზე გაპირველება აქამდე მხოლოდ ოთხ დიად მდედრს მოჰხერხებოდა. ამათგან ერთმა — 46 წლისა და სამი თვის მარტინა ნავრატილოვამ მელბურნში თავისი მორიგი საწყვილო ტიტული ირგუნა და ჩოგბურთის ისტორიაში უხნესი მესლემტიტულე გახდა. ლეგენდარული მარგარეტ კორტის დარად ანი ამ უბერებელ ლესბოსელსაც შეუძლია, უკლებლივ ყველა სლემტიტულით იტრაბახოს — დღემდე ხომ მას სწორედ ავსტრალიის ღია პირველობის შერეულ წყვილებში მოგებული ჯილდო აკლდა


იხილეთ მეცამეტე გვერდი




REUTERS მელბურნიდან

სერენა უილიამსი



ანდრე აგასი

2004 წლის ევროპის ჩემპიონატის X შესარჩევი ჯგუფი

## ჩვენი მეტოქე



# ირლანდია კერის ჩააბარეს

ირლანდია

**გადაწყდა** — ირლანდიის ნაკრებს თბილისში ბრაიან კერი ჩამოუძღვება.

„ვადასტურებ, რომ კერი ნაკრების მწვრთნელად დაინიშნა, კონტრაქტის პირობებზე კი ხვალ ვისაუბრებთ" — განაცხადა გუშინ ფეხბურთის ასოციაციის პრესმდივანმა.

49 წლის ბრაიან კერი ამ პოსტზე წარსულში დიდი ფეხბურთელობის გამო არ დაუნიშნავთ, თუნდაც იმიტომ, რომ სულაც არ ყოფილა დიდი ფეხბურთელი. სამაგიეროდ, გაითვალისწინეს, რომ მან დუბლინის „სენტ პატრიკ ატლეტიკს" 90-იან წლებში ორჯერ გააკეთებინა დუბლი, ირლანდიელ 16-წლამდელებს, შემდეგ კი 18-წლამდელებსაც ევროპის ჩემპიონატის ოქრო მოაგებინა, მსოფლიოს ჭაბუკთა ჩემპიონატზე კი მესამე ადგილზე გავიდა.

**გიორგი დარჯანია**

# კორლალიძეს ჯანისთვის ჯანი არ ეყო

**კვირას** ფეხბურთისგან მივიწყებულ ავჭალურ „სინათლეზე" ბურთი გაგორდა. ერთმანეთის პირისპირ თბილისის „ვიტ ჯორჯია" და საქართველოს ცხრამეტწლამდელთა ნაკრები წარსდგნენ. საკონტროლო მატჩი ორივე გუნდისთვის მეტად საჭირო იყო და საკმაოდ ნაყოფიერიც გამოდგა. ვეტერინარები ეროვნული ჩემპიონატის საგაზაფხულო ეტაპისთვის ემზადებიან და თურქულ შეკრებაზე წასვლამდე პირველად იბურთავეს. ოთარ კორლალიძის შეგირდებს კი 2-7 მაისს იტალიაში ევროპის ჩემპიონატის მეორე შესარჩევი ეტაპი ელით.

ჯანი კარნევალის „ვიტ ჯორჯია" დანაკლისით დაუხვდა მეტოქეს — ჯაბა მუჯირი, დავით ქოქიაშვილი და გიორგი ყიფიანი აკლდა, რომელსაც უცხოური კლუბების ვარიანტები გასჩენია და დიდი შანსია, მალე კლუბი დატოვოს. როგორც გავიგეთ, ყიფიანით რიგის „სკონტო" და სამარის „კრილია სოვეტოვი" დაინტერესებულან.

შეხვედრა „ვიტ ჯორჯიას" საგრძნობი უპირატესობით დაიწყო და ასევე გაგრძელდა. ტერიტორიული უპირატესობა ვეტერინარებმა საგოლე მომენტებშიც ასახეს, თუმც უმეტესობა ვერ გამოიყენეს.

ცხრამეტწლამდელები გამოცდილ მეტოქეს ყინით კი შეეწინააღმდეგნენ, მაგრამ ბევრიც არაფერი გამოუვიდათ. ოთარ კორლალიძის შეგირდები უფრო მოედნის ცენტრში მოიკოჭლებდნენ. ნახევარმცველები ბურთის დაჭერას ვერ ახერხებდნენ და თავდამსხმელები — გიორგი ჭელიძე და ოთარ მარცვალაძე ძირითადად უბურთოდ იყვნენ. ამის გამო მთელი ჯაფა მცველებს აწვებოდათ. სხვათაგან დავით იმედაშვილი, გოჩა ხოჯავა და შოთა კაშია გამოირჩეოდნენ.

ასე გაგრძელდა მთელი პირველი ტაიმი. ამასობაში „ვიტ ჯორჯიამ" რამდენიმე რეალური შანსი გაანიავა. ტაიმის მიწურულს კი გიორგი ფეიქრიშვილს გარჯა ლევან მელქაძემ დაუფასა და ვარდნაში საკმაოდ ლამაზი გოლი გაიტანა.

ეს იყო და ვეტერინარი დავით დოლიძე რატომღაც მსაჯს აუხირდა და რამდენიმე წუთის წინანდელი მომენტის გარჩევა დაუწყო. საბოლოოდ ალექსანდრე მეშკოვმა ფეხბურთელი შეურაცხყოფისათვის გააძევა. დოლიძემაც სათადარიგოთა სკამს მიაშურა, ბუცები გაიხადა და პროტესტის ნიშნად მოედნის შემოღობილს იქეთ მოისროლა...

მეორე ტაიმში მწვრთნელებმა ბლომად ფეხბურთელები შეცვალეს და თამაშმაც მოედნის ცენტრში გადაინაცვლა. საბოლოოდ „ვიტ ჯორჯიამ" 1:0 სძლია ცხრამეტწლამდელთა ნაკრებს, რომელიც მორიგ ამხანაგურ მატჩს 29 იანვარს გორში „დილასთან" გამართავს.

**კახა ზალამბერიძე**

# მდივანმა მეტალურგი შეკრიბა და შეკრებას დაპირდა

**საქართველოს** ეროვნულ ჩემპიონატში გაჭირვებულ კლუბთა ნუსხას მალე, ალბათ, ზესტაფონის „მეტალურგი" მოაკლდება. მთავარმა მწვრთნელმა ზაურ ჩუბინიძემ გუშინ გუნდი შეკრიბა და დღეიდან მზადებას დაიწყებს. მწვრთნელ-ფეხბურთელები ნუგზარ მდივანმაც შეაგულიანა, რომელიც „მეტალურგის" გადარჩენაზე უკვე სერიოზულად დაფიქრებულა. აი, რა გვითხრა გუშინ ნუგზარ მდივანმა:

— გადავწყვიტეთ, გაჭირვებაში ჩავარდნილ კლუბს დავეხმაროთ. ბიჭებს შევხვდი და დავაიმედე. დღეიდან გუნდი ვარჯიშს დაიწყებს. ჩემი ფეხბურთში დაბრუნება ჯერ გადაწყვეტილი არ არის. ამას დაახლოებით ერთ კვირაში გავარკვევთ. თუმც გულით მინდა „მეტალურგმა" კრიზისს თავი დააღწიოს. ამ ეტაპზე მეტის თქმა არ შემიძლია.

„მეტალურგში" მოსალოდნელ სასიკეთო ცვლილებებზე ის ფაქტიც მეტყველებს, რომ რამდენიმე დღის წინ კლუბიდან წასული გიორგი სუხიაშვილი და გიორგი მემარნიშვილი უკან დაბრუნებაზე ფიქრობენ.

— გუნდს სრული შემადგენლობით დღეს შევკრებ და მერე უფრო ზუსტად მეცოდინება წამსვლელ-დამრჩენთა ვინაობა. ჯერჯერობით მხოლოდ ავთანდილ ფოფხაძის ასავალ-დასავალი არ ვიცი. მეკარე ავთანდილ ლაბაძის საკითხიც მალე გაირკვევა — გვითხრა გუშინ „მეტალურგის" თავკაცმა.

ზესტაფონში ჯერ ზაზა ვაჩიბერაძეც არ ჩასულა. ქუთაისელი თავდამსხმელი ახლა მშობლიურ „ტორპედოში" ისინჯება და თუ ეს ვარიანტი არ გამოუვიდა, სავარაუდოდ, „მეტალურგს" დაუბრუნდება.

ზაურ ჩუბინიძის სამწყსოში ერთი სიახლეცაა — გუნდს ბოლნისის „სიონიდან" გამშვებული გენადი კაციაშვილი შეემატა.

**კახა ზალამბერიძე**

## გერმანია

II ბუნდესლიგა. XVIII ტური

**ფრაიბურგი 1:1 ალემანია**

## იტალია

სერია B. XX ტური

**ნაპოლი 1:0 კატანია**

# ლოკომოტივმა დინამოს ტორპედოსთან აჯობა

## გაუშვებენ უკრაინელები ასათიანს რუსეთში?

*თანამეგობრობის თასზე ქუთაისის „ტორპედოს" ფეხბურთელებით ბევრი უცხოური კლუბი დაინტერესდა და შესაძლოა, მალე ტრანსფერებიც გაიჩარხოს, თუმც „ტორპედოს" ხელმძღვანელობა ჯერ არ ჩქარობს. წინადადებები ბევრია, მაგრამ ყველაფერი კარგად უნდა ავწონ-დავწონოთ და მერე გადავწყვიტოთ.*

*გუშინ ქუთაისის „ტორპედოს" ვიცე-პრეზიდენტ დიმიტრი რამიშვილს შევეხმიანეთ*

**— თანამეგობრობის თასზე ქუთაისის „ტორპედოს" თამაშებს მრავალი კლუბის წარმომადგენელი ესწრებოდა. მათი მხრიდან დაინტერესებაც ყოფილა...**

— რა თქმა უნდა. ჩვენი ფეხბურთელებით ბევრი მოიხიბლა და შესაბამისი წინადადებებიც მივიღეთ. ახლა ყველაფერი ჩვენი გადასაწყვეტია.

**— რომელი ფეხბურთელები მოეწონათ?**

— რომან ახალკაცი, ანდრი პოროშინი, მალხაზ ასათიანი... ძირითადად ამ ბიჭებს დაადგეს თვალი.

**— როგორ ფიქრობთ, ეს წინადადებები რეალურია?**

— რა თქმა უნდა, საკმაოდ მისაღები შემოთავაზებებია. უახლოეს ხანებში დეტალურად განვიხილავთ და გადაწყვეტილებასაც მერე მივიღებთ.

**— რომელი კლუბები აქტიურობდნენ?**

— ამას ვერ გეტყვით. ამ ეტაპზე არაფრის დაკონკრეტება არ მსურს.

**— მოსკოვის „ლოკომოტივს" მალხაზ ასათიანის გადაბირება სურსო, მართალია?**

— „ლოკომოტივს" დღესაც უნდა ასათიანის შეძენა, თუმც ჯერჯერობით თავს ვიკავებთ.

**— ასათიანზე კარგა ხანია, თბილისის „დინამოც" „ნადირობს". რომელი უფრო სერიოზული ვარიანტია, „დინამო" თუ „ლოკომოტივი"?**

— ორივე მოწადინებულია ასათიანის გადასაბირებლად.

**— თქვენ რომელს მიანიჭებთ უპირატესობას?**

— ცხადია, მოსკოვის „ლოკომოტივს". დამეთანხმებით, ეს კლუბი უფრო ძლიერია, მაღალი დონის ჩემპიონატში თამაშობს და ჩემპიონთა ლიგაშიც წარმატებულად გამოდის. ვფიქრობ, ფეხბურთელისთვის „ლოკომოტივი" უფრო ხელსაყრელი ვარიანტია.

**— სავარაუდოდ, როდის გაირკვევა ეს საკითხი?**

— სიჩქარე არაფერში გვარგებს. საჭიროა ყველაფერი კარგად გავაანალიზოთ...

**— თუ „ტორპედო" ამ ფეხბურთელებს შეელევა, კლუბი სერიოზულად დასუსტდება და ჩემპიონობისთვის ბრძოლა გაუჭირდება. ალბათ, ამ ტრანსფერების ერთ-ერთი ხელისშემშლელი ფაქტორი ესეც არის...**

— ცხადია, მაგრამ ჩვენ მათ შემცვლელებს ვეძებთ.

**— კერძოდ?**

— ხვალ „ტორპედოს" ორი უკრაინელი ლეგიონერი შეუერთდება.

**— მათ ვინაობას ხომ ვერ გაგვიმხელთ?**

— ჯერჯერობით ამისგან თავს შევიკავებ. მალე ყველაფერს გაიგებთ.

**— რომელი კლუბის ფეხბურთელები არიან?**

— ვერც ამას გეტყვით.

**— მათი შემატება გადაწყვეტილია, თუ სინჯები უნდა გაიარონ?**

— ჯერ სამედიცინო შემოწმებას ჩავუტარებთ, დანარჩენი კი მწვრთნელის გადასაწყვეტია.

**კახა ზალამბერიძე**

# ივო შუშაკს კვიპროსზე აწყენინეს



ივო შუშაკი

**ხორვატულად** ნაწრთობმა „დინამომ" კვიპროსული შეკრება ჩაამთავრა და დღეს თბილისში ბრუნდება — ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე დინამოელებმა ბოლო მატჩი კრივოი როგის „კრივბასთან" ითამაშეს და წააგეს 0:1.

უკრაინელებმა გოლი 32-ე წუთზე გაიტანეს — დავით გვარამაძის კარიდან 25-26 მეტრში ჯარიმა დაინიშნა, კრივბასელებმა დინამოელებს ცოცხალი კედლის აღმართვა არ აცალეს, ისე გაათამაშეს საჯარიმო და კოვალიუკმაც დაგორებული ბურთი ბადეში გაახვია.

როგორც „დინამოს" პრესატაშე ლევან სალუქვაძემ გვითხრა, ჩვენებურებს ძალიან ბევრი საგოლე მომენტი გაუცუდებიათ. რატი ალექსიძემ სულაც 11-მეტრიანი ვერ გამოიყენა, მეკარემ აუღო.

ნამატჩევს შუშაკს უთქვამს, ჩემი ბიჭების მონდომებით, ფიზიკური კონდიციებით და თამაშით კმაყოფილი ვარ, მაგრამ შედეგით და იმით, რომ ფეხბურთელებმა სათანადო კონცენტრაცია ვერ გამოავლინეს, უკმაყოფილოო.

„დინამომ" „კრივბასთან" ასეთი შემადგენლობით ითამაშა: *გვარამაძე (ზოიძე 46); შაშიაშვილი, კაშაკიძე (ხიზანეიშვილი 60), ამისულაშვილი; კარლოსი, სახვაძე, კანდელაკი (კვირკველია 60), ბურდული; ანჩაბაძე (სამხარაძე 60), ალექსიძე, დარასელია (იაშვილი 60).*

დინამოელთაგან მსუბუქი ტრავმები აქვთ ალეკო გოგობერიშვილს, ლადო ახალაიას, გიორგი მიქაძესა და მიხეილ ბობოხიძეს.

შუშაკელებს კიდევ ერთი საკონტროლო მატჩი უნდა ეთამაშათ კვიპროსზე, მაგრამ უამინდობის გამო ეს ვერ მოხერხდა.

„დინამო" იანვარს თბილისში მოილევს და 1 თებერვალს მორიგ უცხოურ შეკრებაზე გაემგზავრება ბოსნიაში.

**დავით თამართჭილაძე**

# ცაკარიას გონსალესს ექილებიან

**ანთალიაში** ამინდი ისევ ჭირვეულობს, მაგრამ ლუის ცაკარიასის „ლოკომოტივი" საკონტროლო მატჩებს მაინც თამაშობს. კვირას რკინიგზელთა მეტოქე უზბეკური „ნოვბაჰორი" იყო. ჩვენებურმა ვიცე-ჩემპიონმა რიგით მეორე ანთალიური თამაშიც ფრედ დაასრულა, თუმც პირველისგან განსხვავებით, გუშინწინ გოლის გაშვებაც მოახერხა და გატანაც.

ცაკარიასმა პირველი ტაიმი ასეთი შემადგენლობით დაიწყო: *ლომაია, ძალაშვილი, ორბელაძე, სალუქვაძე, გ. ონიანი, ლაცაბიძე, ჭიჭველიშვილი, გალიარდო, სირაძე, კილარაშვილი, მუშკუდიანი;* სწორედ ამ თერთმეტეულს გაეპარა პირველ ტაიმში უზბეკური გუნდის კონტრშეტევა და პირველი 45 წუთიც „ნოვბაჰორის" გამარჯვებით დასრულდა.

მეორე ნახევარი ცაკარიასმა ახალი გუნდით დაიწყო: *ივარდავა, კოვინაშვილი, რ. ონიანი, გილაური, სოსელია, ვლასოვი, რუსია, კობახიძე, ძოძუაშვილი, ბურნაძე, მოჩილაძე.* „ლოკომოტივმა" მატჩის დასრულებამდე 7 წუთით ადრე ანგარიშის გაქვითვა მოახერხა. კობახიძის თავით დაგდებულ ბურთს სოსელიამ ძლიერად დაჰკრა და გაიტანა. სოსელიას გატანა მანამდეც შეეძლო, მაგრამ 70-ე წუთზე მეტოქის მეკარემ პენალტი აუღო.



დიეგო გონსალესმა „ლოკომოტივის" მაისურა შესაძლოა აღარც მოირგოს

კვირას არ უთამაშია შუახაზელ გივი კვარაცხელიას, ვისაც ვარჯიშზე მცირე ტრავმა მიუღია და მწვრთნელმა დასვენება ურჩია. ცაკარიასის მატჩისშემდგომი კომენტარი კი შეტევაში არსებულ პრობლემებს შეეხო: „სხვა რგოლში ხარვეზებს ვერ ვხედავ, მზადებაც გეგმის მიხედვით მიდის, მაგრამ აშკარაა, მეგოლე ფორვარდი გვაკლია".

რკინიგზელთა თავკაცს ჯანაშიაზე ხელი ჩაქნეული ჰქონდა, სადღეისოდ კი პერუელი გონსალესისაც არ ეიმედება. მას ანთალიაში ჩასვლა ძალიან დაუგვიანდა და, როგორც კლუბის წარმომადგენლებმა გვითხრეს, სამხრეთამერიკის 20-წლამდელთა ჩემპიონატის მერე იქაურ გუნდებს მასზე თვალი დაუდგამთ.

**მამუკა კვანტალიანი**

# ნემსაძე გოლით დაბრუნდა

## იტკინე ერთი, მოირჩინე ორი

**შარშან ნოემბერში** დაშავებული შოტლანდიური „დანდის“ ქართველი ნახევარმცველი გიორგი ნემსაძე, თითქმის ორთვიანი დასვენების შემდეგ გუნდს ჩემპიონატის მეორე ეტაპისთვის მოსამზადებელ შეკრებაზე ტრინიდადი და ტობაგოში შეუერთდა და გამოჯანმრთელებულმა სრული დატვირთვით განაახლა ვარჯიში. „დანდიმ“ ტობაგოში 10 დღე დაჰყო, ორი ამხანაგური მატჩი ჩაატარა და ჩვენებურიც მწვრთნელმა ჯიმ დაფიმ ორჯერვე შეუცვლელად ათამაშა.

„დანდი“ შოტლანდიაში წინა კვირაში დაბრუნდა და ამ უქმეებზე ქვეყნის თასის მეთექვსმეტედფინალში „პარტიკ თისლის“ ესტუმრა. ქართველების გუნდმა 2:0 მოიგო და თასისთვის ბრძოლას აგრძელებს, ორ თვეს ნამკურნალევმა გიორგი ნემსაძემ კი ჯარიმიდან ისეთი გოლი გაიტანა, „პარტიკის“ მეკარე პირღია დარჩა.

— მეტოქის კარიდან დაახლოებით 20 მეტრში ჯარიმა დაინიშნა. მეკარემ, რა თქმა უნდა, კედელი დააყენა, მე კი დავარტყი. მეკარემ შორეული კუთხისკენ გააკეთა მოძრაობა, ეს შევნიშნე. ბურთი კედელს შემოვავლე და მის საპირისპიროდ, ახლო კუთხეს დავუმიზნე. ლამაზი გოლი გამოვიდა. ბურთი ცხრიანში შევარდა — გვითხრა გიორგი ნემსაძემ, რომელსაც ახლადმოშუშებულმა ტრავმამ თურმე ძველი ტკივილიც დაავიწყა.

— თავს ნორმალურად ვგრძნობ, ბოლომდე გამოვკეთდი და მთელი დატვირთვით ვემზადები. ეგ კი არა, ზოგი ჭირი მარგებელიაო, ახლახან ნამკურნალევმა ფეხმა ერთი წლის წინ დაშავებულ მეორე ფეხსაც არგო და ყრუ ტკივილები, რომელიც აქამდე მაწუხებდა, საერთოდ გამიქრა. ექიმების თქმით, ეს ორთვიანი დასვენების შედეგია.

აი, ასეთი იღბლიანი გამოდგა გიორგი ნემსაძისთვის მოედანზე დაბრუნება, შოტლანდიური პრემიერლიგა კი დღეს მეორე ეტაპს იწყებს.

**კობა ინასარიძე**





გოჩა ჯამარაულის „მეტალურგს“, სავარაუდოდ, გეორგე ჰაჯი ჩაიბარებს



გიორგი ნემსაძემ საგოლედ მოიქნია

# ჰაჯის მოსვლამდე არაფერი იტკინო

## რუმინელის გამწვრთნელებამდე ჯამარაული ესპანეთში გაუშვეს

**საქართველოს ნაკრების** ნახევარმცველ გოჩა ჯამარაულს ლეგენდარულ რუმინელ ფეხბურთელ გეორგე ჰაჯის ახლოს გაცნობის შანსი აქვს.

შესაძლოა, ჯამარაულის და ჰაჯის გზები დონეცკში გადაიკვეთოს. შვეიცარიამოვლილი ქართველი ნახევარმცველი დონეცკის „მეტალურგში“ ბურთაობს. აქამდე ჯამარაულის გუნდს სემიონ ალტმანი წვრთნიდა, მაგრამ მან ამას წინათ გუნდი დატოვა და, ცხადია, დონეცკელებმა ახალი მწვრთნელის ძებნა დაიწყეს, ჰოდა, რუმინეთის ნაკრებში 125 მატჩის ჩამტარებელ ჰაჯის მიადგნენ. „ბალკანელი მარადონა“ მზადაა „მეტალურგს“ უთავკაცოს, ოღონდ ორ მხარეს შორის მოლაპარაკების დასრულებამდე ჯერაც ბევრი წვრილმან-მსხვილმანია შესათანხმებელი. უკრაინელებმა ჰაჯისგან სამწვრთნელო პროცესის სრულყოფილი გეგმა მოითხოვეს.

ხუთშაბათს რუმინელი ოფიციალურად შეხვდება კლუბის ხელმძღვანელობას და ბევრი რამ ამის შემდეგ გადაწყდება. მანამდე უკრაინელებმა გონივრული ნაბიჯი გადადგეს და „მეტალურგი“ საწვრთნელ შეკრებას რომ არ მოსცდენოდა, მთავარი მწვრთნელის მოვალეობის შემსრულებლად ალექსანდრ სევიდოვი დანიშნეს. სევიდოვმა დამხმარეებად ორი სერგეი — იაშჩენკო და ზოლოტნაცკი იხმო და გუშინწინ გუნდი ესპანურ შეკრებაზე წაიყვანა. პირინეებზე „მეტალურგი“ ამხანაგურ მატჩებსაც გამართავს. ახლახან ტრავმამოშუშებული ჯამარაული და მისი თანაგუნდელები დონეცკში 12 თებერვალს დაბრუნდებიან და, შესაძლოა, პირდაპირ ჰაჯისთან მოუხდეთ საქმის დაჭერა.

**პაატა ქვანტალიანი**

# ჯანაშიას თურქული შანსი

## რკინიგზელებმა ზაზას ქოჯაელში მიაგნეს

**დეკემბრიდან** მოყოლებული, მთელი ქართული რკინიგზა რუსი კოლეგებისგან იჯარის წესით გადმობირებულ ფორვარდ ზაზა ჯანაშიას დაეძებს და დღემდე ვერ უპოვია.

გათავისუფლების სერთიფიკატისთვის „ლოკომოტივის“ ხელმძღვანელებთან მოსალაპარაკებლად მოსკოვში წასული ჯანაშია აქაური რკინიგზელებისთვის უკვალოდ დაიკარგა. ლუის ცაკარიასის გუნდმა მხოლოდ იმის გაგება მოახერხა, რომ რუსულ „ლოკომოტივთან“ კონტრაქტგასრულებულ ჩვენებურს იური სიომინმა ხელშეკრულების გაგრძელებაზე უარი უთხრა, ხელში სატრანსფერო ფურცელი მისცა და ოთხივე მხარეს გზა დაულოცა.



ჯანაშიას გაუჩინარება პერუელს დიდად არ უნაღვლია, ცაკარიასს თვალში ისედაც არ მოსდიოდა ურჩი ფეხბურთელი. კლუბის თავკაც აკაკი ჩხაიძეს ხათრი ვერ გაუტეხა და გაზარმაცებულ თავდამსხმელს ერთი შანსიც მისცა — ანთალიაში დაამტკიცოს, გუნდისთვის საჭირო მოთამაშე თუ არისო.

ჯანაშიას ხასიათს კი ჩვენც კარგად ვიცნობთ, თუ ვინმე ან რამე არ მოსწონს, სხვა გზას ეწევა, თანაც თითო შანსი დღემდე არსად დალევია. ჭორად კი დადიოდა, ზაზა მოსკოვში ახალ, სასურველ კლუბს დაეძებსო, მაგრამ ბედისწერამ მაინც ცაკარიასის და ქართული „ლოკომოტივის“ შორიახლოს გარიყა.

ზაზა ანთალიიდან მშობლიურ იზმითში დაბრუნებულ „ქოჯაელის“ თავკაც გიუვენჩ ქურთარს წარუდგინეს, მწვრთნელმა კი კლუბის ვებ-გვერდზე შემდეგი განაცხადა: „საახალსეზონოდ გუნდის შემტევებს იმ 7 თავდამსხმელიდან შევარჩევ, რომლებიც მეტ-ნაკლებად მომწონს და ვაკვირდები. შვიდეულში ქართველი ფორვარდი იმედაძეც ურევია, მაგრამ თავისი წილი შანსი მეორე ქართველს, ზაზა ჯანაშიასაც მიეცემა, იგი სულ ახლახან შემოგვიერთდა“. ქურთარის თქმით, ანთალიიდან მობრუნებულ „ქოჯაელს“ ჯანაშიასთან ერთად ორი სხვა ლეგიონერიც შეუერთდა. ასე რომ, ჩვენებურ შემტევებს, თუ გუნდში მოხვედრა სურთ, დიდი კონკურენციის დაძლევა მართებთ.

**მამუკა ქვანტალიანი**

# თანამეგობრობის თასი. ფინალი

## თარხნიშვილმა მსმენგმ ასწია

### შერიფმა მოლდოვურ დროშას დნესტრისპირული არჩია





მოლდოველები ხარობდნენ, ლევან კორღალიძემ და მისმა „სკონტომ“ კი მეორე ფინალი წააგეს

**სკონტო (ლატვია) 1:2 შერიფი (მოლდოვა)**
**0:1 ტუდორი (1), 1:1 ზემლინსკისი (34), 1:2 ტესტიმიცანუ (90)**

**თარხნიშვილი კორღალიძის** წინაალმდეგ — საქართველოს ჩემპიონის გარეშე გამართულ ესენგეს თასის ფინალურ მატჩს ქართული საზომით მხოლოდ ეს ინტრიგა შერჩა. ტირასპოლის „შერიფი“ მოსკოვის „სპარტაკის“ და კიევის „დინამოს“ შემდეგ მესამე გუნდი გახდა, რომელმაც ესენგეს ჩემპიონობა იზეიმა. საქართველოს ჩემპიონებისგან განსხვავებით, მოლდოვის მოწინავეს ტურნირში მხოლოდ ორჯერ მონაწილეობა ეყო ამისთვის. „შერიფმა“ საპრიზო 100 ათასის დიდი ნაწილიც დაისაკუთრა და თავისი ფეხბურთელებით რუსული პრემიერლიგის არაერთი ბინადარი დააინტერესა.

ქართველებმა გადამწყვეტ მატჩში შეუცვლელად ითამაშეს. თარხნიშვილიც და კორღალიძეც გამორჩეულნი იყვნენ თავიანთ გუნდებში. სკონტოელი ლევანი თითქმის ყველა სტანდარტულ მდგომარეობას ასრულებდა, ფლანგზეც ეფექტური იყო, პასებიც უხვად არიგა და ერთიორჯერ თავადაც ჰქონდა საგოლე შანსი. შერიფელ ვაჟას კი საგულდაგულოდ ჰქონდა გადაკეტილი დაცვის ცენტრალური ნაწილი. ამიტომაც იყო, რიგელები ფლანგებიდან რომ ცდილობდნენ შეტევების წარმართვას, თუმც ამით ბევრიც რომ ვერ იხეირეს, ანგარიშიდანაც კარგად ჩანს. ცოტათი უცნაურია, მაგრამ ფაქტია, კარში პირველი და ბოლო დარტყმები გოლებით დასრულდა და სწორედ ამან განაპირობა „შერიფის“ გამარჯვება. 30 წამი იყო ივანოვის სასტარტო ჩასტვენიდან გასული, ტუდორმა საგოლედ რომ ჰკრა და დამთავრებამდე 30-წამითვე ადრე გამარჯვებისა მოიქნია ტესტიმიცანუმ.

საჩემპიონო თასი ვაჟა თარხნიშვილმა ჩაიბარა — ქართველი „შერიფის“ სტაჟიანი კაპიტანია. მერე კი ტურნირის ორგანიზატორები მცირე საერთაშორისო სკანდალსაც ვერ ასცდნენ — მოზეიმე შერიფელებმა მოლდოვის დროშის ნაცვლად დამოუკიდებლობის მოსურნე დნესტრისპირეთის დროშით შემოირბინეს მოსკოვური ხალიჩა.

**პაატა ქვანტალიანი**

## ესპანეთი

### პრიმერადივიზიონი. XX ტური

### ატლეტიკო 1:2 სოსიედადი

0:1 ტაიფუნი (46), 1:1 ლუის გარსია (48), 1:2 კოვაჩევიჩი (62)
*კორეამ ვერ გაიტანა პენალტი (32, მეკარე)*
ატლეტიკო: ბურგოსი, კონტრა, კოლომბინი, სანტი, სერხი, ალბერტინი, ემერსონი, ლუის გარსია, კორეა (ხორხე 68), ფ. ტორესი (მოვილია 77), ხოსე მარი
მწვრთნელი: ლუის არაგონესი
სოსიედადი: ვესტერფელდი, კვარმე, არანსაბალი, შურერი, ლოპეს რეკარტე, ხავი ალონსო, ხაურეგი (არანბურუ 46), ტაიფუნი, დე პედრო (ხოხლოვი 77), კოვაჩევიჩი (დე პაულა 87), ნიჰათი
მწვრთნელი: რეინალდ დენიო
გაფრთხილება: კვარმე, კონტრა, ალბერტინი, ხოსე მარი
მსაჯი: პერეს ბურული
45 000 მაყურებელი

### ბილბაო 1:1 რეალი

0:1 რონალდო (57), 1:1 დელ ორნო (69)
ბილბაო: არანსუბია, ა. კარანკა, ოსკარ ვალესი, ლაკრუსი, იესტე (ესკერო 80), ხავი გონსალესი, ალკისა, დელ ორნო, გურპეგი (ტიკო 64), ხ. ეჩებერია (არიაგა 87), ურსაისი
მწვრთნელი: იუპ ჰაინკესი
რეალი: კასილიასი, სალგადო, იერო, პავონი, რობერტო კარლოსი, ფიგუ, მაკელელე, ფ. კონსეისაო, ზიდანი, რაული, რონალდო
მწვრთნელი: ვისენტე დელ ბოსკე
გაფრთხილება: რობერტო კარლოსი, სალგადო, ლაკრუსი, გურპეგი, იერო, ხავი გონსალესი, კარანკა, ფიგუ
მსაჯი: უნდიანო მალენკო
38 000 მაყურებელი

### ვალენსია 1:0 სევილია

1:0 აიმარი (33)
ვალენსია: პალოპი, პელეგრინო, ფ. აურელიო, აიალა, გარიდო, ალბელდა, ბარახა, რუფეტე (რეველიერი 82), აიმარი, კარეუ (მისტა 69), ვისენტე (კარბონი 64)
მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი
სევილია: ნოტარიო, ხავი ნავარო, დ. კასტედო, პაბლო ალფარო, ნიეგუსი (ვ. სალასი 46), ხ. რედონდო, მარკოს ვალესი, სემვისი, ტორადო (გალიარდო 52), ტოედტლი (ანტონიტო 74), არტეაგა
მწვრთნელი: ხოაკინ კაპაროსი
გაფრთხილება: აიალა, სემვისი, ალბელდა, კასტედო
მსაჯი: ტელიეს სანჩესი
45 000 მაყურებელი

### ესპანიოლი 3:1 დეპორტივო

0:1 მაკაი (3), 1:1 სოლდევილა (8), 2:1 როხერი (21), 3:1 მორალესი (27)
ესპანიოლი: ტონი, დ. გარსია, ლოპო, სოლდევილა, ამაია, დომორო, მორალესი, როხერი (ალექს ფერნანდესი 64), მაქსი (ველამასანი 80), მილოშევიჩი, ტამუდო
მწვრთნელი: ხავიერ კლემენტე
დეპორტივო: ხუანმი, რომერო, სეზარი, დონატო, ექტორი, მაურო სილვა, ფრანი (ამავისკა 46), სერხიო, ვიქტორი (დუშერი 67), მაკაი, ლუკე (ტრისტანი 26)
მწვრთნელი: ხავიერ ირურეტა
გაფრთხილება: ლოპო, სეზარი
მსაჯი: მეხუტო გონსალესი
27 200 მაყურებელი

### სელტა 2:0 ბარსელონა

1:0 ხესული (47), 2:0 სილვინიო (72)
*გუსტავო ლოპესმა ვერ გაიტანა პენალტი (33, მეკარე)*
სელტა: კავალიერო, ველასკო, სილვინიო, კასერესი, ბერიზო, ხოსე იგნასიო (ვაგნერი 46), ედუ, ლუქსენი, გუსტავო ლოპესი (მაკკარტი 87), ხესული, კატანია (მოსტოვოი 61)
მწვრთნელი: მიგელ ანხელ ლოტინა
ბარსელონა: ბონანო, რაიციგერი, პუიოლი, ფ. დე ბური, ხავი, კოკუ, მენდიეტა (როჩემბაკი 64), ინიესტა, ხავიოლა, კლუივერტი, ოვერმარსი
მწვრთნელი: ლუის ვან გაალი
გაფრთხილება: ხოსე იგნასიო, კოკუ, ინიესტა, მაკკარტი
მსაჯი: ტურიენსო ალვარესი
23 000 მაყურებელი

# შენ, ერთადერთი!
## წააგებს, არ წააგებს, წააგებს... მოიგო


REUTERS

სელტა — ბარსელონა. პატრიკ კლუივერტი ყველაზე მაღლა კი ახტა, მაგრამ „ბარსელონა“ ფსკერისკენ ეშვება

### ბეტისი 2:1 ვილიარეალი

1:0, 2:0 დენილსონი (16, 77), 2:1 არანდა (83)
ბეტისი: პრატსი, ლუის ფერნანდესი (ფლორესი 75), ტაისი, მ. ასუნსაო, ფერნანდო, კაპი, არზუ, მელი, დენილსონი (ხესარი 88), ხოაკინი, ჟოაუ ტომასი (კანიასი 61)
მწვრთნელი: ვიქტორ ფერნანდესი
ვილიარეალი: რეინა, არუაბარენა, გალვანი, კიკე ალვარესი, ბალესტეროსი, ხორხე ლოპესი (არანდა 73), ხენა (ხოსიკო 46), ფარინოსი, ვიქტორი (კალეხა 61), პალერმო, გიარე
მწვრთნელი: ბენიტო ფლორო
გაფრთხილება: ლუის ფერნანდესი, გალვანი, არუაბარენა, ტაისი, ხოსიკო, ასუნსაო, ფერნანდო
მსაჯი: იტურალდე გონსალესი
40 000 მაყურებელი

### მალაგა 1:0 მალიორკა

1:0 მუსამპა (64)
მალაგა: კონტრერასი, როტეტა, ვალკარსე, ფ. სანსი, ხოსემი (ბრავო 29), რომერო, მუსამპა, მანუ, მიგელ ანხელი (სანდრო 46), დელი ვალდესი (კანაბალი 75), დარიო სილვა
მწვრთნელი: ხოაკინ პეირო ლუკასი
მალიორკა: ლეო ფრანკო, ფ. ნინიო, კორტესი, პოლი, ლუსენმოფი, იბაგასა (პაკო სოლერი 88), ნოვო (კარლოსი 71), რიერა (მიგელ სოლერი 37), მარკოსი, ეტოო, პანდიანი
მწვრთნელი: გრეგორიო მანსანო
გაფრთხილება: დელი ვალდესი, მარკოსი, დარიო სილვა, პანდიანი, კანაბალი, კორტესი, კონტრერასი
გაძევება: პოლი (30)
მსაჯი: პერეს ლასა
24 000 მაყურებელი

### ვალიადოლიდი 1:3 ალავესი

0:1, 0:2 რუბენ ნავარო (20, 76), 1:2 ჩირიჩი (87), 1:3 ივან ალონსო (90)
ვალიადოლიდი: ბიზარი, მარკოსი, გასპარი, მარიო, ტორეს გომესი, კოლსა (ს. ჩირიჩი 60), ჩემა, ხესუსი, ფერნანდო სალესი, აგანსო (პაჩონი 73), ოსკარი
მწვრთნელი: პეპე მორე
ალავესი: დუტრუელი, კარმონა, ტელიესი, ლორენსი, აბელარდო, ედუ ალონსო, ტურიელი (ნაჩო 57), ლ. ელგერა, რუბენ ნავარო (ივან ალონსო 87), მაგნო (ჯელი 71), კრუიფი
მწვრთნელი: ხოსე მანუელ ესნალ პარდო
გაფრთხილება: ოსკარი, ტელიესი, ელგერა, ტურიელი, კარმონა, კრუიფი, ბიზარი
მსაჯი: მედინა კანტალეხო
11 750 მაყურებელი

### ოსასუნა 3:1 რასინგი

1:0 ივან როსადო (12), 1:1 ხუანმა (37), 2:1 რივერო (45), 3:1 ალფრედო (52)
ოსასუნა: სანსოლი, იანგუსი, მატეო, კრუზაგა, რივერო (მუნიოსი 70), ანტონიო ლოპესი, ალფრედო, პუნიალი, მოა (განსედო 74), ივან როსადო, ალოიზი (მორალესი 77)
მწვრთნელი: ხავიერ აგირე
რასინგი: ლემენსი, სიეტესი, ნაფტი, მორა, ხუანმა, პაბლო ლაგო (დიეგო ალონსო 58), მატეო, პინედა, ბოდიპო (ხ. გერერო 58), რეგუერო (ჩიკი 71), მუნიტისი
მწვრთნელი: ჩუჩი კოსი
გაფრთხილება: პუნიალი, სიეტესი
მსაჯი: პერეს პერესი
14 990 მაყურებელი

### უელვა 2:1 რაიო ვალეკანო

0:1 დე კინტანა (2), 1:1 ხისკო (58), 2:1 ლორენი (84)
უელვა: ლუკა ესპინოლა, მერინო (ბენიტესი 32), ხავი გარსია, არპონი (რომერო 82), იკერ ბეგონია, კუბილიო (ხისკო 17), ლორენი, ვიკეირა, კამაჩო, რაულ მოლინა
მწვრთნელი: ლუკას ალკარასი
რაიო ვალეკანო: სეგურა, დე კინტანა, გრაფი, ონოპკო, მარიო, მიჩელი, კვედო (ასკოიტია 65), ელდერი (მორა 72), კამუნიასი (ხულიო ალვარესი 78), პერაგონი, ბოლიჩი
მწვრთნელი: გუსტავო ბენიტესი
გაფრთხილება: იკერ ბეგონია, გრაფი, რაულ მოლინა, ბოლიჩი
მსაჯი: კარმონა მენდესი
16 000 მაყურებელი

**ბარსელონას** „ესპანიოლი“ გასავარდნთა ზონაშია, მაგრამ ისეც შეიძლება მოხდეს, მომდევნო ტურის შემდეგ დიდ თანაქალაქელს გაუთანაბრდეს. ამ რთული წინადადებით კი იმის თქმა გვსურდა, რომ „ბარსელონას“ საქმე სულ უფრო და უფრო უკან მიდის. კვირასვე, „სელტასთან“ წაგების მერე, კატალონიელთა ვიცე-პრეზიდენტმა ფრანსისკო კლოსამ ლუის ვან გაალის გადაყენების მომლოდინე ხალხს აუწყა, ორშაბათამდე მოგიწევთ მოცდა, ყველაფერი ერთხელაც უნდა ავწონ-დავწონოთო, ხოლო გუშინ რა გადაწყდა, მერე მოგახსენებთ. აქ კი ორიოდე სიტყვით უშუალოდ მატჩზე მოგახსენებთ: ვიგოელებს უფრო ადრეც შეეძლოთ ანგარიშის გახსნა, მაგრამ რობერტო ბონანომ გუსტავო ლოპესს პენალტი აუღო. თუმცაღა, გალისიელთა ერთ-ერთი მომდევნო იერიში მაინც შედეგიანად დასრულდა — ხესულიმ გაიტანა — რის მერეც გზამოჭრილმა „ბარსელონამ“ დაცვაში დასაშვებზე მეტად მოადუნა ყურადღება და სილვინიოსგან მეორე ბურთი მიიღო.

ლოპესის წახდენილი პენალტი ვახსენეთ და მადრიდელი ფერნანდო კორეას გაფუჭებულს ბევრად მეტი მნიშვნელობა ჰქონდა — ამ არაზუსტმა დარტყმამ „რეალ სოსიედადს“ მორიგი გამარჯვება მოუტანა.

მადრიდის „ატლეტიკოს“ დამარცხება დაწინაურებული შვიდეულიდან ვერავის მოეხერხებინა — ათლეტებმა „ბეტისს“, „დეპორტივოს“ და „მალიორკას“ მოუგეს, „რეალს“, „ვალენსიას“ და „სელტას“ კი ფრედ ეთამაშნენ. ახლაც, საწყისი 20 წუთის მერე „სოსიედადის“ გამარჯვებას ძნელად თუ ვინმე წარმოიდგენდა. ამ მონაკვეთში „ატლეტიკომ“ ბრწყინვალე ფეხბურთი ითამაშა, დემეტრიო ალბერტინიმ ძელს გაარტყა, ბასკ ლოპეს რეკარტეს ბურთის კარის ხაზიდან გამოტანა მოუხდა, მაგრამ გოლი არ ჩანდა. 32-ე წუთზე კი კვარმემ საჯარიმოში ფერნანდო ტორესი დასცა და სტუმართა კარში პენალტი დაინიშნა. როგორც ზემოთ მოგახსენეთ, სანდერ ვესტერფელდმა კორეას აუღო. აქ უპრიანია, წუთით შევჩერდეთ და „სოსიედადის“ ჰოლანდიელ მეკარეზე ორიოდე სიტყვა ვთქვათ.

წინა სეზონის ბოლოდან ამ სეზონის ბოლო ტურებამდე ვესტერფელდი საიმედოობით არ გამოირჩეოდა, ზშირად ძალიან იოლ ბურთებს უშვებდა. ახლა კი, რა ხდება: გუნდს ცოტა არ იყოს, დაღლა დაეტყო, მეკარე კი სასწაულების ჩადენას შეეჩვია — ჰოლანდიელმა წინა ტურშიც აიღო პენალტი, ანუ ბოლო ორ შეხვედრაში გუნდს ოთხი ქულით შეეწია.

ადრეც გვითქვამს, სანსებასტიანელები მეორე ტაიმში უკეთესად თამაშობენ და ახლაც ასე მოხდა. ხავი დე პედროს ფლანგურ ჩაწოდებას საჯარიმო მოედნის ცენტრში ტაიფუნი შეეგება და კარში ისე დაარტყა, ხელი არავის შეუშლია.

ლუის გარსიამ ორიოდ წუთში გაათანაბრა, მაგრამ სტუმრებმა მაინც იყოჩაღეს — რეკარტემ სერხის დაასწრო და ზედ აუტის ხაზიდან საჯარიმოში ჩაჰკიდა, იქ კი დარკო კოვაჩევიჩმა თავურით გამარჯვებისა გაიტანა.

საინტერესოა, რომ „სოსიედადი“ 54-ედ ესტუმრა „ვისენტე კალდერონს“ და ოდენ მეხუთედ გაიმარჯვა, ხოლო ეს წაგება „ატლეტიკოსთვის“ ზედიზედ მეორე იყო — შუა კვირაში გუნდი სამეფო თასზე დამარცხდა „უელვასთან“.

ერთადერთი მეტ-ნაკლებად სასიამოვნო ამბავი, რაც „ატლეტიკომ“ ამ წაგებით მოიმკო, ის გახლავთ, რომ საძულველი „რეალი“ ლიდერს უკვე ხუთი ქულით ჩამორჩება. რეალელები ბილბაოში მხოლოდ ერთ ქულას დასჯერდნენ. არადა, მადრიდელებს ბლომად კარგი მომენტები ჰქონდათ, თუმცა მათგან ერთი აქციეს გოლად — რონალდომ რაულის პასი შეირგო. გაცუდებული მომენტებისთვის კი დაისაჯნენ — ასიერ დელ ორნომ რობერტო ტიკოს ასისტენტობით გაათანაბრა.

ტურის სხვა მატჩებიდან აღსანიშნია „დეპორტივოს“ მარცხი მაჩანჩალა „ესპანიოლთან“. არადა, გალისიელები უკვე მე-3 წუთზე დაწინაურდნენ. „მალაგამ“, როგორც იქნა, ზედიზედ ცხრა მოუგებელი თამაშის მერე სამი ქულა მიითვალა, ხოლო „რაიო ვალეკანოს“ ახალმა მწვრთნელმა, პარაგვაელმა გუსტავო ბენიტესმა პირველი მატჩი წააგო.

და ბოლოს, პრიმერადივიზიონში პირველი წრე დასრულდა და ერთადერთი გუნდი — მოგეხსენებათ, რომელიც — დაუმარცხებელია. ესპანეთის ჩემპიონატების ისტორიაში ეს მეცხრე ასეთი შემთხვევაა.

**გიორგი დარჯანია**


REUTERS

ატლეტიკო — სოსიედადი. სანსებასტიანელები პირველად თურქმა ტაიფუნმა დააწინაურა

## სეგუნდადივიზიონი

### XX ტური

**ლას პალმასი 1:0 ტენერიფე**
1:0 პედრო ვეგა (67პ)

**ხეტაფე 1:0 სალამანკა**
1:0 ალბერტო (79)

**სარაგოსა 0:0 პოლი ეხიდო**

**ფეროლი 0:3 მურსია**
0:1 რიჩი (3), 0:2 ისმაელი (28), 0:3 ხაიმე (76)

**ბადახოსი 0:1 ხერესი**
0:1 კალე (29პ)

**ტერასა 0:0 სპორტინგი**

**ოვიედო 1:0 კორდობა**
1:0 გენი (56)

**ნუმანსია 1:0 ელჩე**
1:0 როსუ (70)

**ალმერია 1:1 ალბასეტე**
0:1 ხესუს პერერა (79), 1:1 ოლივარესი (90)

**კომპოსტელა 3:1 ლევანტე**
1:0, 2:0 კაბარკოსი (19, 23), 3:0 მაიკელი (74), 3:1 ფელიქსი (84)

**ეიბარი 0:1 ლეგანესი**
0:1 ვილია (15)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მურსია | 20 | 10 | 6 | 4 | 27:8 | 36 |
| სარაგოსა | 20 | 9 | 8 | 3 | 22:16 | 35 |
| ლევანტე | 20 | 8 | 9 | 3 | 30:21 | 33 |
| ალბასეტე | 20 | 7 | 11 | 2 | 25:16 | 32 |
| ხერესი | 20 | 8 | 5 | 7 | 21:20 | 29 |
| ელჩე | 20 | 6 | 9 | 5 | 23:15 | 27 |
| ლას პალმასი | 20 | 6 | 9 | 5 | 23:22 | 27 |
| ტერასა | 20 | 5 | 12 | 3 | 20:19 | 27 |
| ეხიდო | 20 | 6 | 9 | 5 | 18:18 | 27 |
| სპორტინგი | 20 | 6 | 9 | 5 | 16:17 | 27 |
| სალამანკა | 20 | 6 | 8 | 6 | 12:11 | 26 |
| ალმერია | 20 | 6 | 8 | 6 | 23:30 | 26 |
| ლეგანესი | 20 | 5 | 10 | 5 | 21:20 | 25 |
| კომპოსტელა | 20 | 5 | 9 | 6 | 22:20 | 24 |
| ხეტაფე | 20 | 6 | 6 | 8 | 27:27 | 24 |
| ფეროლი | 20 | 5 | 8 | 7 | 17:24 | 23 |
| ტენერიფე | 20 | 3 | 13 | 4 | 18:19 | 22 |
| ნუმანსია | 20 | 5 | 7 | 8 | 18:23 | 22 |
| ეიბარი | 20 | 5 | 7 | 8 | 14:19 | 22 |
| ბადახოსი | 20 | 6 | 4 | 10 | 13:26 | 22 |
| ოვიედო | 20 | 4 | 6 | 10 | 18:28 | 18 |
| კორდობა | 20 | 2 | 9 | 9 | 10:19 | 15 |

| | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 სოსიედადი | 19 | 12 | 7 | 0 | 36:21 | 15 | 43 | 9 | 6 | 3 | 0 | 19:12 | 7 | 21 | 10 | 6 | 4 | 0 | 17:9 | 8 | 22 |
| 2 რეალი | 19 | 10 | 8 | 1 | 40:19 | 21 | 38 | 9 | 6 | 3 | 0 | 25:9 | 16 | 21 | 10 | 4 | 5 | 1 | 15:10 | 5 | 17 |
| 3 ვალენსია | 19 | 10 | 5 | 4 | 32:16 | 16 | 35 | 10 | 6 | 2 | 2 | 19:6 | 13 | 20 | 9 | 4 | 3 | 2 | 13:10 | 3 | 15 |
| 4 ბეტისი | 19 | 9 | 6 | 4 | 30:21 | 9 | 33 | 10 | 6 | 2 | 2 | 15:7 | 8 | 20 | 9 | 3 | 4 | 2 | 15:14 | 1 | 13 |
| 5 დეპორტივო | 19 | 9 | 5 | 5 | 27:24 | 3 | 32 | 9 | 5 | 2 | 2 | 14:9 | 5 | 17 | 10 | 4 | 3 | 3 | 13:15 | -2 | 15 |
| 6 სელტა | 19 | 9 | 3 | 7 | 22:18 | 4 | 30 | 10 | 5 | 3 | 2 | 13:7 | 6 | 18 | 9 | 4 | 0 | 5 | 9:11 | -2 | 12 |
| 7 მალიორკა | 19 | 8 | 3 | 8 | 24:32 | -8 | 27 | 9 | 3 | 2 | 4 | 10:18 | -8 | 11 | 10 | 5 | 1 | 4 | 14:14 | 0 | 16 |
| 8 ატლეტიკო | 19 | 6 | 7 | 6 | 29:26 | 3 | 25 | 10 | 4 | 4 | 2 | 15:11 | 4 | 16 | 9 | 2 | 3 | 4 | 14:15 | -1 | 9 |
| 9 მალაგა | 19 | 5 | 9 | 5 | 23:24 | -1 | 24 | 10 | 4 | 4 | 2 | 15:12 | 3 | 16 | 9 | 1 | 5 | 3 | 8:12 | -4 | 8 |
| 10 ვალიადოლიდი | 19 | 7 | 3 | 9 | 19:22 | -3 | 24 | 9 | 4 | 2 | 3 | 11:10 | 1 | 14 | 10 | 3 | 1 | 6 | 8:12 | -4 | 10 |
| 11 ალავესი | 19 | 6 | 6 | 7 | 25:30 | -5 | 24 | 9 | 4 | 3 | 2 | 12:7 | 5 | 15 | 10 | 2 | 3 | 5 | 13:23 | -10 | 9 |
| 12 ბარსელონა | 19 | 6 | 5 | 8 | 27:25 | 2 | 23 | 9 | 4 | 3 | 2 | 18:12 | 6 | 15 | 10 | 2 | 2 | 6 | 9:13 | -4 | 8 |
| 13 ოსასუნა | 19 | 6 | 5 | 8 | 22:25 | -3 | 23 | 10 | 5 | 1 | 4 | 12:10 | 2 | 16 | 9 | 1 | 4 | 4 | 10:15 | -5 | 7 |
| 14 სევილია | 19 | 5 | 7 | 7 | 15:15 | 0 | 22 | 9 | 3 | 4 | 2 | 9:6 | 3 | 13 | 10 | 2 | 3 | 5 | 6:9 | -3 | 9 |
| 15 ვილიარეალი | 19 | 5 | 7 | 7 | 19:22 | -3 | 22 | 9 | 4 | 2 | 3 | 11:10 | 1 | 14 | 10 | 1 | 5 | 4 | 8:12 | -4 | 8 |
| 16 ბილბაო | 19 | 6 | 4 | 9 | 27:35 | -8 | 22 | 10 | 4 | 2 | 4 | 13:13 | 0 | 14 | 9 | 2 | 2 | 5 | 14:22 | -8 | 8 |
| 17 რასინგი | 19 | 6 | 2 | 11 | 21:27 | -6 | 20 | 9 | 3 | 2 | 4 | 12:10 | 2 | 11 | 10 | 3 | 0 | 7 | 9:17 | -8 | 9 |
| 18 ესპანიოლი | 19 | 6 | 2 | 11 | 22:29 | -7 | 20 | 10 | 5 | 1 | 4 | 16:12 | 4 | 16 | 9 | 1 | 1 | 7 | 6:17 | -11 | 4 |
| 19 რაიო ვალეკანო | 19 | 5 | 3 | 11 | 19:28 | -9 | 18 | 10 | 2 | 3 | 5 | 12:14 | -2 | 9 | 9 | 3 | 0 | 6 | 7:14 | -7 | 9 |
| 20 უელვა | 19 | 3 | 5 | 11 | 16:36 | -20 | 14 | 10 | 2 | 3 | 5 | 11:18 | -7 | 9 | 9 | 1 | 2 | 6 | 5:18 | -13 | 5 |

### XX ტური

2 თებერვალი

| | | |
|---|---|---|
| მალაგა | — | უელვა |
| ვალენსია | — | მალიორკა |
| სელტა | — | სევილია |
| ატლეტიკო | — | ბარსელონა |
| ბილბაო | — | სოსიედადი |
| ესპანიოლი | — | რეალი |
| ბეტისი | — | დეპორტივო |
| ოსასუნა | — | ვილიარეალი |
| ვალიადოლიდი | — | რასინგი |
| ალავესი | — | რაიო ვალეკანო |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| მაკაი (დეპორტივო) | 13 |
| კლუივერტი (ბარსელონა) | 11 |
| კოვაჩევიჩი (სოსიედადი) | 11 |
| ნიჰათი (სოსიედადი) | 10 |
| პანდიანი (მალიორკა) | 10 |
| ფ. ტორესი (ატლეტიკო) | 9 |
| ურსაისი (ბილბაო) | 9 |

# ჯერ გასულელდნენ, მერე გაუშვეს

## გერმანია

### ბუნდესლიგა XVIII ტური

**ბაიერნი 3:0 მიონხენგლადბახი**

1:0 ჰარგრივსი (25), 2:0 ციკლერი (85), 3:0 ელბერი (89)
ბაიერნი: კანი, ჰარგრივსი (შვაინშტაიგერი 88), რ. კოვაჩი, თ. ლინკე, ლიზარაზუ, იერემისი, ბალაკი, შოლი (კუფური 80), ზე რობერტო, ელბერი, კ. პიზარო (ციკლერი 80)
მწვრთნელი: ოტმარ ჰიცფელდი
მიონხენგლადბახი: შტილი, ებერლი, კორელი (ემბერსი 71), პლეტში, ვიტეჩეკი, ჰაუსვაილერი, დემო (ვან ლენტი 63), შტრასერი, აიდოო, კორზინევი (კუნცელი 79), სკუბო
მწვრთნელი: ჰანს მაიერი
გაფრთხილება: ბალაკი, ლიზარაზუ, ებერლი
მსაჯი: კირხერი
40 000 მაყურებელი

**ჰერტა 2:1 დორტმუნდი**

1:0 დარდაი (69), 1:1 კოლერი (80), 2:1 მარსელინიო (90)
ჰერტა: კირალი, ფრიდრიხი, რემერი, სიმუნიჩი, ჰარტმანი, დარდაი, კარვანი, მარსელინიო, გოორი, ალვეში (მარქსი 90), ლუიზაო (პრეეცი 72)
მწვრთნელი: ჰუუბ სტევენსი
დორტმუნდი: ლემანი, ვიორნსი, მეცელდერი, ევანილსონი, შ. როიტერი, ფრინგსი (კელი 79), დედე (ამოროზო 72), ჰაინრიხი, როსიცკი, კოლერი, ევერტონი
მწვრთნელი: მათიას ზამერი
გაფრთხილება: დარდაი, ჰარტმანი, როსიცკი
მსაჯი: ფანდელი
50 547 მაყურებელი

**ვერდერი 2:2 არმინია**

1:0 სკრიპნიკი (3), 1:1 დიაბანგი (12), 2:1 აილტონი (36პ), 2:2 ჩა (39)
ვერდერი: ბორელი, ვერლაატი, ფ. ბაუმანი, სტალტერი, სკრიპნიკი, ფ. ერნსტი, ბანოვიჩი, ბოროვსკი (ლისტეში 60), მიკუ, აილტონი, დაუნი (ხარისტიასი 71)
მწვრთნელი: თომას შაფი
არმინია: ჰაინი, რაუვე, რაინჰარდტი, ჰანსენი, კაუფი, დაბროვსკი, დამაიერი, ბრინკმანი (ბოგდანოვიჩი 87), ვატა (ჰაინცი 65), ჩა (პორკელიო 78), დიაბანგი
მწვრთნელი: ბენო მიოლმანი
გაფრთხილება: დაუნი, ვერლაატი, ბაუმანი, ჰაინი, კაუფი
მსაჯი: მერკი
29 604 მაყურებელი

**ვოლფსბურგი 1:2 შალკე**

0:1 კმეტში (47), 0:2 ვარელა (50), 1:2 მარიჩი (70)
ვოლფსბურგი: რაიტმაიერი, რიტერი, მადსენი, ფრანცი, რაუ (პრეგერი 55), კარჰანი, ტიამი (დ. მუნტიანუ 79), ს. მიულერი (კვატროკი 84), ეფენბერგი, ტ. მარიჩი, გ. პეტროვი
მწვრთნელი: ვოლფგანგ ვოლფი
შალკე: ფ. როსტი, უდე კამპუისი, ჰაიტო, ვან ჰოოგდალემი, ვან კერკჰოვენი, კმეტში, პოულსენი, გ. ვარელა (ასამოა 74), ბიომე (მატელანი 90), სანდი, ე. მპენზა (აგალი 79)
მწვრთნელი: ფრანკ ნოიბარტი
გაფრთხილება: ფრანცი, პეტროვი, პრეგერი, რიტერი, სანდი, ვარელა
მსაჯი: კოოპი
26 127 მაყურებელი

**კაიზერსლაუტერნი 1:2 შტუტგარტი**

0:1 კურანი (29), 1:1 ლოკვენცი (34), 1:2 ბალაკოვი (71)
კაიზერსლაუტერნი: ვიზე, ჰ. კოხი (ტ. კლოსი 74), ჰ. რამზი, კნავსი, ჩატო, სფორცა, გრამოცისი, ბასლერი (მიფსუდი 76), აჯიჩი (რიდლი 56), კლოზე, ლოკვენცი
მწვრთნელი: ერიკ გერეტსი
შტუტგარტი: ჰილდებრანდი, ჰინკელი, მეირა, დანგელმაირი, ვენცელი, სოლდო, გლები, მაისნერი (კარნელი 69), ბალაკოვი (მუტცელი 88), ამანატიდისი (ზაიცი 74), კურანი
მწვრთნელი: ფელიქს მაგათი
გაფრთხილება: ჩატო, მაისნერი, ბალაკოვი
მსაჯი: კრუზი
36 692 მაყურებელი




მირკო ტოპიჩმა კლაუს ტოპმიოლერს ენა გამოუყო

**ჰანზა 1:4 მიუნხენი**

0:1, 0:2 შროტი (6, 20), 0:3 როდრიგო კოშტა (21), 1:3 იაკობსონი (57), 1:4 შროტი (71)
ჰანზა: შობერი, ვიბრანი, იაკობსონი, კოვარი, მაული, ადუბე, ლანცი, ჰანსენი (ჰილი 36), რიდლევიჩი, სალუ, პრიკა (დი სალვო 79)
მწვრთნელი: არმინ ვეჰი
მიუნხენი: იენში, როდრიგო კოშტა, ვოტავა, ჰოფმანი, შტრანცლი (ბორიმიროვი 60), მაიერი, კურცი (ელერსი 83), ჩერნი, ვაისენბერგერი, ლაუტი, შროტი
მწვრთნელი: პეტერ პაკულტი
გაფრთხილება: შტრანცლი, ვოტავა, ბორიმიროვი
მსაჯი: შტრამპე
12 000 მაყურებელი

**ჰანოვერი 2:2 ჰამბურგი**

1:0 ბობიჩი (40), 2:0 იდრისუ (49), 2:1 იუფალუში (63), 2:2 მეიერი (78)
ჰანოვერი: ტრემელი, ჩერუნდოლო, კონსტანტინიდისი, ვინიციუსი, შულერი, ლალა, ხაიმე, კრუპნიკოვიჩი (შტენდელი 85), ნკუფო (სტაინერი 85), ბობიჩი, იდრისუ
მწვრთნელი: რალფ რანგნიკი
ჰამბურგი: პიკენჰაგენი, ფუკალი, ჰოოგმა, იუჟფალუში, ჰოლერბახი, მალტრიცი, ბენჯამინი, ანტარი (მეიერი 54), მაჰდავიკია, ბარბარესი, ტაკაჰარა
მწვრთნელი: კურტ იარა
გაფრთხილება: კრუპნიკოვიჩი, შულერი, ბარბარესი
მსაჯი: ფლაიშერი
43 183 მაყურებელი

**ბოხუმი 2:1 ნიურნბერგი**

0:1 კაკაუ (25), 1:1 კრისტიანსენი (27), 2:1 ფრაიერი (33)
ბოხუმი: ვან დუინოვენი, კოლდინგი, კალა, ფარენჰორსტი, მაიხელბეკი, შინდცილორცი, ოლისი, ფრაიერი, ვოში (რაისი 84), ბაკლი (ფილი 73), კრისტიანსენი (ჰაშემიანი 80)
მწვრთნელი: პეტერ ნოირურერი
ნიურნბერგი: კამპა, შტელე, კოში, ნიკლი, პოპოვიჩი, პეტკოვიჩი, ჟუნიორი (კრჟინოვეკი 64), იაროლიმი, ლ. მიულერი, ს. ჩირიჩი, კაკაუ
მწვრთნელი: კლაუს აუგენტალერი
გაფრთხილება: პეტკოვიჩი, კაკაუ
მსაჯი: ვაგნერი
20 280 მაყურებელი

**ლევერკუზენი 0:3 კოტბუსი**

0:1 გებჰარდტი (15), 0:2 ტოპიჩი (32), 0:3 იუსკოვიაკი (85)
ლევერკუზენი: ჰ. ბუტი, ჟუანი (კლაინი 59), ნოვოტნი, პლასენტე, ბალიტში, რამელო, პროისი (ოჯიგვე 46), ბაბიჩი (ბიროფკა 46), შიმაკი, ნოივილი, ფრანცა
მწვრთნელი: კლაუს ტოპმიოლერი
კოტბუსი: ლენცი, შრიოტერი, და სილვა, ბერჰალტერი, ლიოვი, რეგეკამფი, ტ. როსტი, ლატუნდი (კალუჟნი 70), გებჰარდტი, ვაგნერი (იუნგნიკელი 87), ტოპიჩი (იუსკოვიაკი 52)
მწვრთნელი: ედუარდ გაიერი
გაფრთხილება: ბერჰალტერი, ლენცი, ლიოვი
მსაჯი: შტარკი
22 500 მაყურებელი

„თამაში კარგად დავიწყეთ, მეტოქეს ჩვენი პირობები მოვახვიეთ თავს, მერე კი სულელური გოლი გავუშვით და ყველაფერი აირია" — თქვა „კოტბუსთან" სენსაციური მარცხის შემდეგ „ლევერკუზენის" მწვრთნელმა კლაუს ტოპმიოლერმა. შემდეგ მან დასძინა, სამწუხაროა, ამ სეზონში ოდენ ბუნდესლიგაში ადგილის შენარჩუნებისთვის რომ გვიწევს ბრძოლაო. ჩვენ კი დავძინოთ, რომ ეს ფაქტი არა მხოლოდ სამწუხარო, უცნაურიცაა.

აქვე ისიც ვთქვათ, რომ აღნიშნულმა შედეგმა ტოპმიოლერის მომავალი, ცოტა არ იყოს, ბუნდოვანი გახადა, „კოტბუსის" ჩამორჩენა კი იმდენად თვალშისაცემი გახლდათ, რომ ამ სამმა ქულამ მის სატურნირო მდგომარეობას ჯერჯერობით ბევრი ვერაფერი შემატა.

ფრიად საინტერესო ამბები მოხდა დაწინაურებული სამეულის შეხვედრებში, თუმც ერთიცაა — ბუნდესჩემპიონობისთვის ბრძოლა კიდევ უფრო უინტერესო გახდა, რაკი „ბაიერნმა" მდევრებთან სხვაობა კიდევ უფრო გაზარდა.

ბერლინელი ბრაზილიელის, მარსელინიოს ბოლო წუთის გოლმა ჩემპიონ „დორტმუნდს" სეზონში მესამე მარცხი აგემა და მესამე ადგილზე დააქვეითა. აქ უპრიანია, მატჩის ანონსში მოხსენიებული ფაქტის გამეორება. კერძოდ, „დორტმუნდი" აქამდე ათჯერ შეხვედროდა ჰუუბ სტევენსის გაწვრთნილ გუნდებს და ერთხელაც ვერ მოეგო. ეს ტრადიცია მეთერთმეტე დაპირისპირებაშიც გაგრძელდა.

თავიდან მასპინძლები დაწინაურდნენ, „ჰერტას" უნგრელმა პალ დარდაიმ დაბალი დარტყმით გახსნა ანგარიში. 80-ე წუთზე ახმახმა იან კოლერმა [illegible] მოს გათამაშების [illegible] თუმც აქ მასპინძლებს პრეტენზია ჰქონდათ, ამტკიცებდნენ, ჩეხი თამაშგარეში ჩარჩაო. მსაჯმა მათი წუწუნი, ცხადია, არ შეისმინა და გაავებულმა მასპინძლებმაც გული მარსელინიოს გოლით მოიფხანეს.

„დორტმუნდის" დამარცხებამ „ვერდერს" მეორე ადგილისკენ გაუკაფა გზა, თუმც „მუსიკოსებს" საშინაო შეხვედრაში „არმინიას" დამარცხებაც რომ მოეხერხებინათ, უკეთეს ხასიათზე იქნებოდნენ. ამაში შეუძლებელიც არაფერი იყო, რადგან ბრემენელები ორჯერ იგებდნენ და მეტოქეს ორჯერვე გაათანაბრებინეს.

მეგოლეებს თუ გადავხედავთ, საინტერესო ფაქტს აღმოვაჩენთ. „ჰერტა" — „დორტმუნდისა" და „ვერდერ" — „არმინიას" შეხვედრებში შვიდი გოლი გავიდა და შვიდივე ლეგიონერთა ანგარიშზეა.

ბერლინური მატჩის მეგოლეთა ეროვნებები უკვე მოგახსენეთ, ბრემენში კი გოლები უკრაინელმა სკრიპნიკმა, სენეგალელმა დიაბანგმა, ბრაზილიელმა აილტონმა და კორეელმა დუ-რი ჩამ — ოთხი კონტინენტის წარმომადგენლებმა გაიტანეს.

მიონხენგლადბახის „ბორუსია", რომლის წარსულის დიდებიდანაც მხოლოდ სახელია დარჩენილი, უფრო სახელიან გუნდს, „ბაიერნს" ესტუმრა და 0:3 წააგო. ამ სამიდან ორი გოლი სტუმრებმა ბოლო წუთებზე გაუშვეს, როცა უკან დასახევი გზა მოჭრილი ჰქონდათ და ქულის მოპოვების ერთადერთ შანსად ვაბანკზე წასვლადა რჩებოდათ. ჩანაფიქრი სწორი კი იყო, მაგრამ არ გაამართლა — ოუენ ჰარგრივსის აღრევე გატანილს ალექსანდრ ციკლერმა და ჯოვანი ელბერმა ორიც მიუმატეს და „ბაიერნი" უკვე რვა ქულით გაიჭრა წინ.

„არდადეგების მერე კარგი სტარტი ძალიან მნიშვნელოვანია — თქვა ნამატჩევს მიუნხენელთა თავკაცმა ოტმარ ჰიცფელდმა — მხოლოდ მოპოვებულ სამ ქულას არ ვგულისხმობ, გამოჩნდა, რომ შესვენება ნაყოფიერად გამოვიყენეთ, თავის მოვალეობას თითოეული ფეხბურთელი ზუსტად ასრულებდა, სამი ბურთი გავიტანეთ, მეტოქეს კი საგოლე შანსი არ მივეცით".

**ირაკლი ნინიძე**



ჰერტა — დორტმუნდი. იან კოლერმა დედაქალაქელთა მეკარე გაბორ კირალი ამ ეპიზოდში ვერ დაჯაბნა

| | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 ბაიერნი | 18 | 13 | 3 | 2 | 39:14 | 25 | 42 | 10 | 8 | 2 | 0 | 27:9 | 18 | 26 | 8 | 5 | 1 | 2 | 12:5 | 7 | 16 |
| 2 ვერდერი | 18 | 10 | 4 | 4 | 36:29 | 7 | 34 | 10 | 7 | 2 | 1 | 24:14 | 10 | 23 | 8 | 3 | 2 | 3 | 12:15 | -3 | 11 |
| 3 დორტმუნდი | 18 | 9 | 6 | 3 | 29:15 | 14 | 33 | 8 | 4 | 4 | 0 | 12:6 | 6 | 16 | 10 | 5 | 2 | 3 | 17:9 | 8 | 17 |
| 4 შალკე | 18 | 8 | 7 | 3 | 23:15 | 8 | 31 | 8 | 3 | 4 | 1 | 10:6 | 4 | 13 | 10 | 5 | 3 | 2 | 13:9 | 4 | 18 |
| 5 შტუტგარტი | 18 | 8 | 6 | 4 | 29:23 | 6 | 30 | 8 | 4 | 3 | 1 | 15:8 | 7 | 15 | 10 | 4 | 3 | 3 | 14:15 | -1 | 15 |
| 6 მიუნხენი | 18 | 8 | 4 | 6 | 29:25 | 4 | 28 | 8 | 4 | 2 | 2 | 14:10 | 4 | 14 | 10 | 4 | 2 | 4 | 15:15 | 0 | 14 |
| 7 ბოხუმი | 18 | 7 | 5 | 6 | 33:29 | 4 | 26 | 10 | 4 | 2 | 4 | 16:14 | 2 | 14 | 8 | 3 | 3 | 2 | 17:15 | 2 | 12 |
| 8 ჰერტა | 18 | 7 | 5 | 6 | 21:20 | 1 | 26 | 9 | 4 | 3 | 2 | 14:10 | 4 | 15 | 9 | 3 | 2 | 4 | 7:10 | -3 | 11 |
| 9 ჰამბურგი | 18 | 7 | 5 | 6 | 23:25 | -2 | 26 | 8 | 5 | 2 | 1 | 11:8 | 3 | 17 | 10 | 2 | 3 | 5 | 12:17 | -5 | 9 |
| 10 არმინია | 18 | 6 | 5 | 7 | 23:26 | -3 | 23 | 8 | 5 | 1 | 2 | 13:6 | 7 | 16 | 10 | 1 | 4 | 5 | 10:20 | -10 | 7 |
| 11 ვოლფსბურგი | 18 | 7 | 2 | 9 | 21:24 | -3 | 23 | 9 | 6 | 0 | 3 | 13:8 | 5 | 18 | 9 | 1 | 2 | 6 | 8:16 | -8 | 5 |
| 12 ნიურნბერგი | 18 | 6 | 3 | 9 | 24:29 | -5 | 21 | 9 | 3 | 1 | 5 | 13:16 | -3 | 10 | 9 | 3 | 2 | 4 | 11:13 | -2 | 11 |
| 13 ჰანზა | 18 | 5 | 5 | 8 | 21:24 | -3 | 20 | 10 | 2 | 3 | 5 | 11:15 | -4 | 9 | 8 | 3 | 2 | 3 | 10:9 | 1 | 11 |
| 14 ლევერკუზენი | 18 | 5 | 5 | 8 | 24:30 | -6 | 20 | 10 | 2 | 2 | 6 | 11:20 | -9 | 8 | 8 | 3 | 3 | 2 | 13:10 | 3 | 12 |
| 15 გლადბახი | 18 | 5 | 4 | 9 | 20:22 | -2 | 19 | 8 | 4 | 3 | 1 | 13:4 | 9 | 15 | 10 | 1 | 1 | 8 | 7:18 | -11 | 4 |
| 16 ჰანოვერი | 18 | 4 | 5 | 9 | 24:35 | -11 | 17 | 10 | 1 | 4 | 5 | 13:21 | -8 | 7 | 8 | 3 | 1 | 4 | 11:14 | -3 | 10 |
| 17 ლაუტერნი | 18 | 3 | 4 | 11 | 18:30 | -12 | 13 | 10 | 3 | 2 | 5 | 11:12 | -1 | 11 | 8 | 0 | 2 | 6 | 7:18 | -11 | 2 |
| 18 კოტბუსი | 18 | 3 | 4 | 11 | 16:38 | -22 | 13 | 9 | 1 | 1 | 7 | 6:19 | -13 | 4 | 9 | 2 | 3 | 4 | 10:19 | -9 | 9 |

### XIX ტური

2 თებერვალი

| | | |
|---|---|---|
| შტუტგარტი | — | ჰერტა |
| გლადბახი | — | ვოლფსბურგი |
| არმინია | — | ბაიერნი |
| ჰამბურგი | — | ვერდერი |
| მიუნხენ 1860 | — | ჰანოვერი |
| ნიურნბერგი | — | ჰანზა |
| კოტბუსი | — | ბოხუმი |
| დორტმუნდი | — | ლევერკუზენი |
| შალკე | — | ლაუტერნი |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| აილტონი (ვერდერი) | 14 |
| კრისტიანსენი (ბოხუმი) | 12 |
| ელბერი (ბაიერნი) | 11 |
| შროტი (მიუნხენი) | 11 |
| ს. ჩირიჩი (ნიურნბერგი) | 10 |
| კურანი (შტუტგარტი) | 10 |

### მეორე ბუნდესლიგა

#### XVIII ტური

**კიოლნი 3:0 კარლსრუე**

1:0 ჩიკონი (24პ), 2:0 შერცი (53), 3:0 კრინგე (86)

*კიოლნელი არჩილ არველაძე ტრავმირებულია*

**ფიურტი 1:0 დუისბურგი**

1:0 აზუზი (88)

*ფიურტელი გიორგი დეკანოსიძე განაცხადში ვერ მოხვდა*

**ვალდჰოფი 1:1 ბრაუნშვაიგი**

0:1 რიშე (42), 1:1 ბეკირი (54)

**ზანკტ პაული 1:1 აინტრახტი**

0:1 შკელა (35), 1:1 ფ. გერბერი (90)

**ბურგჰაუზენი 1:1 ტრირი**

1:0 ორუმი (42), 1:1 ტომესი (87)

**მაინცი 1:0 უნიონი**

1:0 ვორონინი (45)

**ობერჰაუზენი 3:1 ლიუბეკი**

1:0 არენსი (8ს.კ.), 1:1 ზანდი (10), 2:1 რადულოვიჩი (45), 3:1 ობადი (54)

**როიტლინგენი 1:2 ალენი**

1:0 ფრომერი (18), 1:1 კისე (22), 1:2 ფაინბერი (45)

**ფრაიბურგი — ალემანია**

*წუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მე-2 გვერდზე) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კიოლნი | 18 | 11 | 7 | 0 | 38:18 | 40 |
| აინტრახტი | 18 | 10 | 4 | 4 | 28:14 | 34 |
| მაინცი | 18 | 10 | 3 | 5 | 28:16 | 33 |
| ფრაიბურგი | 17 | 10 | 3 | 4 | 26:15 | 33 |
| ალემანია | 17 | 8 | 5 | 4 | 31:22 | 29 |
| ფიურტი | 18 | 7 | 8 | 3 | 25:17 | 29 |
| ობერჰაუზენი | 18 | 8 | 5 | 5 | 22:19 | 29 |
| ტრირი | 18 | 8 | 4 | 6 | 31:23 | 28 |
| დუისბურგი | 18 | 7 | 6 | 5 | 26:24 | 27 |
| როიტლინგენი | 18 | 7 | 3 | 8 | 27:30 | 24 |
| ბურგჰაუზენი | 18 | 5 | 7 | 6 | 26:22 | 22 |
| ლიუბეკი | 18 | 7 | 1 | 10 | 30:31 | 22 |
| უნიონი | 18 | 5 | 6 | 7 | 21:34 | 21 |
| კარლსრუე | 18 | 3 | 8 | 7 | 16:27 | 17 |
| ალენი | 18 | 4 | 4 | 10 | 20:30 | 16 |
| ვალდჰოფი | 18 | 4 | 3 | 11 | 21:36 | 15 |
| ბრაუნშვაიგი | 18 | 2 | 5 | 11 | 19:38 | 11 |
| ზტ. პაული | 18 | 2 | 4 | 12 | 24:43 | 10 |

## იტალია

### სერია A. XVIII ტური

**უდინეზე 1:0 მილანი**

1:0 პიზარო (37პ)
უდინეზე: დე სანტისი, კროლდრუპი, სენსინი, ბერტოტო, პიერი (ჯემიტი 41), როსიტო, დ. პიზარო, პინცი, იანკულოვსკი, იორგენსენი (სოტილი 49), მუცი (ვარლეი 77)
მწვრთნელი: ლუჩანო სპალეტი
მილანი: დიდა, შიმიჩი (ბროკი 63), ნესტა, მალდინი, კალაძე, ამბროზინი, პირლო (გატუზო 46), ზეედორფი, რუი კოშტა, რივალდო (შევჩენკო 46), ფ. ინძაგი
მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი
გაფრთხილება: ბერტოტო, ბროკი, გატუზო
გაძევება: სენსინი (47)
მსაჯი: პაპარესტა
28 000 მაყურებელი

**ინტერი 3:0 ემპოლი**

1:0, 2:0, 3:0 ვიერი (69, 73, 85)
ინტერი: ტოლდო, ხ. ძანეტი, კორდობა, ფ. კანავარო, პასკუალე, ს. კონსეისაუ (ოკანი 60), ალმეიდა (კ. ძანეტი 18), ემრე, მორფეო (რეკობა 67), ვიერი, ბატისტუტა
მწვრთნელი: ექტორ რაულ კუპერი
ემპოლი: ბერტი, ბელერი, კრიბარი, პრატალი, კუპი, გრელა, ჯამპიერეტი, ბუშე (ტავანო 68), ვანუკი (გრიეკო 73), დი ნატალე, როკი (კაპელინი 86)
მწვრთნელი: სილვიო ბალდინი
გაფრთხილება: პრატალი
მსაჯი: როდომონტი
60 000 მაყურებელი

**იუვენტუსი 2:0 პიაჩენცა**

1:0 დელ პიერო (9), 2:0 ნედვედი (43)
იუვენტუსი: ბუფონი, ტურამი, ფერარა, მონტერო, ძამბროტა, კამორანეზი (პესოტო 87), ა. კონტე, დავიდსი (ტაკინარდი 63), ნედვედი, დელ პიერო (დი ვაიო 75), ტრეზეგე
მწვრთნელი: მარჩელო ლიპი
პიაჩენცა: ორლანდონი, ლამაკი, ბოზელი, კრისტანტე, გურენკო, რინალდი, მარესკა (მიკელი 88), დი ფრანჩესკო (რიზო 54), ტოსტო, უბნერი, დე ჩეზარე (ფერარეზე 54)
მწვრთნელი: ანდრეა აგოსტინელი
გაფრთხილება: რინალდი, რინალდი, დი ფრანჩესკო, დი ვაიო
გაძევება: რინალდი (38)
მსაჯი: ბოლონინო
22 000 მაყურებელი

**ლაციო 0:1 რეჯინა**

0:1 ბონაცოლი (46)
ლაციო: პერუცი, ოდო, სტამი, ფ. კოუტუ, ფავალი, ფიორე, სიმეონე (ს. ინძაგი 48), ჯანიკედა (ლივერანი 77), დ. სტანკოვიჩი, კ. ლოპესი, კიეზა (კასტრომანი 58)
მწვრთნელი: რობერტო მანჩინი
რეჯინა: ბელარდი, მორაბიტო, ი. ფრანჩესკინი, ვარგასი, ფალზინი, კოცა (მოცარტი 90), პარედესი, მამედე, ნაკამურა (დიანა 63), ბონაცოლი (სავოლდი 83), დი მიკელე
მწვრთნელი: ლუიჯი დე კანიო
გაფრთხილება: პარედესი, კოცა, სტანკოვიჩი, კოუტუ, კასტრომანი
მსაჯი: მორგანტი
45 000 მაყურებელი

**პერუჯა 1:0 კიევო**

1:0 დი ლორეტო (37)
პერუჯა: კალაჩი (ტარდიოლი 7), სოლიანო, დი ლორეტო, მილანეზე, ზე მარია, ტედესკო, ობოდო, ბლაზი, გროსო, მიკოლი (ბერეტონი 79), ვრიზასი
მწვრთნელი: სერსე კოზმი
კიევო: ლუპატელი, ფ. მორო, ლეგროტალიე, დანა, ს. ლანა (პეზარეზი 77), ლუსიანო (ლაზეტიჩი 70), პეროტა, კორინი, დ. ფრანჩესკინი (დელა მორტე 62), პელისიერი, ბეგეტო
მწვრთნელი: ლუიჯი დელ ნერი
გაფრთხილება: სოლიანო, ლეგროტალიე, დანა, დი ლორეტო, პეროტა, მილანეზე, გროსო, ბეგეტო, პეზარეზი
მსაჯი: მესინა
12 000 მაყურებელი

**ბოლონია 2:2 ტორინო**

0:1 ვერგასოლა (7), 1:1 სინიორი (39პ), 1:2 ფრანკო (65), 2:2 დელა როკა (80)
ბოლონია: ჯ. პალიუკა, ძაკარდო (დელა როკა 77), ძანკი, მ. კასტელინი, ნერვო, კ. ამორუზო (ლოკატელი 60), ოლივე, ლ. კოლუჩი, ვანოლი, ხ. კრუზი, სინიორი (ბელუჩი 63)
მწვრთნელი: ფრანჩესკო გვიდოლინი
ტორინო: ბუჩი, კომოტო, დელი კარი, ფატორი, მეცანო, სომეზე (დონატი 62), დე აშენტისი, ვერგასოლა, პ. კასტელინი (ბალძარეტი 57; მანტოვანი 77), ფრანკო, მაგალიანესი
მწვრთნელი: რენცო ულივიერი
გაფრთხილება: დე აშენტისი, დელი კარი, კომოტო, დონატი, ვერგასოლა, დე აშენტისი
გაძევება: დე აშენტისი (90)
მსაჯი: კოლინა
22 000 მაყურებელი

**ბრეშა 1:1 პარმა**

0:1 ბონერა (32), 1:1 ბაჯო (39)
ბრეშა: სერენი, ჟ. მარტინესი, პეტრუცი, დაინელი, სერიჩი, ა. ფილიპინი (გუანა 85), აპია, მატუზალემი, ბაკინი (ჯადიდი 87), რ. ბაჯო, ტონი (ტარე 76)
მწვრთნელი: კარლო მაცონე
პარმა: ფრეი, ბენარივუ (მ. კანავარო 63), ბონერა, ფერარი, ჟუნიორი, ლამუში, ბარონე (მატეო ბრიგი 54), ე. ფილიპინი, პანაკატა, ბრეშიანო, ადრიანო (ჯილარდინო 75)
მწვრთნელი: ჩეზარე პრანდელი
გაფრთხილება: ა. ფილიპინი
მსაჯი: ფარინა
15 000 მაყურებელი

**კომო 2:0 რომა**

1:0 მუსიჩი (82), 2:0 კარბონე (90)
კომო: ბრუნერი, სტელინი, ტარანტინო, ჟუარესი, ტომაში, ბინოტო (პეკია 46), კოე, კორენტი, მუსიჩი, კაჩა, კარბონე
მწვრთნელი: ეუჯენიო ფაშეტი
რომა: ანტონიოლი, დელასი, ვ. სამუელი, ალდაირი, კაფუ, ტომაზი (ა. კასანო 85), დაკური, დე როსი, დელვეკიო, ტოტი, მონტელა
მწვრთნელი: ფაბიო კაპელო
გაფრთხილება: დელასი, კარბონე, სტელინი, კორენტი, დელასი, ჟუარესი
გაძევება: დელასი (80)
მსაჯი: ტრეფოსი
3 000 მაყურებელი

**მოდენა 0:2 ატალანტა**

0:1 დაბო (35), 0:2 პინარდი (85)
მოდენა: ბალოტა, მ. მაიერი (ვინიაროლი 75), ჩევოლი, პავანი, ბალესტრი, ჯ. კოლუჩი, მილანეტო, ალბინო (სკული 46), მაური (პონცო 85), დ. კამარა, ფაბრინი
მწვრთნელი: ჯოვანი დე ბიაზი
ატალანტა: ტაიბი, სივილია, ნატალი, საალა, ძაური, დ. ძენონი, ბერეტა, დაბო (ტრამეძანი 87), დონი, ინაჩიო პია (პინარდი 14), როსინი (ფოლიო 90)
მწვრთნელი: ჯოვანი ვავასორი
გაფრთხილება: სივილია, პინარდი, ძენონი, მაიერი, პავანი
მსაჯი: როზეტი
15 000 მაყურებელი

# რატომ არ გაუხარდა დელ პიეროს?


REUTERS ტურინიდან

იუვენტუსი — პიაჩენცა. მატჩის დასაწყისშივე ტურინელები ალესანდრო დელ პიერომ დააწინაურა

ლიდერი „მილანი" კაცნაკლულ „უდინეზესთან" დამარცხდა, დასრულდა 17 შეხვედრაში დაუმარცხებელი „ლაციოს" ლაღობა — „რეჯინამ" სძლია, პერუჯაში წააგო ყოჩაღმა „კიევომ", „რომამ" კი „კომოსთან" მოიხარა ქედი. ეს გასაკვირი, თუ ერთი შეხედვით გასაკვირი შედეგები, სერია A-ს მე-18 ტურმა შემოგვთავაზა. იმავე მე-18 ტურში გაიმარჯვეს „ინტერმა" და „იუვენტუსმა", რამაც ერთად აღებულმა, ისეთი ცხრილი მოგვცა, ქვევით ხედავთ.

ზემოთ ვთქვით გასაკვირი თუ ერთი შეხედვით გასაკვირი შედეგებიო. მართლაც, ჩამოთვლილი ანგარიშები მეტნაკლებად სენსაციურია, თუმცა თუ გავიხსენებთ, რომ „რომა" ისედაც ყველაფერს აგებს, „ლაციოს" მოთამაშეებს ხელფასს არ უხდიან, „კიევო" მაინც „კიევოა", „მილანმა" კი, ბოლოს და ბოლოს, რამდენი უნდა მოიგოს, შეიძლება სენსაცია გაფერმკრთალდეს კიდეც. ხოლო ვისაც მაინცდამაინც იატაკქვეშეთი და მაფია სჭირდება, შეუძლია ყველაფერი მსოფლიოს ტოტალიზატორთა შეთქმულებით, ან კიდევ რაიმე ასეთით ახსნას.

ჩვენ კი ამასობაში „სან სიროზე" წავიდეთ და ვნახოთ, როგორ თამაშობს „რომასგან" ნათხოვი გაბრიელ ბატისტუტა „ინტერში". თუ გავითვალისწინებთ, რომ გუნდმა 3:0 მოიგო და სამივე გოლი „ემპოლის" კარში ბატისტუტას მეწყვილემ, კრისტიან ვიერიმ გაიტანა, უნდა დავასკვნათ, რომ ბატისტუტას დებიუტი ურიგო არ ყოფილა. ფაქტია: თუ გუნდი იგებს, მისი ფეხბურთელები კარგად თამაშობენ, ხოლო თუ ორი ფორვარდიდან ერთი ჰეთ თრიქს ასრულებს, მეორე ხელს უწყობს.

ვიერიმ სამივე გოლი ახლოდან შეაგდო, ოღონდ მეორე ტაიმში. პირველი 69-ე წუთზე გავიდა, როდესაც ბატისტუტას დარტყმული „ემპოლის" მეკარემ ჯანლუკა ბერტიმ ხეირიანად ვერ მოიგერია. ოთხი წუთის შემდეგ კუთხურს მეორე მოჰყვა, ხოლო შეხვედრის დამთავრებამდე ხუთი წუთით ადრე ბერტიმ ხავიერ ძანეტის ჩაწოდებული უწყინარი ბურთი ვერ შებოჭა და ჩასაფრებულ თავდამსხმელს მესამე გოლი გაატანინა.

„ინტერის" სიხარული იმ დღეს მაინც არ გამოდგა სრულყოფილი — მე-19 წუთზე „შავ-ლურჯებს" არგენტინელი ნახევარმცველი მატიას ალმეიდა დაუშავდათ. თუმცა ამის შესახებ ცალკე წერილში მოგახსენებთ.

აღსანიშნავია, რომ იტალიის ჩემპიონატის მე-18 ტურის ყველა შეხვედრას წუთიერი დუმილი უძღოდა წინ. მიზეზი „სარბიელის" მკითხველთათვის ცნობილია: გარდაიცვალა კორპორაცია „ფიატისა" და ტურინის „იუვენტუსის" საპატიო პრეზიდენტი ჯანი ანიელი. იგი გახლდათ შემოქმედი „ბებერი ქალბატონის" და იტალიური მანქანათმშენებლობის ალმავლობისა, რომლის სიკვდილმაც მეტად დაამწუხრა „სტადიო დელე ალპი". სტადიონზე, იმ სკამზე რომელზეც ანიელი იჯდა ხოლმე, ტურინელებმა „იუვენტუსის" მაისურა მიაფინეს, ხოლო დიდი პრეზიდენტის ფავორიტმა, ალესანდრო დელ პიერომ ჩინებული დარტყმით მე-10 წუთზევე გაუტანა „პიაჩენცას". დელ პიეროს გოლი არ უზეიმია, ჩუმად გამოიქცა უკან.

შემდეგ „პიაჩენცას" კაცი ჰყავდათ, ხოლო ჩეხმა პაველ ნედვედმა მეორე გოლი გაიტანა. მისი პირველი დარტყმა სტუმართა მეკარემ, პაოლო ორლანდინიმ მოიგერია, ამიტომაც ნახევარმცველს დამატება დასჭირდა.

„ლაციოზე" რა ვთქვათ? შინ, „რეჯინასთან" წააგო ხომ? მართლაც, ბოლოდან მეოთხე გუნდმა ამ სეზონში სტუმრად პირველად მაინცდამაინც „სტადიო ოლიმპიკოზე" გაიმარჯვა. შეხვედრის ერთადერთი გოლი მეორე ტაიმის პირველივე წუთზე, უფრო ზუსტად კი 30-ე წამზე გავიდა. მისი ავტორი გამოდგა სტუმართა გუნდის დებიუტანტი, „პარმასგან" ნათხოვარი ემილიანო ბონაცოლი, რომელმაც ცნობილ ჰოლანდიელ მცველს, იაპ სტამს მოპარა ბურთი, გაიქცა და უსუსურ მეკარეს, ანჯელო პერუცის შეუგდო.

ზემოთ კიდევ „კიევოს" დამარცხება ვახსენეთ და უნდა შეგახსენოთ, რომ ეს ვერონელთათვის ზედიზედ მეორე მარცხი გამოდგა. ისე, დანიელე ფრანჩესკინის პირველი ტაიმის მიწურულს, 37-ე წუთზე გაშვებული თავური გოლის გათანაბრება შეეძლო, მაგრამ ვერ დაუმიზნა.

ესაო, ისაო და „რომა" ყველასთან აგებსო, აუტსაიდერთანაცო... ისე, „კომოსთან" ნეიტრალურ მოედანზე გამართულ მატჩში უპირატესობა ფაბიო კაპელოს ფეხბურთელებს ჰქონდათ. ის კი არა, პირველ 20 წუთში მასპინძელთა კარში გოლის გატანა მარკო დელვეკიოსაც შეეძლო, ვინჩენცო მონტელასაც და ფრანჩესკო ტოტისაც, მაგრამ რაც მათ ვერ შეძლეს, კომოელ ველდინ მუსიჩსა და ვეტერან ბენიტო კარბონეს გამოუვიდათ კარგად.

„რომამ" ზედიზედ მესამე მარცხი იწვნია

**ბაკურა კელია**


REUTERS მილანიდან

ფრანჩესკო ტოტიმ სიმწრისგან დაიღრიალა

| | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 მილანი | 18 | 12 | 3 | 3 | 34:12 | 22 | 39 | 9 | 8 | 1 | 0 | 18:2 | 16 | 25 | 9 | 4 | 2 | 3 | 16:10 | 6 | 14 |
| 2 ინტერი | 18 | 12 | 3 | 3 | 36:20 | 16 | 39 | 9 | 7 | 1 | 1 | 17:4 | 13 | 22 | 9 | 5 | 2 | 2 | 19:16 | 3 | 17 |
| 3 იუვენტუსი | 18 | 11 | 5 | 2 | 34:13 | 21 | 38 | 9 | 5 | 3 | 1 | 18:7 | 11 | 18 | 9 | 6 | 2 | 1 | 16:6 | 10 | 20 |
| 4 ლაციო | 18 | 10 | 6 | 2 | 33:17 | 16 | 36 | 10 | 3 | 5 | 2 | 18:12 | 6 | 14 | 8 | 7 | 1 | 0 | 15:5 | 10 | 22 |
| 5 კიევო | 18 | 10 | 2 | 6 | 28:18 | 10 | 32 | 9 | 6 | 1 | 2 | 17:9 | 8 | 19 | 9 | 4 | 1 | 4 | 11:9 | 2 | 13 |
| 6 უდინეზე | 18 | 8 | 5 | 5 | 17:16 | 1 | 29 | 9 | 5 | 4 | 0 | 9:4 | 5 | 19 | 9 | 3 | 1 | 5 | 8:12 | -4 | 10 |
| 7 ბოლონია | 18 | 7 | 7 | 4 | 21:16 | 5 | 28 | 9 | 7 | 1 | 1 | 16:7 | 9 | 22 | 9 | 0 | 6 | 3 | 5:9 | -4 | 6 |
| 8 პარმა | 18 | 7 | 6 | 5 | 30:20 | 10 | 27 | 9 | 6 | 1 | 2 | 18:9 | 9 | 19 | 9 | 1 | 5 | 3 | 12:11 | 1 | 8 |
| 9 პერუჯა | 18 | 7 | 4 | 7 | 23:23 | 0 | 25 | 9 | 6 | 1 | 2 | 15:5 | 10 | 19 | 9 | 1 | 3 | 5 | 8:18 | -10 | 6 |
| 10 რომა | 18 | 6 | 5 | 7 | 28:27 | 1 | 23 | 8 | 3 | 3 | 2 | 16:11 | 5 | 12 | 10 | 3 | 2 | 5 | 12:16 | -4 | 11 |
| 11 ემპოლი | 18 | 6 | 4 | 8 | 24:27 | -3 | 22 | 9 | 2 | 3 | 4 | 12:15 | -3 | 9 | 9 | 4 | 1 | 4 | 12:12 | 0 | 13 |
| 12 მოდენა | 18 | 6 | 2 | 10 | 12:26 | -14 | 20 | 9 | 3 | 2 | 4 | 6:10 | -4 | 11 | 9 | 3 | 0 | 6 | 6:16 | -10 | 9 |
| 13 ბრეშა | 18 | 4 | 7 | 7 | 20:27 | -7 | 19 | 9 | 2 | 4 | 3 | 11:11 | 0 | 10 | 9 | 2 | 3 | 4 | 9:16 | -7 | 9 |
| 14 ატალანტა | 18 | 4 | 5 | 9 | 19:29 | -10 | 17 | 9 | 3 | 2 | 4 | 12:15 | -3 | 11 | 9 | 1 | 3 | 5 | 7:14 | -7 | 6 |
| 15 რეჯინა | 18 | 4 | 4 | 10 | 15:32 | -17 | 16 | 9 | 3 | 3 | 3 | 11:12 | -1 | 12 | 9 | 1 | 1 | 7 | 4:20 | -16 | 4 |
| 16 პიაჩენცა | 18 | 3 | 4 | 11 | 14:28 | -14 | 13 | 9 | 2 | 2 | 5 | 9:15 | -6 | 8 | 9 | 1 | 2 | 6 | 5:13 | -8 | 5 |
| 17 ტორინო | 18 | 2 | 5 | 11 | 11:32 | -21 | 11 | 9 | 2 | 2 | 5 | 4:14 | -10 | 8 | 9 | 0 | 3 | 6 | 7:18 | -11 | 3 |
| 18 კომო | 18 | 1 | 7 | 10 | 11:27 | -16 | 10 | 9 | 1 | 3 | 5 | 7:14 | -7 | 6 | 9 | 0 | 4 | 5 | 4:13 | -9 | 4 |

**XIX ტური**

2 თებერვალი

| | | |
|---|---|---|
| რომა | - | ბოლონია |
| პიაჩენცა | - | ბრეშა |
| ემპოლი | - | კომო |
| ტორინო | - | ინტერი |
| ატალანტა | - | იუვენტუსი |
| კიევო | - | ლაციო |
| მილანი | - | მოდენა |
| რეჯინა | - | პერუჯა |
| პარმა | - | უდინეზე |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| ვიერი (ინტერი) | 16 |
| დელ პიერო (იუვენტუსი) | 12 |
| ტოტი (რომა) | 11 |
| კ. ლოპესი (ლაციო) | 10 |
| დი ნატალე (ემპოლი) | 8 |
| ფ. ინძაგი (მილანი) | 8 |
| კრუზი (ბოლონია) | 8 |
| ადრიანო (პარმა) | 8 |
| მუტუ (პარმა) | 8 |

### სერია B

**XX ტური**

**ასკოლი 3:0 სალერნიტანა**

1:0 ბრიენძა (14), 2:0 ტანგორა (46), 3:0 ფონტანა (67პ)

**ჯენოა 0:2 ვიჩენცა**

0:1 სემიოლი (51), 0:2 ჟედა (80)

**ლეჩე 1:1 სიენა**

1:0 კონანი (59), 1:1 ტირიბოკი (85)

**ლივორნო 1:1 სამპდორია**

0:1 ბაცანი (55), 1:1 პროტი (67)

**მესინა 2:2 ტერნანა**

1:0 ძამპანა (10), 1:1 ბორგობელო (14), 2:1 სულო (20), 2:2 ბორგობელო (87)

**პალერმო 1:0 კოზენცა**

1:0 დი ნაპოლი (80პ)

**ტრიესტინა 1:2 ბარი**

1:0 დე პოლი (55), 1:1, 1:2 სპინეზი (83, 90)

**ვენეცია 3:0 კალიარი**

1:0 ფანტინი (21), 2:0 გრასადონია (32ს.კ.), 3:0 მალდონადო (41)

**ვერონა 0:1 ანკონა**

0:1 განცი (30)

**ნაპოლი — კატანია**

*წუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მე-2 გვერდზე) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტრიესტინა | 20 | 10 | 6 | 4 | 33:22 | 36 |
| სამპდორია | 20 | 8 | 9 | 3 | 28:18 | 33 |
| ლივორნო | 20 | 10 | 3 | 7 | 25:16 | 33 |
| სიენა | 20 | 8 | 9 | 3 | 23:16 | 33 |
| ლეჩე | 20 | 7 | 11 | 2 | 23:17 | 32 |
| ვიჩენცა | 20 | 8 | 8 | 4 | 29:24 | 32 |
| ანკონა | 20 | 8 | 8 | 4 | 28:23 | 32 |
| პალერმო | 20 | 8 | 6 | 6 | 21:21 | 30 |
| კალიარი | 20 | 8 | 4 | 8 | 19:24 | 28 |
| მესინა | 20 | 7 | 6 | 7 | 31:28 | 27 |
| ასკოლი | 20 | 7 | 6 | 7 | 23:22 | 27 |
| ტერნანა | 20 | 7 | 6 | 7 | 21:21 | 27 |
| ვენეცია | 20 | 6 | 6 | 8 | 21:27 | 24 |
| ვერონა | 20 | 5 | 8 | 7 | 24:23 | 23 |
| ჯენოა | 20 | 5 | 7 | 8 | 23:24 | 22 |
| კატანია | 19 | 6 | 3 | 10 | 23:31 | 21 |
| ბარი | 20 | 3 | 11 | 6 | 16:19 | 20 |
| კოზენცა | 20 | 5 | 5 | 10 | 18:24 | 20 |
| ნაპოლი | 19 | 3 | 9 | 7 | 20:28 | 18 |
| სალერნიტანა | 20 | 3 | 3 | 14 | 14:35 | 12 |

### სერია C1/A

21-ე ტური: ალბინოლეფე — ლუკეზე 2:1; ალძანო — რეჯანა 1:2; კარარეზე — პიზა 1:2; ჩიტადელა — ჩეზენა 2:0; პისტოიეზე — ლუმეცანე 1:2; პრატო — არეცო 1:2; პრო პატრია — პადოვა 3:0; სპალ — სპეცია 1:3; ტრევიზო —ვარეზე 3:1

### სერია C1/B

21-ე ტური: აველინო — კიეტი 1:0; ბენევენტო — ტორესი 1:0; ფერმანა — ტარანტო 0:2; აკილა — პეზარო 0:0; მარტინა — სორა 3:1; პატერნო — კროტონე 2:1; სამბენედეტეზე — ვიტერბეზე 3:1; ტერამო — პესკარა 1:1. ლანჩანო — ჯულიანოვა გადაიდო

## იტალიის ჩემპიონატი
### მეთვრამეტე ტურის მატჩი
### უდინეზე 1:0 მილანი

ჯახა ჯალაძე: 90 წუთი

# საცოდაობა

„მთელი გუნდი ჩავარდა, საცოდავად ითამაშეს — თქვა „მილანის“ მწვრთნელმა კარლო ანჩელოტიმ „უდინეზესთან“ 0:1 დამარცხების შემდეგ — ვერ ვირბინეთ და პასებით თამაშის ნაცვლად ბურთს ჩავეჭიდეთ, რისი წყალობითაც მოწინააღმდეგის აგრესიული თამაში შედეგიანი გამოდგა“.

მერედა, აღსანიშნავია, რომ უდინელებმა მთელი მეორე ტაიმი ათი კაცით ჩაატარეს.

ანჩელოტიმ განაგრძო: „საერთოდ, არ ვღელავთ ხოლმე, ამ შეხვედრაში კი ეს თვისებაც დავკარგეთ და ჩვენი ყველა მცდელობა გაგვეთანაბრებინა ანგარიში, პირიქით, ჩვენს საზიანოდ მთავრდებოდა“.

საგულისხმოა, რომ მატჩის ერთადერთი გოლი პენალტით გავიდა. ეს გახლდათ „შავ-წითელთა“ კარში ამ სეზონში დანიშნული პირველი თერთმეტმეტრიანი.

„განზრახ ხელით თამაში არ ყოფილა, მაგრამ მსაჯის გადაწყვეტილებას არ ვეწინააღმდეგებით“ — დასძინა მწვრთნელმა.

„მილანის“ ვიცე-პრეზიდენტი, ადრიანო გალიანი ანჩელოტიზე მეტად მოღუშული ბრძანდებოდა.

„ისეთ შოუს, შუა კვირაში იტალიის თასზე რომ მოვაწყვეთ, არ ველოდი, მაგრამ ასეთი საცოდაობა თუ იქნებოდა, რას წარმოვიდგენდი — თქვა მან — ასეა თუ ისე, დღევანდელ შეცდომებზე უნდა ვიფიქროთ, თუმცა ტრაგედიის შექმნაც უაზრობაა“.

ხოლო „უდინეზეს“ თავკაცი, ლუჩანო სპალეტი სიხარულით მეცხრე ცაზე დაფრინავდა:

„ბედნიერი ვარ, რადგან ბიჭებმა აჩვენეს, რომ არავისი ეშინიათ. ჩვენ გამარჯვებას ვიმსახურებდით. პენალტიც ნაღდი იყო. შესვენების შემდეგ ნესტორ სენსინის გაძევება ორგანიზებული თავდაცვის წყალობით არ დაგვეტყო“.

**ბაკუნა ძიდია**



თანაგუნდელებივით ვერც კახა კალაძემ (მარჯვნივ) გამოიჩინა თავი

# ძვალთამტვრევა ინტერში
## ალმეიდა კრესპოს მიუწვა

„ინტერის“ არგენტინელი ნახევარმცველი მატიას ალმეიდა „ემპოლისთან“ შეხვედრის მე-19 წუთზე იგლი ვანუჩისთან შეჯახების გამო დაშავდა. მან ფეხი მოიტეხა.



არგენტინელი პავიას საავადმყოფოში გასინჯეს და პირველი დახმარება აღმოუჩინეს. „ინტერის“ წარმომადგენელთა განცხადებით, ალმეიდას უახლოეს დღეებში უფრო დაკვირვებით გასინჯავენ და იტყვიან, რა დრო დასჭირდება გამოსაჯანმრთელებლად.

და მაინც, მოტეხილობა მოტეხილობაა, რაც იმას ნიშნავს, რომ ნახევარმცველის ჩემპიონთა ლიგის მეორე ეტაპის შეხვედრებში მონაწილეობა ფრიად საეჭვოა. უცნაური კი ისაა, რომ გუნდის არგენტინელ მწვრთნელს, ექტორ რაულ კუპერს ბოლოხანს მაინცდამაინც არგენტინელი მოთამაშეები ემტვრევა — ხომ გახსოვთ ერნან კრესპოს ტრავმა, რომელიც, რამდენადაც ცნობილია, აპრილამდე არ განიკურნება.

არგენტინელი გაბრიელ ბატისტუტას ადგილზე კაცი დაფიქრდებოდა: სად გადავიდა, რომ გადავიდა? მოგახსენებთ, რომ „ინტერი“ სერია A-ში „მილანთან“ ერთად ლიდერობს, ჩემპიონთა ლიგის A ჯგუფში კი „ნიუკასლთან“ და „ბაიერნთან“ გამარჯვების შემდეგ პირველ ადგილზე არის. 18 თებერვალს „შავლურჯებს“ „ბარსელონასთან“ თამაში ელით.

**ბაკუნა ძიდია**

## საფრანგეთი
### თასის 1/16 ფინალი

**ტულუზი — ლანსი 1:0; ნანსი — მეცი 0:1; ამნევილი — ოსერი 0:3; შილტიგჰემი — ბოვე 1:0; სისინე — გენგამი 1:5; მარტიგი — ამიენი 1:0; რენი — აიაჩო 3:0; ლამბრე — ანგულემი 1:2; აგდე — ლილი 0:2დ.დ. (0:0); ბორდო — გრენობლი 2:0; კიუვილი — ვასკეალი 1:2; ლავალი — ლე ავრი 2:1; ლიბურნი — ლე მანი 2:2დ.დ.(პენ.12:11, 1:1); ლორიანი — ნანტი 1:0; დიჟონი — ბურგპერონი 0:1; პსჟ — მარსელი 2:1დ.დ.(1:1)**

საფრანგეთის თასზე სუსტისა და ძალგულოვანის განთესვა წესი ძრაა. ამიტომაც იყო, ბრმა კენჭისყრამ ძირძველი მოსისხლე მტრები — პსჟ და „მარსელი“ ერთურთს ადრევე შეჰყარა. იმავდროულად, რომელილაც მეშვიდელიგელი მესამელიგელს მერვედფინალში გასასვლელად ელლაბუცებოდა.

„პარკ დე პრენსზე“ ბოლო ათი შეხვედრიდან მასპინძლებმა „მარსელს“ ოთხი მოუგეს, ოთხი კი ფრედ დასრულდა. მათ შორის შარშან მეტოქენი ამავე თასის მერვედფინალშიც გაეჯიბრნენ. ის მატჩი ფრედ დასრულდა და პარიზელებმა თერთმეტმეტრიანებით იმარჯვეს.

ასეთი სტატისტიკის შემხედვარე სტუმართა მწვრთნელი ალენ პერენი მაინც გულიანად იყო. ჩემპიონატის პირველ წრეში მისი გუნდი დედაქალაქში პირწმინდად, 0:3 დამარცხდა და სამხრეთელები სარევანშოდ მოიმართნენ. „ჯავრი უნდა ვიყაროთ — თქვა სტუმართა ბელგიელმა მცველმა დანიელ ვან ბუიტენმა — ჩვენი თავმოყვარეობა შელახულია. თან არ მსურს მოედნის კიდესთან მოცეკვავე ფერნანდესის კიდევ ერთხელ ხილვა.“

ვან ბუიტენის ოცნებას ახდენა არ ეწერა. გამარჯვებულმა მწვრთნელმა ცეკვისმაგვარი კვლავაც შეასრულა.

პსჟ თითქოს კრიზისშია. გუნდს იანვარში გამართულ ოთხ შეხვედრაში გოლი არ გაუშვია, მაგრამ, სამაგიეროდ, მეტოქეებს მხოლოდ ორჯერ გაუტანა.

მასპინძელთა რიგებში რომენ როკშის დებიუტი შედგა, რომელსაც აქამდე ოდენ 17 მატჩი უთამაშია მესამელიგულ „კანში“. მან ანდრე ლუისი შეცვალა. ლუისმა წინა ტურში „ნიცასთან“ მხარი იტკინა. ალექს ნიარკო დისკვალიფიცირებული იყო, ფაბრის ფიორეზეს კი დისკვალიფიკაცია ემუქრებოდა, მაგრამ კლუბმა გაასაჩივრა და არც შემცდარან — სწორედ ფიორეზეს გოლით დაამარცხეს პარიზელმა „მარსელი“.

დასაწყისში მასპინძელმა უგო ლეალმა ზედიზედ ოთხი კუთხური ჩააწოდა და მეოთხე ცდაზე მაურისიო პოჩეტინიომ თავით შეაგდო. ტაიმის განმავლობაში პსჟ-ს კიდევ ორჯერ შეეძლო გატანა. ფრედერიკ დეუს თავურმა ქომაგები ამოაგმინა, ჟერომ ლერუა კი ვედრან რუნიეს პირისპირ შეხვდა — დუელში სტუმართა მეკარემ იყოჩაღა.

მეორე ნახევარში სტადიონზე ვითარება აიჯაგრა. „მარსელის“ ფანებმა უგო ლეალს პომიდვრები დაუშინეს. იბრაჰიმ ბაკაიოკომ და დეუმ წაიმამლაყინწეს. 61-ე წუთზე ფიორეზეს წინ მხოლოდ ვედრან რუნიე დარჩა, მაგრამ მეკარემ მეორედ ივარგა. იქვე საპასუხო შეტევა სტუმრებმა წამოიწყეს და დანიელ ვან ბუიტენმა გაათანაბრა.

მატჩში ათმა ყვითელმა და ორმა წითელმა ბარათმა გაიელვა. პირველად მარსელელი დოს სანტოსი გააძევეს — ძირითადი დროის ბოლო წუთზე. კაცნაკლულებმა დამატებით დროს ველარ გაუძლეს. უფრო სწორად, თორმეტი წუთი გაუძლეს და მერე გაუშვეს. შეცვლაზე შესული რონალდინიოს პასით ფაბრის ფიორეზემ მაინც იხეირა. მისი დარტყმული ოლეშბეს ფეხის გავლით მეტოქის კარში მიყურდა.

მატჩის შემდეგ ალან პერენმა თქვა: „დოს სანტოსის გაძევება არასწორი გადაწყვეტილება იყო.

ათკაციან გუნდს, ცხადია, გაუჭირდებოდა, რამაც საბოლოო შედეგზე გავლენა მოახდინა“.

დამარცხებულთა შვეიცარიელი მცველი სელესტინი უფრო კატეგორიული იყო: „მსგავსი ჯარიმისთვის რომ აძევებდნენ, მატჩები 5-5-ზე დასრულდებოდა. მსაჯმა აშკარად გადაამლაშა, როცა სანტოსს წითელი ბარათი დაუძრო“.

მოკლედ, მერვედფინალში პსჟ გავიდა, „პარკ დე პრენსთან“კი სიმშვიდე სუფევდა. ბოლო წლების განმავლობაში ეს პირველი შემთხვევა იყო, სერიოზული ცემა-ტყეპა რომ არ მოჰყოლია. 2000-ზე მეტ პოლიციელს ცხრა თვალი და ცხრა ყური ება, სტუმართა ფანებს ქალაქის შესასვლელში სიურპრიზი მოუმზადეს — მარსელელები თხემით ტერფამდე გაჩხრიკეს და ოხრად ხარახურა ჩამოართვეს.

სხვა მატჩებიდან გამოსარჩევია რამდენიმე. მეხუთედივიზიონელმა „ლიბურნმა“ მეორედივიზიონელი „ლე მანი“ ანერვიულა. ფრედ დასრულებული შეხვედრა მძაფრსიუჟეტიანი პენალტების შესრულებით დაგვირგვინდა, რომელშიც მასპინძლებმა იძალეს.

„ლიბურნის“ თანადივიზიონელმა „აგდემ“ „ლილი“ საკვირველ დღეში ჩააგდო. სტუმრებმა 90 წუთში ვერაფერი მოახერხეს. მხოლოდ დამატებულ დროში გატეხეს „აგდე“ — ფილიპ ბრუნელმა და ბენუა შეირუმ თითოჯერ გაიტანეს.

„მეცმა“ „ნანსი“ დაამარცხა და ახლა ორივე თასის გათამაშებას შემორჩა.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ნერვებისამშლელი ცეკვა
## ასრულებს ლუის ფერნანდესი



REUTERS

პსჟ — მარსელი. ზღვისპირელი იბრაჰიმ ჰემდანი რომენ როკის ცოცხალ კედლად აღემართა



ფაბრის ფიორეზე პარიზის გმირია: „მარსელს“ გამარჯვებისა გაუტანა

### თასის 1/8 ფინალის წილისყრა

**ლორიანი — ლილი; მარტიგი — მეცი; ლავალი — პსჟ; ანგულემი — გენგამი; ლიბურნი — რენი; ბურგ-პერონი — ოსერი; ბორდო — ვასკეალი; შილტიგჰემი — ტულუზი**

*მატჩები გაიმართება 15 თებერვალს*

### ლიგის თასი
### მეოთხედფინალის წილისყრა

**სენტ ეტიენი — მარსელი; ნანტი — მეცი; სოშო — ლილი; გენიონი ან ნანსი — მონაკო**

*მატჩები გაიმართება 4-5 მარტს*



REUTERS

მანჩესტერი — ვესტ ჰემი. სტუმრებს საქმე ისე წაუვიდათ, ფილ ნევილმაც გაუტანა

# ნამსვლელი ჯერ არ ნასულა
## როცა მიხვდა, გვიან იყო

### ინგლისი

**ასოციაციის თასი**
**1/16 ფინალი**

**კრისტალ პალასი 0:0 ლივერპული**
*გადათამაშება 5 თებერვალს*

***ფულემი* 3:0 ჩარლტონი**
1:0, 2:0, 3:0 მალბრანკი (59, 66პ, 87პ)

***მანჩესტერ იუნ.* 6:0 ვესტ ჰემი**
1:0, 2:0 გიგზი (8, 29), 3:0 ვან ნისტელროი (49), 4:0 ფ. ნევილი (50), 5:0 ვან ნისტელროი (58), 6:0 სოლსკიაერი (69)

***სტოკი* 3:0 ბორნმუთი**
1:0, 2:0 აიველუმო (45პ, 51), 3:0 მუქსტრა (84)

**შრიუსბერი 0:4 *ჩელსი***
0:1 ძოლა (40), 0:2 კ. კოული (52), 0:3 ძოლა (75), 0:4 ჯ. მორისი (80)

**ბლეკბერნი 3:3 სანდერლენდი**
0:1 მარკუს სტიუარტი (2), 1:1 ენდი კოული (14), 1:2 პროქტორი (52), 1:3 ფილიპსი (70), 2:3 ენდი კოული (73), 3:3 იორკი (90)
*გადათამაშება 5 თებერვალს*

**ბრენტფორდი 0:3 *ბარნლი***
0:1 რ. ბლეიქი (52), 0:2 კუკი (86), 0:3 ლითლი (89)

**ფარნბორო 1:5 *არსენალი***
0:1 ს. კემპბელი (19), 0:2, 0:3 ჯეფერსი (23, 68), 1:3 ბაპტისტი (71), 1:4 ბერხკამპი (74), 1:5 ლორენი (79)

**ჯილინგემი 1:1 ლიდსი**
0:1 ა. სმიტი (49), 1:1 სიდიბე (82)
*გადათამაშება 4 თებერვალს*

***ნორვიჩი* 1:0 დაგენემი**
1:0 ები (90)

***როჩდეილი* 2:0 ქოვენთრი**
1:0 კონორი (3), 2:0 გრიფიტსი (47)

***შეფილდ იუნ.* 4:3 იფსვიჩი**
1:0 მაიკლ ბრაუნი (19), 2:0 ჯაგიელკა (31), 3:0 მაიკლ ბრაუნი (64), 3:1 გაარდსო (66), 3:2 ტ. მილერი (68პ), 3:3 დ. ბენტი (70), 4:3 პეშისოლიდო (89)

**საუთჰემპტონი 1:1 მილუოლი**
0:1 კლარიჯი (17), 1:1 კ. დევისი (90)
*გადათამაშება 4 თებერვალს*

***უოლსოლი* 1:0 უიმბლდონი**
1:0 ზდრილიჩი (75)

***უოტფორდი* 1:0 ვესტ ბრომვიჩი**
1:0 ჰელგუსონი (80)

***ვულვერჰემპტონი* 4:1 ლესტერი**
1:0 ნდა (5), 1:1 დიკოვი (29პ), 2:1 ნდა (45), 3:1, 4:1 კ. მილერი (51, 71)

**ასოციაციის თასის** დღე აბა, მშვიდად როგორ ჩაივლიდა. მერვედფინალში უკვე გასული თორმეტი გუნდიდან ოთხი პრემიერლიგისაა, დანარჩენი ოთხი საგზურისთვის კი კიდევ ხუთი პრემიერლიგური გუნდი იბრძვის. თუმცა, ბრძოლაც არის და ბრძოლაც.

მაგალითად, „ლივერპულმა" ვერაფერი გააწყო „სალჰერსტ პარკზე" „კრისტალ პალასის" წინააღმდეგ, უგოლოდ დაასრულა შეხვედრა, მეკარე კრის კირკლანდიც დაემტვრა და დაზაფრული ელის გადათამაშებას. გადათამაშებასვე ელის „ლიდსი", რომელმაც ვერაფერი გააწყო ჯილინგემში. „ბლექბერნი" კი ალბათ, იმედით ელის გადათამაშებას, რადგან მან ენდი კოულის გოლით მიაღწია „სანდერლენდთან" მატჩში.

ყველაზე პატარა, ვინც კი თასის გათამაშებას შემორჩა, მესამე დივიზიონის „როჩდეილია", რომელმაც პირველი დივიზიონის „ქოვენთრის" 2:0 მოუგო და თავისი მენეჯერი პოლ სიმპსონი აალაპარაკა, ფული რომ მქონდეს, ამ ქალაქში მშვენიერ გუნდს გავაკეთებდიო.

პრემიერლიგის სამმა მოწინავემ სულ თამაშ-თამაშ დაამარცხა მეტოქეები და სამ მატჩში 15 გოლი გაიტანა, გაშვებით კი ერთი გაუშვა. „ჩელსი" პატარა შრიუსბერის „გეი მიდოუს" სტუმრობდა და იქაურებიც თავაღერებულნი დაუხვდნენ, წინა წრეში ხომ თვით „ევერტონი" მიაბრძანეს გათამაშებიდან. მაგრამ ჯანფრანკო ძოლამ და მისმა ამხანაგებმა მხოლოდ ტაიმის ბოლომდე ათამაშეს მასპინძლები, მერე კი საერთოევროპულად მიაყარეს ტეტიებს ოთხი გოლი. სულ ბოლო შორეული დარტყმით გაიტანა ჯოდი მორისმა.

„მანჩესტერ იუნაიტედმა" ნამდვილი რბევა მოუწყო საბრალო „ვესტ ჰემს" და ექვსი უპასუხო გაუტანა. რაიან გიგზმა და რუუდ ვან ნისტელროიმ ორორი შეაგდეს, ლონდონელთა მენეჯერმა გლენ როედერმა კი თქვა: „ბოდიშის მეტი არაფერი გვეთქმის". აქამდე „ვესტ ჰემს" არასოდეს წაუგია სათასო მატჩი ამხელა ანგარიშით. მედიამ კი უკვე მიგვანიშნა, რომ წლეულს „მანჩესტერი" ერთბაშად ოთხი ტიტულისთვის იბრძოლებს, უკვე გასულია ლიგის თასის ფინალში, ასოციაციის თასს კი მეთერთმეტედ დაუპირებს მოგებას.

ერთი ხმაური იყო „ჰაიბერიზე", სადაც ესპანეთურ კურორტ ლა მანგაზე ნავარჯიშევი სამოყვარულო „ფარნბორო" ცხრამეტ წუთს უძალიანდებოდა ინგლისის ჩემპიონს. ჯამში „ფარნბორომ" ერთი საათი ათი კაცით ითამაშა და ხუთი გოლიც გაუშვა. მცველი კრისტიან ლი უხეშობისთვის გააძევა მსაჯმა ალან ვილიმ. ეს გაძევება თამაშის ხასიათიდან გამომდინარე საჭირო სულაც არ იყო, მაგრამ მსაჯი კანონის ბოლომდე ერთგული დარჩა. „ფარნბორომ" კი მაინც გაიტანა თავისი: გუნდის საუკეთესო ფეხბურთელმა როკი ბაპტისტმა ერთი მაინც შეუგდო "მეთოფეებს". ამ მატჩში „ფარნბორო" მასპინძლად ითვლებოდა, მაგრამ ფულადი კომპენსაციის ფასად და თავისი სტადიონის დაუცველობის გამო „ჰაიბერიზე" თამაში დაჰყაბულდა. გუნდის მენეჯერმა გრემ ვისტლიმ კი თქვა: „ეს გამოცდილება დიდხანს გაგვყვება".

ყველაზე მეტი გოლი კი პირველდივიზიონურ ბრძოლაში გავიდა: „შეფილდ იუნაიტედმა" 4:3 მოუგო „იფსვიჩს". საქმე კი ისე იყო, რომ „შეფილდი" 3:0-ს იგებდა, „იფსვიჩმა" კი 3:3-მდე მოატრიალა მატჩი. ბოლო წუთზე კი პოლ პეშისოლიდომ შეფილდელები გაიყვანა მერვედფინალში. „ვერ ვხვდები, როგორ და რატომ წავაგეთ ეს მატჩი" — თქვა „იფსვიჩის" თავკაცმა ჯო როილმა.

**ირაკლი ბამყრელიძე**



REUTERS ლონდონიდან

ფარნბორო — არსენალი. როკი ბაპტისტი პასკალ სიგანს გაექცა და შეილოშვილებისთვის მოსაყოლი გოლი გაიტანა

**ასოციაციის თასი**
**1/8 ფინალის წილისყრა**

მანჩესტერ იუნაიტედი — არსენალი; საუთჰემპტონი ან მილუოლი — ნორვიჩი; კრისტალ პალასი ან ლივერპული — ჯილინგემი ან ლიდსი; ვულვერჰემპტონი — როჩდეილი; ფულემი — ბარნლი; სტოკი — ჩელსი; ბლექბერნი ან სანდერლენდი — უოტფორდი; შეფილდ იუნაიტედი — უოლსოლი
*მატჩები გაიმართება 15-16 თებერვალს*

**I დივიზიონი**
**გადადებული მატჩები**

**გრიმსბი 1:2 ბრედფორდი**
1:0 ბულდინგი (15), 1:1 გრეი (57), 1:2 იორგენსენი (90)

**პრესტონი 1:1 ნოტინგემი**
0:1 ჯონსონი (16), 1:1 კარტრაიჯი (30)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტსმუთი | 30 | 17 | 10 | 3 | 56:30 | 61 |
| შეფილდი | 28 | 16 | 7 | 5 | 43:26 | 55 |
| ლესტერი | 29 | 16 | 7 | 6 | 44:29 | 55 |
| ქოვენთრი | 30 | 12 | 10 | 8 | 38:32 | 46 |
| ნოტინგემი | 30 | 12 | 9 | 9 | 44:31 | 45 |
| ნორვიჩი | 29 | 12 | 8 | 9 | 39:27 | 44 |
| როტერჰემი | 30 | 12 | 8 | 10 | 50:39 | 44 |
| იფსვიჩი | 29 | 12 | 8 | 9 | 46:35 | 44 |
| კრ. პალასი | 29 | 10 | 13 | 6 | 43:31 | 43 |
| რედინგი | 28 | 13 | 4 | 11 | 28:26 | 43 |
| უოტფორდი | 30 | 12 | 7 | 11 | 35:45 | 43 |
| ვულვზი | 29 | 11 | 9 | 9 | 46:32 | 42 |
| მილუოლი | 30 | 11 | 8 | 11 | 39:45 | 41 |
| ბარნლი | 29 | 11 | 8 | 10 | 43:50 | 41 |
| ჯილინგემი | 28 | 10 | 10 | 8 | 38:38 | 40 |
| დერბი | 30 | 11 | 5 | 14 | 36:42 | 38 |
| უიმბლდონი | 28 | 9 | 9 | 10 | 43:43 | 36 |
| ბრედფორდი | 29 | 9 | 7 | 13 | 37:51 | 34 |
| პრესტონი | 30 | 7 | 11 | 12 | 42:51 | 32 |
| უოლსოლი | 30 | 8 | 6 | 16 | 40:47 | 30 |
| გრიმსბი | 30 | 7 | 7 | 16 | 37:57 | 28 |
| უენსდი | 30 | 6 | 8 | 16 | 29:48 | 26 |
| სტოკი | 30 | 5 | 9 | 16 | 34:56 | 24 |
| ბრაიტონი | 29 | 5 | 8 | 16 | 27:46 | 23 |

**II დივიზიონი**

30-ე ტური: ნორთჰემპტონი — პიტერბრო 0:1; ბრისტოლი — სტოკპორტი 1:1; ჩელტენემი — ჩესტერფილდი 0:0; კოლჩესტერი — ბლეკპული 0:2; ჰადერსფილდი — კარდიფი 1:0; ლუთონი — უიკომბი 1:0; ნოტსი — პლიმუთი 0:2; ოლდემი — ქრიუ 1:3; პორტ ვეილი — ბარნსლი 0:0; ქუინზ პარკი — ტრანმერი 1:2; სუინდონი — უიგანი 2:1. *მენსფილდი — უიგანი დღეს გაიმართება*

**III დივიზიონი**

29-ე ტური: ბოსტონი — როვერსი 0:0; კემბრიჯი — ჰარტლპული 0:0; კარლაილი — ლეიტონი 3:0; ჰალი — იორკი 0:0; კიდერმინსტერი — ბერი 3:2; მაკლსფილდი — ექსეტერი 1:1; ოქსფორდი — რაშდენი 3:0; სკანთორპი — საუთენდი 4:1; სუონსი — ლინკოლნი 2:0; ტორკი — დარლინგტონი 3:1. *კიდერმინსტერი — ოქსფორდი და ლეიტონი — კემბრიჯი დღეს გაიმართება*

# ცხრიანი, ბზრიალი და ბრუალი



პარტიკი — დანდი. ფიცხელ ბრძოლაში „ქართულმა" გუნდმა იმარჯვა

### შოტლანდია

**ასოციაციის თასი**
**1/16 ფინალი**

**არბროთი 0:3 *რეინჯერსი***
0:1 ბ. ფერგიუსონი (27), 0:2 კ. მური (32), 0:3 არველაძე (58)
*შოთა არველაძემ 74 წუთი ითამაშა*

**პარტიკი 0:2 დანდი**
0:1 ნემსაძე (14), 0:2 რაე (82)
*ზურაბ ხიზანიშვილმა და გიორგი ნემსაძემ 90 წუთი ითამაშეს*

ერდრი — სენტ ჯონსტონი 1:1; *ეარი* — პიტერჰედი 2:0; *სელტიკი* — სენტ მირენი 3:0; კოუდენბითი — *ალოა* 2:3; დანდი იუნ. — *ჰიბერნიანი* 2:3; *ფოლკირკი* — ჰართსი 4:0; ფორფარი — სტრანრარი 2:2; გრეტნა — *კლაიდი* 1:2; *ინვერნესი* — რეითი 2:0; კილმარნოკი — *მოზერველი* 0:1; ლივინგსტონი — დანფერმლაინი 1:1; ქუინ ოფ საუთ — აბერდინი 0:0; ქუინზ პარკი — ჰამილტონი 2:2; როს ქაუნთი — *მორტონი* 1:2

**ადრეც გაუწყეთ,** საფეხბურთო შოტლანდიამ ბრიტანეთში პირველმა რომ გაბედა ზამთრის შვებულების აღება, ამ უქმეებზე კი შესვენებიდან დაბრუნდა.

სეზონი სქოთებმა ასოციაციის თასის მე-4 ეტაპით განაახლეს და ქართველებმაც გოლები ყარეს.

დავიწყოთ „დანდით". გიორგი ნემსაძემ, რომელსაც მუხლის დაზიანებული მყესების გამო ორი თვე გაუცდა, 25 იარდიდან საჯარიმო დარტყმით ცხრიანში ააფართხალა ბურთი.

მანამდე ზურაბ ხიზანიშვილიც გამოირჩა, რომელმაც ერთი შეხედვით უიმედო სიტუაციაში „დანდის" კართან ხიფათი გააუვნებლა.

დანდელთაგან საუკეთესო ლი უილკი გახლდათ და ნემსაძის მიერ გატანილი ჯარიმაც შოტლანდიის ნაკრების ამ ჯეელმა მცველმა მოინადირა.

უსაქმოდ არც ჯულიან სპერონი ყოფილა — მან ორჯერ მოიგერია არცთუ ადვილი ბურთები.

ხოლო შოტლანდიის ნაკრების ყოფილმა შუახაზელმა გევინ რაემ ახლოდან გაიტანა — პირველ ჯერზე მეკარემ აულო, მაგრამ მეორე ცდაზე რაე უნაკლო გახლდათ.

გაინავარდა თასის მფლობელმა „რეინჯერსმა". შოთა არველაძე თამაშს არ აპირებდა, ბარემ დაჭიმული კუნთი ბოლომდე მოვიშუშოო, მაგრამ ალექს მაკლიშმა მაინც გაიყვანა მინდორზე ქართველი.

შოთას გოლზე ცალკე ვიტყვით, მაგრამ არველაძე მანამდეც გამოირჩა — ბარი ფერგიუსონმა საჯარიმოს სიახლოვეს მოიგდო ბურთი და ცაცითი მოჭრილი უთავაზა, არველაძემ მისკენ მიმავალ ბურთს ფეხი გადაატარა, რითაც „არბროთის" მეკარე კრეიგ ჰინჩკლიფი გააბრუა და „რეინჯერსის" პირველი გოლიც ასე გავიდა.

კრეიგ მურმა კი ჰინჩკლიფს ფერნანდო რიკსენის ნაკუთხურალიდან გაუტანა თავურით.

შემდეგ არტურ ნუმანს უნდა შეეგდო არველაძის პასით, მაგრამ მეკარემ იყოჩაღა.

თუმც მოგვიანებით ჰოლანდიელმა და ქართველმა როლები გაცვალეს — ნუმანმა შოთა პირისპირ დატოვა ჰინჩკლიფთან და ჩვენებურმაც დაბზრიალებული ბურთი საგოლედ შემოატარა მეკარეს — იუწყება BBC.

**დავით თავართქილაძე**

**ასოციაციის თასი**
**1/8 ფინალის წილისყრა**

სელტიკი — ერდრი ან სენტ ჯონსტონი; ლივინგსტონი ან დანფერმლაინი — ჰიბერნიანი; დანდი — ქუინ ოფ საუთ ან აბერდინი; კლაიდი — მოზერველი; მორტონი — ფორფარი ან სტრანრარი; ალოა — ფოლკირკი; ინვერნესი — ქუინზ პარკი ან ჰამილტონი; ეარი — რეინჯერსი
*მატჩები გაიმართება 22-23 თებერვალს*

**მეორე დივიზიონი**

21-ე ტური: ბრეჩინი — ბერიკი 2:2; სტენჰაუზმური — დამბარტონი 2:1

**მესამე დივიზიონი**

22-ე ტური: ალბიონი — ისტ ფაიფი 0:0; მონტროუზი — ელგინი 2:0

# ინგლისი

ირაკლი ნინიძე

# ირჟი, ადექი სკამიდან!

**დღეს**

ბოლტონი — ევერტონი
ჩელსი — ლიდსი
მიდლსბრო — ასტონ ვილა
სანდერლენდი — საუთჰემპტონი

**ხვალ**

ლივერპული — არსენალი
სიტი — ფულემი
ტოტენჰემი — ნიუკასლი
ვესტ ბრომვიჩი — ჩარლტონი
ვესტ ჰემი — ბლექბერნი

**სადღეისო ვითარება**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| არსენალი | 24 | 16 | 4 | 4 | 52:25 | 52 |
| მანჩესტერი | 24 | 14 | 5 | 5 | 40:24 | 47 |
| ნიუკასლი | 24 | 14 | 3 | 7 | 40:31 | 45 |
| ჩელსი | 23 | 11 | 8 | 4 | 41:21 | 41 |
| ევერტონი | 24 | 11 | 6 | 7 | 30:29 | 39 |
| ლივერპული | 24 | 10 | 8 | 6 | 32:23 | 38 |
| ტოტენჰემი | 24 | 11 | 5 | 8 | 35:34 | 38 |
| საუთჰემპტონი | 24 | 9 | 9 | 6 | 27:23 | 36 |
| ბლექბერნი | 24 | 8 | 10 | 6 | 30:26 | 34 |
| სიტი | 24 | 10 | 4 | 10 | 32:34 | 34 |
| ჩარლტონი | 24 | 9 | 6 | 9 | 30:32 | 33 |
| მიდლსბრო | 24 | 8 | 6 | 10 | 27:24 | 30 |
| ასტონ ვილა | 24 | 8 | 5 | 11 | 22:25 | 29 |
| ლიდსი | 23 | 8 | 4 | 11 | 29:29 | 28 |
| ფულემი | 23 | 7 | 6 | 10 | 24:27 | 27 |
| ბირმინგემი | 24 | 6 | 8 | 10 | 20:32 | 26 |
| ბოლტონი | 24 | 4 | 9 | 11 | 24:39 | 21 |
| სანდერლენდი | 24 | 4 | 7 | 13 | 16:34 | 19 |
| ვესტ ბრომვიჩი | 23 | 4 | 5 | 14 | 17:35 | 17 |
| ვესტ ჰემი | 24 | 3 | 8 | 13 | 26:47 | 17 |





ირჟი დუდეკისთვის კრის კირკლანდი სეზონის ბოლომდე კონკურენტი აღარ არის

**მოგეხსენებათ,** როცა ყველა თამაშობს, ინგლისელებიც თამაშობენ, ხოლო, როცა ყველა ისვენებს, ინგლისელები მაინც თამაშობენ. ერთი სიტყვით, დღეს და ხვალ პრემიერლიგაში მორიგი ტურია რამდენიმე ფრიად გამოსარჩევი თამაშითურთ. აქვე ვთქვათ, რომ „მანჩესტერ იუნაიტედის“ და „ბირმინგემ სიტის“ შეხვედრა 4 თებერვლისთვის გადაიდო.

გამორჩეულ თამაშთაგან გამოსარჩევი, ცხადია, „არსენალის“ ლივერპულში სტუმრობაა. ამ გუნდთა რაობაზე და მატჩის მნიშვნელობაზე ლაპარაკი შორს წაგვიყვანს, ამიტომ დღეისთვის მთავარი ამბავი ვთქვათ: „ლივერპულს“ სათასო მატჩში ისე დაემტვრა 21 წლის მეკარე კრის კირკლანდი, რომ სეზონი დაამთავრა და პოლონელი ირჟი დუდეკი ადრეული დეკემბრის მერე პირველად ჩადგება კარში. და ერთიც, კრიზისში მყოფმა ბიტლომანებმა ბოლო სამ შეხვედრაში გოლი არ გაუშვეს და ესეც რაღაცას ნიშნავს.

„ლივერპული“ — „არსენალი“ რომ არა, ტურის მთავარ მატჩად „ტოტენჰემ“ — „ნიუკასლს“ დავასახელებდით. ლონდონელებმა წინა ორი შეხვედრა მოიგეს, მათ შორის, 7-გოლიანი თრილერი „ევერტონთან“, რომელშიც რობი კინმა ჰეთ თრიქი შეასრულა. „ნიუკასლს“ კი, ცხრილში მესამეადგილოსნობის მიუხედავად, სტუმრად თამაში საოცრად უჭირს — 12 გასვლით შეხვედრაში მხოლოდ ორი მოიგო.

უშუალოდ მატჩისწინა ამბავი არ არის, მაგრამ ბარემ აღვნიშნოთ, რომ „ტოტენჰემმა“ ოთხი მილიონი გირვანქა შესთავაზა „ბოლტონს“ მაიკლ რიკეტსის სანაცვლოდ. ოთხი მილიონი ცუდი ფული არ არის, მაგრამ „ბოლტონი“ ექვს მილიონზე ნაკლებს არ ყაბულდება და დიდი ვაჭრობაა გაჩაღებული. ისიც ითქვა, თუ გლენ ჰოდლმა სერგეი რებროვის გაყიდვას ბოლოს და ბოლოს საშველი დააყენა, ეგებ რიკეტსისთვის გადადებულ ფულს ცოტაც დაამატოსო.

და რომ არა „ლივერპული“ — „არსენალი“ და „ტოტენჰემი“ — „ნიუკასლი“, ვიტყოდით, რომ ტურის მთავარი შეხვედრა „სტემფორდ ბრიჯზე“ იმართება, სადაც „ჩელსი“ „ლიდს იუნაიტედს“ მასპინძლობს. ლონდონელებს საქმეები კარგად მისდით, საშინაო შეხვედრებში მხოლოდ ერთხელ დამარცხდნენ. „ლიდსზე“ კი რა მოგახსენოთ. საშინაო სერიის შემდეგ, ერთხანს თამაში გამოასწორეს, მაგრამ ამ უქმეებზე სათასო შეხვედრაში პირველდივიზიონელი „ჯილინგემი“ ვერ დაამარცხეს.

„ვესტ ჰემ იუნაიტედისა“ და „ბლექბერნ როვერსის“ შეხვედრა გამორჩეული სულაც არ არის, მაგრამ ინტრიგას სულ მთლად მოკლებულიაო, ვერც ამას ვიტყვით. ლონდონელი „ჩაქუჩები“ მთელ საფეხბურთეთში ერთადერთ გუნდად რჩებიან, საშინაო შეხვედრა რომ არ მოუგიათ (ამ უქმეებამდე იტალიური „კომოც“ ასეთ დღეში იყო), „მანჩესტერთან“ სათასო 0:6 დაჯუმატოთ და გლენ როედერის თავზე რამხელა წისქვილის ქვაც ტრიალებს, ადვილი წარმოსადგენია.

და მაინც, „ვესტ ჰემი“ „ბლექბერნს“ იმედიანად ხვდება — ერთი, რომ გუნდის ლიდერები, პაოლო დი კანიო და ფრედერიკ კანუ მომჯობინდნენ და მეორე ის, რომ მეტოქეს ბოლო ხუთ მატჩში მოგება არ უგემია.

# რატომ ჭამა გაზამ ბატი?

## პოლ გესქოინი უდაბნოსთან დასახლდა



**ინგლისელი** ვარსკვლავყოფილი პოლ გესქოინი სად გადავიდა რომ გითხრათ, არ დაგვიჯერებთ: ჩინეთის მეორე დივიზიონის აუტსაიდერ გუნდში, რომელიც განსუს ულარიბეს პროვინციას ეკუთვნის. თურმე ნუ იტყვით, და გესქოინს მოთამაშე-მწვრთნელობის შანსი მისცემია და მისი ხელიდან გაშვება არ მოსდომებია.

გუნდს ჰქვია „განსუ ტიამნა“, ქალაქს, სადაც გაზა იცხოვრებს, უფრო სწორად კი რამდენიმე კვირით უკვე იცხოვრა — ლანჟოუ. ეს გახლავთ მუსლიმთა ქალაქი, რომელშიც ინდუსტრიაა განვითარებული. ტერიტორია უდაბნოსპირა გახლავთ და შეკმაზული ცომეულით გაუთქვამს სახელი.

„აქ ყველა საჭმელი გავსინჯე — ამბობს 35 წლის გესქოინი, მასხარაობის დიდად მოტრფიალე კაცი, — ვჭამე იხვის თავი, ქათმის თავი, ბატის თავი, წიწილის ფეხები და საერთოდ, თუ ასე გავაგრძელებ, მალე გავფრინდები“.

თურმე გაზას პირველი დივიზიონის „ლიაონინგ ბოდაოში“ დარჩენის შანსიც ჰქონდა, მაგრამ ამ კლუბის ხელმძღვანელებს ინგლისელის ჯანმრთელობაშიც შეუტანიათ ეჭვი და სამწვრთნელო ნიჭშიც.

„ფეხბურთი მომენატრა, ასე რომ, დიდი შანსი მეძლევა — განუცხადა ვეტერანმა ჟურნალისტებს, რომლებიც მისი კონტრაქტის გაფორმებას ესწრებოდნენ — მოთამაშე-მწვრთნელობა მხოლოდ ამ გუნდმა შემომთავაზა. იქ, რამდენიმე ახალგაზრდა ფეხბურთელი თამაშობს, მენეჯერი ინგლისურად კარგად ლაპარაკობს, ინგლისური რამდენიმე მოთამაშემაც იცის. ერთი სიტყვით, მწვრთნელობითა და თამაშით დატკბობის საშუალება მაქვს“.

კონტრაქტი, რომელიც გაზამ გააფორმა, ცხრათვიანი ყოფილა. ჩინური ვებ-გვერდები ჭორაობენ, რომ შიგ 300 თუ 500 ათასი გირვანქა სწერია.

„ვფიქრობთ, მას დიდი როლის თამაში შეუძლია — თქვა „განსუ ტიამნას“ გენერალურმა მენეჯერმა ჟონგ ბოჰონგმა — გვინდა გუნდის სულიერ ლიდერად იქცეს. მისი გამოცდილება ახალგაზრდა ჩინელ მწვრთნელებს ძალიან წაადგებათ“.

გაზას ჩინელმა აგენტმა ტონი ჟუმ განაცხადა, რომ მისი კლიენტი ახლა ლონდონშია და ჩინეთს 10 დღეში დაუბრუნდება.

„განსუ ტიამნამ“ 2002 წლის სეზონი B ლიგის ბოლო ადგილზე, ოთხი მოგებით, შვიდი ფრით და თერთმეტი წაგებით დაასრულა.



პოლ გესქოინი დიდი ფეხბურთისთვის დაბერდა, თორემ „განსუსთვის“ მთელი გუნდია

ჟონგ ბოჰონგი კი გესქოინის სუსტ მხარეებზე ლაპარაკობს:

**იტალიურმა** „მილანმა" ახალგაზრდა თავდამსხმელი მარკო ბორიელო სეზონის ბოლომდე „ემპოლიში" გაანათხოვრა. „ბორიელო ჯერაც ნორჩია და, ბუნებრივია, ჩვენს თავდამსხმელებს კონკურენციას ვერ უწევს. გავანათხოვრეთ, რათა გამოცდილება მიიღოს" — აცხადებს „მილანის" ვიცე-პრეზიდენტი ადრიანო გალიანი. „მილანში" ახლა ოთხი ფორვარდი დარჩა: შევჩენკო, რივალდო, ინძაგი და ტომასონი.


სარბიელი სამუშაოდ იწვევს
გაზეთში ნამუშევარ დამკაბადონებელს
მიღება მოხდება შერჩევით
მსურველებმა მოგვაკითხეთ „სარბიელის" რედაქციაში, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული, 15-დან 18 საათამდე. (ორშაბათის და პარასკევის გარდა)
ცნობებისთვის დარეკეთ 39-48-29, 38-11-14

# ავსტრალიის ღია პირველობა 2003

# აგასიმ შიუტლერი გააფუტლიარა
# უილიამსებმა ბებია დაიტირეს
## ნავრატილოვას სიბერეში კაცთანაც გამოუვიდა






მარტინა ნავრატილოვამ სერენა უილიამსი აქო და ადიდა

**ფინალი**

**კაცები**

ანდრე აგასი (2, აშშ) — რაინერ შიუტლერი (31, გერმანია) 6:2, 6:2, 6:1

**ქალები**

სერენა უილიამსი (1, აშშ) — ვინუს უილიამსი (2, აშშ) 7:6 (7:4), 3:6, 6:4

**შერეული წყვილები**

ლინდერ პაესი (ინდოეთი), მარტინა ნავრატილოვა (აშშ) — ტოდ ვუდბრიჯი (ავსტრალია), ელენი დანილიდუ (საბერძნეთი) 6:4, 7:5

**კაცთა წყვილები**

მიშელ ლოდრა, ფაბრის სანტორო (საფრანგეთი) — მარკ ნოულზი (ბაჰამები), დანიელ ნესტორი (კანადა) 6:4, 3:6, 6:3

## ანდრეს მეოთხე, მერვე და ორმოცდამეთხუთმეტე

ანდრე აგასისა და მისი მეუღლის უსახელო თვისტომის, ტურნირზე 31-ე ნომრად განთესილი რაინერ შიუტლერის გადამწყვეტი შეხლა სლემფინალზე მეტად ანდრეს მიერ მისი სეხნია ბოლეტიერის აკადემიაში ვინმე უწლოვანთან გამართულ სავარჯიშო ბურთაობას უფრო ჰგავდა.

ფინალში ყველასთვის მოულოდნელად და რამდენიმე გარემოებათა წყალობით მოხვედრილი გერმანელი ასაკოვანი და ბრძენი მეტოქის ფონზე მართლაც უსუსური სანახავი იყო. 32 წლის არმენოამერიკელმა, რომელსაც 33-ე დაბადების დღემდე სამი თვეღა აკლია, 6 წლით უმცროსი, საუცხოო ფიზიკურ ფორმაში მყოფი შიუტლერი სულ რაღაც 76 წუთში შემუსრა.

საამმატჩო სტატისტიკის მოხმობას აზრი არა აქვს, მხოლოდ იმას გაუწყებთ, რომ ტურნირის 98-წლოვან ისტორიაში ჩემპიონს ასეთი დამთრგუნველი უპირატესობით აქამდე მხოლოდ ორჯერ ემარჯვა. 1923 წელს ავსტრალიელმა პატ ოჰარამ სი ბი სენტ ჯონს 6:1, 6:1, 6:3 აჯობა, ხოლო სამი წლის შემდეგ მორიგ შიდაოზურ ფინალში ჯონ ჰოუკსმა 6:1, 6:3, 6:1 მოუგო ჯიმ უილარდს.

ამ გამარჯვებამ აგასის მეოთხე ავსტრალიური, ხოლო საერთოდ მერვე სლემტიტული მოუტანა. ღია ჩოგბურთის ერაში, ანუ 1968 წლიდან ამდენი მელბურნული ფინალი არც ერთ მეჩოგნეს არ მოუგია. ის გახდა პირველი არაოზი, ვინაც ოთხჯერ შეძლო ავსტრალიის ღია პირველობის მოგება და მეხუთე მეჩოგნე, ვისმა საკარიერო სლემმონაგარმაც რვა ტიტული შეადგინა. გარდა ამისა, 1968 წლიდან დღემდე მასზე უფროსი მესლემტიტულენი მხოლოდ ორნი ყოფილან.

თუკი ამ უსაკუთარსახელებო აბზაცს დიად მეჩოგნეთა სახელებითა და გვარებით შევმოსავთ, ამგვარი სურათი გვექნება. ყველა დროის ყველაზე მეტჯერ მესლემტიტულეთა ჩამონათვალში ამერიკელი პიტ სამპრასი ლიდერობს — მას 14 სლემტიტული აქვს. სამპრასს ავსტრალიელი როი ემერსონი (12), შვედი ბიორნ ბორგი და ავსტრალიელი როდ ლეივერი (11-11), ამერიკელი ბილ ტილდენი (10) და დიდი სლემის ტურნირებზე რვა-რვაჯერ გამარჯვებულნი — ჯიმი კონორსი (8), ივან ლენდლი (ჩეხოსლოვაკია), ფრედ პერი (ბრიტანეთი), კენ როზუელი (ავსტრალია) და ანდრე აგასი მოჰყვებიან.

აგასიზე უხნესთ კი 1968 წლიდან დღემდე კენ როზუელსა და ესპანელ ანდრეს ხიმენოს უსლემტიტულიათ. პირველი 33 წლისა და 220 დღის იყო, როცა საფრანგეთის ღია პირველობა მოიგო, 35 წლისა და 315 დღის — 1970-ში აშშ-ის ღია პირველობაზე გამარჯვებისას, 36 წლისა და 73 დღისამ იჩემპიონა მან მშობლიურ მელბურნ პარკზე და 37 წლისამ და 62 დღისამ იქვე ტიტულის დაცვაც შეძლო. ხიმენო კი 34 წელსა და 306 დღეს მოითვლიდა, როცა 1972 წელს როლანგაროსულ ფინალში გაიმარჯვა. შიუტლერთან მოგებული ფინალი აგასის 33-ე წლის 272-ე დღე გახლდათ.

აქვე ისიცაა სათქმელი, რომ თავისი პირველი ავსტრალიური სლემტიტული აგასიმ 1995 წელს მოიხვეჭა, მომდევნო ორი კი — მიჯრით 2000 და 2001 წლებში. შარშან მას ტიტულის დაცვა ზედ ტურნირის წინ ატკივებულმა მაჯამ არ დაანება. ასე რომ, აგასის მელბურნ პარკში უკვე ზედიზედ 21 შეხვედრა მოუგია და სტატისტიკის თანახმად, მისი იქაური ჩოგნაობა — 1968-წლისმომდევნო მონაცემებთან შედარებით — ამ თვალსაზრისითაც სარეკორდოა.

ერთი სიტყვით, ვეტერანმა არმენოამერიკელმა უმაღლეს მიღწევათა თამასა კვირას კიდევ ერთი ჩოგნით მაღლა შემოდო და მისი კვლავაც ჩაუქი, კიდევ უფრო დახვეწილი თამაშის შემხედვარეთ იმის იმედიც მოგვცა, რომ წლეულს მეტი სიმაღლის დაპყრობასაც შეძლებს.

შიუტლერთან გამარჯვებამ კი კარიერის 55-ე ტიტულთან ერთად მას 654 ათასი ამერიკული დოლარიც მოარეწინა და, ჩემპიონთა რბოლაში დამაჯერებლად დაწინაურების გარდა 235 ქულამდე მიაახლოვა 12-თვიანი მცოცავი რეიტინგსიის მეპირველე ლეიტონ ჰიუიტთან...

აგასი: „ასეთი დღეები, ასეთი მომენტები ცხოვრებაში ძალიან იშვიათია, და რაც უფრო ასაკში ხარ, მით უფრო ხვდები, თუ რა ადვილად გისხლტებიან ისინი. ამიტომაც გინდა, რომ თითოეული მათგანი ბოლომდე შეიგრძნო, ბოლომდე განიცადო... აქ ხელახლა მოგებაზე ოცნებასაც ვერ ვბედავდი... მე არასოდეს დავივიწყებ აქაურობას, იმ მხარდაჭერასა და სიყვარულს, რასაც აქ ვგრნობდი. უნდა გითხრათ, რომ ყოველივე ამის შემდეგ მე უკვე ნახევრად ავსტრალიელი ვარ... სლემტურნირის მოგება სამყაროს დაბადებასავითაა, რვა ასეთ ტურნირზე გამარჯვება კი უთამამეს ოცნებებსაც აღემატება. თქვენ უკვე მორიგ ტიტულზე მეკითხებით? ეს ისეთი წარმოუდგენელი რამეა, რომ მასზე დაფიქრებაც კი სიგიჟე იქნებოდა".

„წლეულს განრიგის გადატვირთვას არ ვაპირებ. კლასიფიკაციაში გაპირველება ჩემი მთავარი მიზანი სულაც არ არის. ამ სეზონში მხოლოდ იმ ტურნირებზე გამოვალ, რომლებზეც რაღაც წარმატებისა მეიმედება — სლემტურნირებსა და კიდევ ზოგიერთ სხვაზეც"...

„მე შემიძლია შეჯიბრის გარეშე ცხოვრება, მე შემიძლია ცხოვრება მძიმე შრომის გარეშე. მაგრამ რაღაცის გადალევის, რაღაც ისეთთან შეჭიდების გარეშე, რომლის მორევაც ბოლომდე მე თვითონ არ მჯერა — ვერ ვძლებ. ეს ჩემი ძრავაა. კორტზე ყოფნისას უმთავრეს სიამოვნებას სწორედ რაღაცის გადალახვის, რაღაცაზე აღმატების აუცილებლობა და ამის შესრულება მანიჭებს"...

„ჩოგბურთს მხოლოდ მაშინ დავტოვებ, როცა ჯერაც კარგად მოთამაშე ვეღარაფრის მოგებას ვეღარ შევძლებ. რადგანაც თუ ვეღარაფერს ვერ ვიგებ, მაშინ მე არ ვიცი, სად ვიპოვე სურვილი და მოტივაცია"...

„შტეფი? ჰო, ის შემპირდა, რომ ჩემი მოგების შემთხვევაში წლევანდელ როლან გაროსზე შემიწყვილდებოდა, მაგრამ ამ პერსპექტივით ალტაცებული ის სულაც არ გახლავთ. ვინმემ რომ იცოდეს, მისი კორტზე გამოყვანა რა ძნელია... ყველანაირად ვეცდები, დავიყოლი, თუმცა გარწმუნებთ, რომ ამის გაკეთება რომც მოვახერხო, მიზერული შანსები გვექნება. ჯერ ერთი — წყვილად არ ვთამაშობ. მეორეცაა და, თუკი როდესმე მაინც მითამაშია, არასოდეს — ქალების წინააღმდეგ. გარანტიას გაძლევთ, რომ მაგრად გავერთობით, მაგრამ ქალების წინააღმდეგ აგრესიულად მე ვერასოდეს დავარტყამ".

სხვაფრივ — შეგახსენებთ, რომ აგასი იმ დიად ხუთ მეჩოგნეთაგანია, ვისაც კარიერის განმავლობაში ოთხივე სლემტიტული მოუნაგრავს. აგასიმდე ამის გაკეთება ფრედ პერიმ, ამერიკელმა დონ ბაჯმა, როი ემერსონმა და როდ ლეივერმა მოახერხეს. და კიდევ — თავად არმენოამერიკელმა მისი რვა სლემტიტულიდან ხუთი საჩოგბურთო წელთაღრიცხვით ჭარმაგობისას — 29 წლის შემდეგ მოიპოვა.

მის მიერ ფინალში ძლეულ შიუტლერს კი 327 ათასი დოლარი ერგო. ამ ისე-რა გერმანელ მეჩოგნეს ნუგეშად ისიც გაჰყვებოდა, რომ ის გახდა მეორე გერმანელი ბორის ბეკერის შემდეგ, ვინაც ავსტრალიის ღია პირველობის ფინალში გავიდა, და მეორე გერმანელი მიხაილ შტიხის მერე — ვინაც საერთოდ სლემფინალში გაალწია. ბეკერმაც და შტიხმაც ფინალებში 1996 წელს ითამაშეს — პირველმა, ცხადია, მელბურნში, მეორემ კი მოგვიანებით როლანგაროსულ სეფეთიხნარზე.

### სერენას სლემი

შავდური სლემფინალებიდან ეს ყველაზე დაძაბული და ამოღსაცქერი გამოდგა. ერთმანეთში უმჯობესის გასარკვევად მათ პირველად დასჭირდათ მესამე სეტის გამართვა. დებმა ჯამში 2 საათი და 22 წუთი იპაექრეს და, თუმცა ვინუსი ჩინებულად თამაშობდა, მასზე ჩინებულად მოსარჯე დისგან მაინც ზედიზედ მეოთხეჯერ იძლია.

21 წლის სერენამ მიჯრით მეოთხე სლემტიტული მიითვალა და მორინ კონოლის (აშშ, 1953), მარგარეტ კორტის (ავსტრალია, 1970), შტეფი გრაფისა (გერმანია, 1988, 1993-94) და მარტინა ნავრატილოვას (აშშ, 1983-84) შემდეგ მეხუთე ქალმეჩოგნე შეიქნა, ვინაც ერთდროულად ოთხივე ბობოლა ტიტულის მოხვეჭა შეძლო.

შეგახსენებთ, რომ ამ ფინალის დარად, სერენამ წინა სამ სლემფინალშიც თავის უფროს დაიკოს აჯობა. ეს მათი მეთერმეტე შეხვედრა იყო და სერენა ვინუსს უკვე 6:5 უგებს.

საამისოდ, რათა „კალენდარული დიდი სლემი" მიითვალოს, სერენას წლეულს დარჩენილი სამი სლემტურნირის მოგებაც სჭირდება. ზემოთჩამოთვლილ დიად მდედრთაგან ოთხივე მთავარტურნირის ერთ სეზონში მოგება მხოლოდ მარტინა ნავრატილოვამ ვერ მოახერხა — თავისი „ზედიზედი სლემსვლა" მან 1983 წლის უიმბლდონის მოგებით დაიწყო და 1984 წლის აშშ-ის ღია პირველობის მოგებით გაასრულა...

სერენა: „მადლობა ჩემს ღმერთს, იეჰოვას, რომ სეზონი ასე კარგად დამაწყებინა... ვფიქრობ, დიდი მნიშვნელობა არა აქვს იმას, რომ ჩემი მეოთხე სლემტიტული მეორე სეზონში მოვიპოვე. ალბათ, დიდი შეცდომა არ იქნება, თუკი მაინც მედიდსლემეს მიწოდებთ, რაკიღა ზედიზედ ოთხი ტიტულის მოპოვებას, ერთ სეზონში იქნება ეს თუ სეზონთგადაბმით, მაინც განსაკუთრებული ძალისხმევა სჭირდება. ასე რომ, ჩემს თავს მე უკვე მედიდსლემედ მივიჩნევ... ისე კი, ვერ ვიჯერებ, ამ დიად მეჩოგნეთა გვერდით დასახელების უფლება რომ მოვიპოვე. ისინი ხომ ასეთი დიადები არიან, და მე ვერ წარმომიდგენია, რომ შევძლო იმის მიღწევა, რაც მათ გაუკეთებიათ. მაგრამ თვით ის ფაქტი, რომ ზედიზედ ოთხი ტიტულის მოხვეჭა შევძელი, არაჩვეულებრივი, გადასარევი ამბავია, ეს ისაა, რაც ყოველთვის გამორჩეულად მეოცნებებოდა... წინა ტურნირებთან შედარებით, ამ ტურნირმა ჩემგან ყველაზე მეტად მოითხოვა დახარჯვა და მობილიზება... თქვენ ამბობთ, რომ ვინუსი მენტალურად ჩემზე სუსტია? ვერ დაგეთანხმებით, ჩემი იდეების უმრავლესობა, სულისკვეთება და ბრძოლისუნარიანობა მე სწორედ მისგან ვისწავლე... რა იქნება შემდეგ? არაფერი უჩვეულო — ისევ ბრძოლა, მძიმე შრომა და... ღიმილი".

დაჯილდოების ცერემონიაზე სერენამ მადლობით მიმართა დედასა და მამას, ვინუსმა თავისი ფინალში გასვლა ახლახან გარდაცვლილ ბებიას მიუძღვნა. „კარგი იქნებოდა, დღეს ჩემი გამარჯვება მომეძღვნა შენთვის, მაგრამ შენ მაინც გყავს დიდი ჩემპიონი — სერენა" — თქვა მან.

ვინუსი: „პირველი, რასაც გავაკეთებ, მაკდონალდსში წავალ... ორმაგ ჩიზბურგერს შევუკვეთავ. მერე ჩანთებს ჩავალაგებ და წავიდესერტებ... სერენამ რაც უნდა თქვას, მენტალურად ის ჩემზე ძლიერია. ასეთ თამაშებს ადრე — როგორც წესი — ვიგებდი ხოლმე, მაგრამ მასთან ეს აღარ გამოდის... ვნახოთ, მე არ ვაპირებ დანებებას, მეტს ვიმუშავებ, მეტს ვიომებ. ეს ჩემი საქმეა, ეს ჩემი თავარი მიზანია. მე არ მინდა დავრჩე მხოლოდ ოთხი სლემტიტულის მომგებ მეჩოგნედ. როცა დიადთა მონაგარს უყურებ — და ზოგი ოცსაც კია გადაცილებული — გრძნობ, რომ მეტია გასაკეთებელი, დიდი გზაა გასავლელი და — ვაგლახ — რა ცოტა დრო გაქვს... სერენა თამაშის დროს ყვირის, კაპასობს, მე ასეთი არა ვარ, მე უფრო ჩუმი ვარ და მშვიდი. რას იზამ — ყველა ერთნაირი ხომ ვერ იქნება".

ვერ იქნება.

ისევე როგორც ერთნაირი არ იყო შავდათა ნაიმფინალევი ხვასტაგიც. გამარჯვებულს აქაც 654 ათასი ერგო, დამარცხებულს კი — აქაც 327 ათასი.

### ნავრატილოვას სლემგვირგვინი

46 წლისა და სამი თვის მარტინა ნავრატილოვას სლემგვირგვინს ამ კვირამდე მხოლოდ ერთი სპეკალი აკლდა — 56-გზის მესლემტიტულეს, რომელსაც 18-ჯერ მარტოქალად, 38-ჯერ კი სხვასთან შეწყვილებით ოთხივე სლემტურნირის რაგინდარა ტიტული მოეგო, ავსტრალიის ღია პირველობის შერეულ წყვილთა შორის ვერასოდეს ემარჯვა.

ამ კვირას მან ეს ხვაშიადიც აისრულა და გარდა იმისა, რომ აქამდე ყველა სლემტიტულის მომხვეჭ დიად ავსტრალიელს, 62-გზის მესლემტიტულე მარგარეტ კორტს გაუტოლდა, ჩოგბურთის ისტორიაში უხნესი მესლემტიტულეც შეიქნა. აქამომდელი რეკორდოსანი, ავსტრალიელი ნორმან ბრუკსი მასზე ერთი თვით უმცროსი იყო, როცა 1924 წელს მელბურნშივე კაცთა წყვილებში იმარჯვა...

„მე არ შემიძლია ჩემი ასაკის დამალვა — ამბობდა ნავრატილოვა ნამატჩევს — ამის დადგენა ხომ ყველას შეუძლია... ამ ასაკამდე თუ ვითამაშებდი, ვერასოდეს ვიფიქრებდი. პატარაობისას უფრო იმაზე ვოცნებობდი, რაღაც ყველაზე უმრწემესს მომეგო და არა — უხნესს. მაგრამ ყველა სლემტიტულის მოქუჩება მაინც კარგი რამეა. ისე, სიმართლე გითხრათ, იმაზე, რომ ყველადან მხოლოდ ეს ტიტული მაკლდა, ამ ორიოდე დღის წინ დავფიქრდი — ძილის წინ, მოიცა, ზუსტად ეს ტიტული არ გაკლია-მეთქი, გამიელვა".

„სერენა? ის მხოლოდ მეხუთე ქალია, ვისაც ასეთი რამ გამოუვიდა. ეს ფანტასტიკურია. დიდი, გასაოცარი მიღწევა. და, მართლაც, რა მნიშვნელობა აქვს, ერთ სეზონში მოახერხე ამის გაკეთება თუ სეზონთგადაბმით. მენდეთ — მიჯრით ოთხი სლემტურნირის მოგება ყველა შემთხვევაში დიდ „სისხლისღვრას" მოითხოვს... მე ზედიზედ ექვსი სლემტურნირი მოვიგე და „კალენდარული დიდი სლემიც" მექნებოდა, იმ წლებში ავსტრალიის ღია პირველობა დეკემბერში რომ გამართულიყო".

ნავრატილოვას ამ ზედიზედ ექვსსლემტიტულიან რიგზე ზემოთაც გაუწყეთ, აქ ბარემ იმასაც გეტყვით, რომ ზედიზედ ექვსი სლემტურნირი მის გარდა მხოლოდ იმავე კორტს მოუგია.

თავის ჰინდუ მეწყვილესთან, ლინდერ პაესთან ერთად (რომელიც ოცდაცხრა წლის წინ, როცა მარტინამ თავისი პირველი ტიტული მოიპოვა, მხოლოდ ერთი წლისა იყო) ნავრატილოვა წლეულს დანარჩენ სლემტურნირებზე თამაშსაც გეგმავს. თუკი მათი მომდევნო მცდელობანიც ასეთივე წარმატებული იქნება, სეზონის ბოლოსთვის უბერებელ ჩეხამერიკელ ლესბოსელს 60 სლემტიტული დაუგროვდება...

შეგახსენებთ, რომ სვიანი კარიერის განმავლობაში მას ჯამში 166 საერთეულო და 167 საწყვილო ტიტული მოუნაგრავს. მარტოქალად უკანასკნელი სლემტიტული 1990 წელს უიმბლდონში მოინადავლა, ხოლო წყვილად ბოლოჯერ 1995 წელს იქვე ჯონათან სტარკთან ერთად მოიმკა. მელბურნში კი უკანასკნელად 1989 წელს ითამაშა — ხუთი წლით ადრე, სანამ „დიდი ჩოგბურთიდან წავიდოდა".

როგორც ჩანს, ის დიდი ჩოგბურთიდან არასოდეს წავა.

**ლევან ძელაურაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

NBA რეგულარული ჩემპიონატი

# მსუბუქი საუზმე ყველასათვის

## გინდათ გააკეთოთ 50 ქულა? როდის ეთამაშებით დენვერს?

24 იანვარი

**ბოსტონი 77:58 დენვერი**

ბოსტონი: ბრემერი (5), ე. უილიამსი (11), პირსი (45 ქულა, 10 მოხსნა), მაკარტი (3), ბეიკერი (2); ბათი (2 ქულა, 10 მოხსნა), შ. უილიამსი (3), ლონგი (2), ბრაუნი (2), სანდოვი (2), დელკი

დენვერი: ჰარინგტონი (5), იარბრო (5), ჰარვი (10), ანდერსენი (5 ქულა, 11 მოხსნა), ილარიო (5); ვაიტი (11), ბლუნტი (7), ცქიტიშვილი (21 წუთი, 4 ქულა, 6 მოხსნა, 2 პასი, 1 ჩაჭრა), ბოუენი (4), კროტი (2)

25 იანვარი

**მილუოკი 88:75 დენვერი**

მილუოკი: კასელი (26), ალენი (21), რედი (18), მეისონი (3), ჯონსონი (5); კუკოჩი (15), ოლი (3), ჰესლიპი, სემპსონი

დენვერი: ჰარინგტონი (10), იარბრო (7), ჰარვი (15), ჰოვარდი (15), ილარიო (14); ანდერსენი (8), ვაიტი (4), ბოუენი (2), ცქიტიშვილი (14 წუთი, 0 ქულა, 4 მოხსნა, 1 პასი, 1 ჩაჭრა), კროტი

25 იანვარი

**მაიამი 91:97 ფილადელფია**

მაიამი: ბესტი (2), ჯონსი (26), კ. ბატლერი (22), ალენი (10), გრანტი (8); ელისი (10), ჯეიმსი (6), ჰაუსი (4), სტეფანია (16 წუთი, 3 ქულა, 7 მოხსნა, 1 ჩაჭრა, 1 დაფარება)

ფილადელფია: სნოუ (16), აივერსონი (25), მაკკი, ვან ჰორნი (16), სკინერი (9); კოულმენი (14), მაკალოფი (3), სალმონსი (3), ბაკნერი (1)

ეს საწყალი „დენვერი" ძალიან ავ გარემოში მოხვდა ამ უქმეებზე. დასავლეთის ნაბოლარა ისევ შინაურ თამაშებს თუ გამორჩება რამეს, თორემ გასვლებზე რა ხვითოცაა, აგერ, ცხრილში ჩაიხედეთ და ნახავთ. ჯეფ ბზდელიკის „ბარტყებს" აღმოსავლეთში ხომ საერთოდ არ უმართლებთ, მისისიპსგაღმა საშოვარზე რვაჯერ გადასულები ამდენჯერვე ხელცარიელნი და ცხვირდაშვებულნი დაბრუნდნენ. ახლა ამ რვას ორიც მიამატეს. პარასკევ-შაბათს ბოსტონსა და მილუოკიში შეიარეს და, რატომ გავიკვირვოთ და, ორივეგან მარცხი ნახეს.

უფრო მწარე გამოდგა ბოსტონური გვემანი. ნიკა ცქიტიშვილის ვაი-გუნდმა იქ „მხოლოდ" 19 ქულით წააგო, რაც ბანალური სხვაობაა მისი მონაწილეობით ჩატარებულ მატჩებში, მაგრამ საქმე ისაა, რომ გუნდმა თამაში მეტოქის კალათში ჩაგდებული ოდენ 58 ქულით დაასრულა და ასე მოიჭრა თავი.

ნბა-ში ერთ თამაშში ერთი გუნდის მიერ 60 ქულაზე ნაკლები იშვიათად კეთდება (58 ქულაზე ნაკლები მხოლოდ 10-ჯერ დაფიქსირებულა). ამ დალოცვილ ლიგას დაბალანსებულობის შენარჩუნების მიზნით გუნდების ერთმანეთთან გათანაბრების ისეთი მოქნილი მექანიზმი აქვს, რომ მართლა დავრდომილი უნდა იყო, 48 წუთში მინიმუმ 65-70 ქულა ვერ გააკეთო. ცხადია, არსებობს ერთ თამაშში 58 ქულის ჩაგდების გასამართლებელი მიზეზებიც, მაგალითად, წინა დღით ოთხმაგოვერტაიმიან მატჩში გამოფიტვა. ასეთი რამ მიზეზი „დენვერს" არ მოეძებნება, ამდენად ჯეფი და მისი ბავშვები, მათ შორის ჩვენებური ნიკა ცქიტიშვილიც, ნაბოსტონევს, სულ მცირე, კრიტიკას მაინც იმსახურებენ.

ბზდელიკი მაინც ცდილობს ამ მარცხიდან რაიმე პოზიტიურის გამოჩხრეკას და აი, რას ამბობს: „ჩვენ ისინი 77 ქულას დავაჯერეთ, ეს კი იოლი ნადავლი არაა". საოცარი ოპტიმისტია, „დენვერის" მწვრთნელი, ნადავლზეც კი ალაპარაკდა.

ჩვენი მხრიდან ძნელი საქმეა პოზიტივებზე საუბარი, თუნდაც იმიტომ, რომ „ნაგიტსმა" პირველ ტაიმში მხოლოდ 29 ქულა ჩააგდო, ამ დროს „ბოსტონის" ლიდერს პოლ პირსს 28 ქულა ეწერა ანგარიშზე. საბოლოოდ პირსს 45 გამოუვიდა და საამსეზონო პირად რეკორდამდე ქულა დააკლდა. პოლი არც ძალიან კმაყოფილი ჩანდა ამ დამაკმაყოფილებელზე უკეთესი შედეგით. მას გეგმაში 50-ქულიან თამასაზე გადახტომა ჰქონდა. „ხალხს უყვარს ასეთი რამეები. მეც მინდა, რომ წლეულს ორ-სამჯერ მაინც შევძლო ეს. დღეს არ გამიმართლა". პირსი უილბლობად ალბათ იმას თუ თვლის, რომ ჯადოსნური პირველი ნახევრის შემდეგ მოქანცულმა მესამე მეოთხედში სულ ორი ქულა გააკეთა.

„ბოსტონისგან" ნაგვემი „დენვერი" გაცილებით უკეთ გამოიყურებოდა 24 საათის შემდეგ მილუოკურ „ბრედლი სენთერში", თუმცდა არც იქაური მატჩის შედეგს ეთქმის დამაკმაყოფილებელი. „ნაგიტსმა" ამ ჯერზე მეტოქეს 75 ქულა აძგერა, ბარაქალა მას! ბარემ აქვე აღვნიშნოთ, რომ ჯეფ ბზდელიკის ზედისციპლინირებული გუნდი ამ სეზონში მატჩში საშუალოდ 80 ქულას აგდებს და ამ მხრივ უკონკურენტო ბოლოადგილოსანია ლიგის 29 გუნდში.

ასეთი უკბილო მეტოქის ძლევა, ისიც შინაურ ატმოსფეროში, რა ბედენაა, მაგრამ მილუოკელებმა მაინც გაიხარეს ამ გამარჯვებით, რაკი ადრენოემბრის აქეთ პირველად გააშუალედეს მოგება-წაგების ბალანსი (21 მოგება, ამდენივე მარცხის გასწვრივ). ამ შედეგით „მილუოკი" 15-გუნდა კონფერენციაში მერვეა და თუ კურსს არ გადაუხვია, წლეულს პლეი ოფშიც დაბრუნდება.

„შესანიშნავია. ჩვენ კვლავ ეკვატორზე ვართ, მაგრამ ბიჭებს ნაადრევ და უადგილო მხიარულებას ვატყობ. შარშანდელი მაგალითიდანაც ჩანს, რომ ეს დამღუპველია. წინა სეზონში ამ დროს ჩვენ დივიზიონში პირველ ადგილზე ვიყავით და გახსოვთ, როგორ დავამთავრეთ რეგულარული ჩემპიონატი? დიახ, დივიზიონში მე-5 და კონფერენციაში მე-9 ადგილით" — თქვა „ბაქსის" მწვრთნელმა ჯორჯ კარლმა.

ამ უქმეებზე წააგო ვოვა სტეფანიას „მაიამი ჰითმაც", ოღონდ, „დენვერისგან" განსხვავებით, ბრძოლაში და პატივი შეინარჩუნა. მესამე მეოთხედში სტეფანიას გუნდი 6 ქულითაც კი უგებდა ალენ აივერსონის „ფილადელფიას" — 74:68, მაგრამ „მაიამის" ჩრდილოელმა სტუმარმა მასპინძელზე უკეთ ჩაატარა მატჩის დასკვნითი ნაწილი და გამარჯვებაც მას დარჩა.

**ირაკლი ფირაშვილი**

24 იანვარი

**ლეიკერსი 83:89 ნიუ ჯერსი**
**ჩიკაგო 104:97 ვაშინგტონი**
**ჰიუსტონი 74:98 დეტროიტი**
**ნიუ იორკი 90:101 დალასი**
**ინდიანა 93:80 სიეტლი**
**იუტა 90:91 სან ანტონიო**
**ნიუ ორლეანი 96:97 პორტლენდი**
ძირითადი დრო 88:88
**მინესოტა 88:85 კლიპერსი**
**ატლანტა 115:104 საკრამენტო**
**ორლანდო 107:110 ფინიქსი**

25 იანვარი

**კლივლენდი 101:102 ატლანტა**
ძირითადი დრო 93:93
**გოლდენ სტეიტი 108:95 იუტა**
**სან ანტონიო 108:76 დეტროიტი**
**მემფისი 83:95 სიეტლი**
**ვაშინგტონი 89:97 მინესოტა**

26 იანვარი

**ჩიკაგო 100:98 ჰიუსტონი**
**ტორონტო 101:97 საკრამენტო**
**ნიუ იორკი 106:98 ფინიქსი**
**დალასი 93:100 პორტლენდი**
**ინდიანა 108:101 კლიპერსი**
**ბოსტონი 91:83 ორლანდო**



AP ფოტოქრონიკიდან

26 იანვარი ვინს კარტერის დღე იყო. „ტორონტოს" ლიდერმა, როგორც იქნა, მუხლი მოირჩინა, „საკრამენტოს" 23 წუთში 22 ქულა ჩიუგდო და თავის წყალწაღებულ გუნდს ნანატრი გამარჯვება აჩუქა

**აღმოსავლეთის კონფერენცია**

| ატლანტის დივიზიონი | | | |
|---|---|---|---|
| ნიუ ჯერსი | 29 | 14 | 67,4 |
| ბოსტონი | 26 | 18 | 59,1 |
| ფილადელფია | 23 | 21 | 52,3 |
| ორლანდო | 23 | 23 | 50,0 |
| ვაშინგტონი | 21 | 23 | 47,7 |
| ნიუ იორკი | 18 | 24 | 42,9 |
| მაიამი | 15 | 28 | 34,9 |
| **ცენტრალური დივიზიონი** | | | |
| ინდიანა | 32 | 12 | 72,7 |
| დეტროიტი | 28 | 15 | 65,1 |
| ნიუ ორლეანი | 23 | 21 | 52,3 |
| მილუოკი | 21 | 21 | 50,0 |
| ჩიკაგო | 17 | 27 | 38,6 |
| ატლანტა | 16 | 28 | 36,4 |
| ტორონტო | 11 | 33 | 25,0 |
| კლივლენდი | 8 | 36 | 18,2 |

**დასავლეთის კონფერენცია**

| შუა დასავლეთის დივიზიონი | | | |
|---|---|---|---|
| დალასი | 34 | 9 | 79,1 |
| სან ანტონიო | 28 | 15 | 65,1 |
| მინესოტა | 26 | 18 | 59,1 |
| იუტა | 25 | 18 | 58,1 |
| ჰიუსტონი | 23 | 19 | 54,8 |
| მემფისი | 13 | 30 | 30,2 |
| დენვერი | 10 | 33 | 23,3 |
| **წყნარი ოკეანის დივიზიონი** | | | |
| საკრამენტო | 32 | 13 | 71,1 |
| პორტლენდი | 27 | 15 | 64,3 |
| ფინიქსი | 26 | 19 | 57,8 |
| გოლდენ სტეიტი | 20 | 23 | 46,5 |
| ლეიკერსი | 19 | 23 | 45,2 |
| სიეტლი | 19 | 23 | 45,2 |
| კლიპერსი | 16 | 27 | 37,2 |

**წინა კვირას** ევროპაში სანაკრებო ციებ-ცხელება იყო, ამ ზაფხულს შვედეთში გასამართი ევროჩემპიონატის მონაწილეები ირკვეოდნენ.

ამ მარაქაში არ ერია საქართველოს ნაკრები, რომელსაც საკვალიფიკაციო ეტაპზევე დაუცდა ფეხი. ეს მოხდა შარშანწინ, სექტემბერში. ამის შემდეგ გაჩაღდა შესარჩევი ტურნირი, რომელმაც კონტინენტის ყოჩაღთაგან საუკეთესონი საბოლოოდ გამოარჩია. საქართველოზე, ყოჩაღთაგან შორს მდგარ გუნდზე კი იმით დავასრულოთ საუბარი, რომ წელიწადნახევრიანი უმწვრთნელობის შემდეგ ნაკრებში ახალი თავკაცის, თანაც აუცილებლად უცხოელის, გამოჩენა თებერვლის ბოლოსაა ნავარაუდევი და ეგებ მომავალში მაინც ჩანასახშივე არ მოგვესპოს პერსპექტივა.

ევროპის ჩემპიონატი. შესარჩევი ტურნირი

# შვედური მაგიდა თექვსმეტისთვის

## დანარჩენებმა ფანჯრებიდან უყურონ

მასპინძელ შვედეთსა და ჩემპიონ იუგოსლავიას იმთავითვე დაბევებული ჰქონდათ საევროჩემპიონატო საგზურები. ხუთ ჯგუფში განაწილებულმა 30-მა ქვეყანამ კი წელიწადს გაწელილი შესარჩევი ტურნირის მეშვეობით გამოარკვია სკანდინავიაში წამსვლელთა ვინაობა. ჯგუფში ორი უმჯობესი პირდაპირ გადიოდა ფინალურ ეტაპზე, შვედეთის საგზური ერგებოდა ასევე ხუთი მესამეადგილოსნიდან ოთხ საუკეთესოსაც.

მოულოდნელობა არ მომხდარა, შვედეთში თამაშის უფლება მოიპოვა ყველა იმ ნაკრებმა, ორი წლის წინ თურქეთში გამართულ ევროპის ჩემპიონატშიც რომ მონაწილეობდა. ეგაა, მასპინძელი შვედეთის გამო ნათურქეთალთაგან ერთი უნდა დარჩენილიყო განზე და ასეთი ესტონეთის ნაკრები გამოდგა, რომელიც D ჯგუფში ურთიერთშეხვედრათა გათვალისწინებით ჩამორჩა მესამე ადგილზე გასულ უნგრეთს.

ჩვენი საკვალიფიკაციო ჯგუფიდან გასულმა ბულგარელებმა ასევე ჩვენს ყოფილ მეტოქეებზე, ბელარუსებზე უკეთ იბურთავეს, თამაშების ნახევარი მოიგეს, თუმც მესამეადგილოსან უკრაინას ორი ქულით ჩამორჩნენ. მართალია, მათ სოფიაში დაამარცხეს უკრაინელები, მაგრამ ბულგარელები ვერას გახდნენ ჯგუფის ბობოლებთან (ლიტვა, თურქეთი), რომლებსაც უკრაინამ კიევში რის ვაი-ვაგლახით მოუგო.

მხოლოდ ის თუ იქნებოდა სენსაცია, ისრაელი რომ განზე დარჩენილიყო. ებრაელთა ნაკრებმა მესამე ადგილი დაიკავა B ჯგუფში და ზემოთ ნახსენებ, ასევე მესამე ადგილზე გასულ უნგრეთს ბურთების მცირე შეფარდებით აჯობა.

ერთიც — მარადბაქია რუსებმა ჯგუფში წინ იტალია და სლოვენია გაატარეს, მაგრამ ფინალურ ეტაპზე მაინც გავიდნენ. თუმც ამაზე მეტი სირცხვილი რუსებისთვის ალბათ ისაა, რომ ჯგუფის მაჩანჩალა პორტუგალიელებთან წააგეს.

საშვედეთოდ 16 გუნდს 14 თებერვალს შვედეთშივე დააჯგუფებენ.

**ირაკლი პერტაია**

**A ჯგუფი**

22 იანვარი
**ლიტვა 109:98 უკრაინა**
**თურქეთი 107:67 ჰოლანდია**
**ბულგარეთი 87:77 შვეიცარია**

25 იანვარი
**უკრაინა 86:80 ბულგარეთი**
**თურქეთი 99:102 ლიტვა**
**ჰოლანდია 74:82 შვეიცარია**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ლიტვა | 10 | 9 | 1 | 1001:765 | 19 |
| თურქეთი | 10 | 7 | 3 | 810:733 | 17 |
| უკრაინა | 10 | 7 | 3 | 834:794 | 17 |
| ბულგარეთი | 10 | 5 | 5 | 857:877 | 15 |
| შვეიცარია | 10 | 2 | 8 | 658:812 | 12 |
| ჰოლანდია | 10 | 0 | 10 | 712:891 | 10 |

**B ჯგუფი**

22 იანვარი
**ესპანეთი 85:66 ბელგია**
**საბერძნეთი 85:61 ისრაელი**
**რუმინეთი 88:47 დანია**

25 იანვარი
**ისრაელი 91:63 რუმინეთი**
**ბელგია 79:60 დანია**
**ესპანეთი 94:91 საბერძნეთი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| საბერძნეთი | 10 | 9 | 1 | 889:637 | 19 |
| ესპანეთი | 10 | 9 | 1 | 866:685 | 19 |
| ისრაელი | 10 | 5 | 5 | 738:707 | 15 |
| რუმინეთი | 10 | 4 | 6 | 657:804 | 14 |
| ბელგია | 10 | 3 | 7 | 663:751 | 13 |
| დანია | 10 | 0 | 10 | 603:832 | 10 |

**C ჯგუფი**

22 იანვარი
**ხორვატია 69:61 ბოსნია**
**ირლანდია 104:99 კვიპროსი**
**გერმანია 86:78 მაკედონია**

25 იანვარი
**ბოსნია 94:77 ირლანდია**
**გერმანია 81:73 ხორვატია**
**მაკედონია 83:65 კვიპროსი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| გერმანია | 10 | 9 | 1 | 833:709 | 19 |
| ხორვატია | 10 | 8 | 2 | 834:724 | 18 |
| ბოსნია | 10 | 6 | 4 | 826:748 | 16 |
| მაკედონია | 10 | 4 | 6 | 816:810 | 14 |
| ირლანდია | 10 | 3 | 7 | 754:815 | 13 |
| კვიპროსი | 10 | 0 | 10 | 645:902 | 10 |

**D ჯგუფი**

22 იანვარი
**საფრანგეთი 101:85 პოლონეთი**
**ლატვია 93:95 ესტონეთი**
**უნგრეთი 83:53 ბელარუსი**

25 იანვარი
**საფრანგეთი 96:78 ლატვია**
**ესტონეთი 88:75 უნგრეთი**
**პოლონეთი 68:70 ბელარუსი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| საფრანგეთი | 10 | 8 | 2 | 843:734 | 18 |
| ლატვია | 10 | 6 | 4 | 878:854 | 16 |
| უნგრეთი | 10 | 5 | 5 | 829:824 | 15 |
| ესტონეთი | 10 | 5 | 5 | 815:810 | 15 |
| ბელარუსი | 10 | 3 | 7 | 673:798 | 13 |
| პოლონეთი | 10 | 3 | 7 | 805:843 | 13 |

**E ჯგუფი**

22 იანვარი
**იტალია 70:78 სლოვენია**
**რუსეთი 94:42 ინგლისი**
**ჩეხეთი 124:116 პორტუგალია**

25 იანვარი
**ინგლისი 92:84 პორტუგალია**
**რუსეთი 63:83 იტალია**
**სლოვენია 92:80 ჩეხეთი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| იტალია | 10 | 8 | 2 | 874:669 | 18 |
| სლოვენია | 10 | 7 | 3 | 826:771 | 17 |
| რუსეთი | 10 | 6 | 4 | 852:742 | 16 |
| ჩეხეთი | 10 | 4 | 6 | 821:879 | 14 |
| ინგლისი | 10 | 3 | 7 | 656:850 | 13 |
| პორტუგალია | 10 | 2 | 8 | 804:922 | 12 |

## მსოფლიოს ჩემპიონატი. ვაჟები

**პორტუგალია. 20 იანვარი – 2 თებერვალი**

### პირველი ჯგუფური ეტაპი. საბოლოო ვითარება

**A ჯგუფი**

ესპანეთი 45:18 კუვეიტი
იუგოსლავია 28:27 ტუნისი
პოლონეთი 35:29 მაროკო
ესპანეთი 33:25 ტუნისი
იუგოსლავია 34:20 მაროკო
პოლონეთი 36:21 კუვეიტი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ესპანეთი | 5 | 0 | 0 | 157:106 | 10 |
| იუგოსლავია | 4 | 0 | 1 | 142:103 | 8 |
| პოლონეთი | 3 | 0 | 2 | 140:130 | 6 |
| ტუნისი | 2 | 0 | 3 | 131:129 | 4 |
| კუვეიტი | 1 | 0 | 4 | 98:168 | 2 |
| მაროკო | 0 | 0 | 5 | 113:145 | 0 |

**C ჯგუფი**

უნგრეთი 35:23 არგენტინა
ხორვატია 23:22 საფრანგეთი
რუსეთი 34:17 ს. არაბეთი
ხორვატია 30:29 უნგრეთი
საფრანგეთი 31:15 რუსეთი
ს. არაბეთი 31:30 არგენტინა

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ხორვატია | 4 | 0 | 1 | 135:125 | 8 |
| საფრანგეთი | 4 | 0 | 1 | 147:103 | 8 |
| რუსეთი | 2 | 1 | 2 | 132:132 | 5 |
| უნგრეთი | 2 | 0 | 3 | 154:138 | 4 |
| არგენტინა | 1 | 1 | 3 | 127:156 | 3 |
| ს. არაბეთი | 1 | 0 | 4 | 114:155 | 2 |

**B ჯგუფი**

ისლანდია 42:22 ყატარი
გერმანია 37:29 პორტუგალია
ავსტრალია 26:21 გრენლანდია
გერმანია 34:29 ისლანდია
პორტუგალია 42:20 ავსტრალია
ყატარი 28:23 გრენლანდია

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| გერმანია | 5 | 0 | 0 | 191:111 | 10 |
| ისლანდია | 4 | 0 | 1 | 185:116 | 8 |
| პორტუგალია | 3 | 0 | 2 | 164:126 | 6 |
| ყატარი | 2 | 0 | 3 | 116:159 | 4 |
| ავსტრალია | 1 | 0 | 4 | 100:192 | 2 |
| გრენლანდია | 0 | 0 | 5 | 100:152 | 0 |

**D ჯგუფი**

შვედეთი 32:28 ალჟირი
სლოვენია 30:27 ბრაზილია
დანია 35:26 ეგვიპტე
სლოვენია 35:25 ალჟირი
შვედეთი 32:28 დანია
ეგვიპტე 31:24 ბრაზილია

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| შვედეთი | 4 | 0 | 1 | 147:129 | 8 |
| დანია | 4 | 0 | 1 | 146:125 | 8 |
| სლოვენია | 3 | 0 | 2 | 144:137 | 6 |
| ეგვიპტე | 2 | 1 | 2 | 132:139 | 5 |
| ალჟირი | 0 | 2 | 3 | 119:136 | 2 |
| ბრაზილია | 0 | 1 | 4 | 118:140 | 1 |

# ზოგი წინ, ზოგი შინ
## მთავარი ახლა იწყება

წინასწარი, 24-გუნდა ჯგუფური ეტაპის გმირი ხორვატიის ნაკრები გახდა. ექსიუგოსლავიელებმა პირველ ტურში საშუალოძალოვან არგენტინასთან მოულოდნელი მარცხის შემდეგ მიყოლებით სძლიეს დანარჩენ ოთხივე მეტოქეს, მათ შორის მსოფლიოს ჩემპიონ ფრანგებს, 2000 წლის სიდნეის ოლიმპიური თამაშების ტრიუმფატორ რუსებს და ყველაზე ძლიერ ჯგუფში პირველობაც მოიპოვეს. ასეთი სენსაციური მიღწევის შედეგად ხორვატიელი ხელბურთელები, რომლებიც ბოლო შვიდი წელი მხოლოდ საუკეთესოთა ათეულის მიდამოებში ტრიალით იფარგლებოდნენ და, ცხადია, ფავორიტთა შორისაც არავინ ასახელებდა, სადღეისოდ პორტუგალიური პოდიუმის რეალურ პრეტენდენტებად იქცნენ.

მათ გარდა ყოველ ტურში გამორჩეული ყურადღების ცენტრში იყო რუსთა ნაკრები, ოღონდ ამჯერად თავისი უსახური შედეგიანობის გამო. ვლადიმირ მაქსიმოვის გუნდი, რომლის ყოველი მეორე წევრი ევროპის წამყვან კლუბში თამაშობს, მსოფლიო ფორუმისთვის სათანადოდ მომზადებული ვერ აღმოჩნდა და მართალია, ჯგუფიდან რის ვაივაგლახით გააღწია, მაგრამ რაკი ხორვატიასთან წაგება (26:28) მომდევნო ეტაპზე გადაჰყვა, ნახევარფინალში გასვლის შანსი პრაქტიკულად თავიდანვე გადაეწურა და ალბათ მხოლოდ მეხუთე ადგილისთვისღა თუ იბრძოლებს. ხუთეულში მოხვედრა კი მართალია, მედალს არა, მაგრამ საგაისო ათენის ოლიმპიადის საგზურს იძლევა.

გათამაშების მეორე, ასევე წრიულ ეტაპზე გასული 16 ნაკრები ისევ ოთხ ჯგუფში განაწილდა:

I — ესპანეთი (2 ქულა), ისლანდია (2), პოლონეთი (0), ყატარი (0);

II — გერმანია (2), იუგოსლავია (2), პორტუგალია (0), ტუნისი (0);

III — ხორვატია (2), დანია (2), რუსეთი (0), ეგვიპტე (0);

IV — საფრანგეთი (2), სლოვენია (2), შვედეთი (0), უნგრეთი (0).

ყველაზე დაძაბული ბრძოლაა მოსალოდნელი მეოთხე ჯგუფში, სადაც ლამის ოთხივე პრეტენდენტს აქვს საპლეიოფო შანსი, თუმც შესაძლოა, ყველაფერი ხვალ, პირველივე ტურში საფრანგეთ — სლოვენიის დაპირისპირებამ გაარკვიოს.



ხორვატთა შეტევებს ხანდახან სამი ფრანგიც ვერ უმკლავდებოდა





2002 წლის საუკეთესო მორაგბე ფაბიენ გალტიე კუთვნილი პრიზით

# ყი-ყლი-ყო!
# ყველაფერი საუკეთესო ფრანგებს
## ჩახედე მეგობარს თვალებში და ჰკითხე, რამე რომ იყოს, შემჭამ?

*რაგბის საერთაშორისო საბჭომ (IRB) შარშანდელი წლინადი აგერ, ახლა, კვირადღეს შეაჯამა და ლონდონში დიდად სასეირო დაჯილდოების ცერემონიალიც მოაწყო. საგანგებო, 10-კაციანმა ჟიურიმ 2002 წლის საუკეთესოები დაასახელა*

შოუ-დაჯილდოება „ლენდმარკ ოტელში" გაიმართა. 300-მდე სტუმარში რაგბის ცოცხალი ლეგენდებიც იყვნენ: უელსელები — გარეტ ედვარდსი, სკოტ ქვინელი და ჯერალდ დევისი, ირლანდიელი კიტ ვუდი, ფრანგები — ფილიპ სელა, ფაბიენ პელუ, ავსტრალიელი ჯონ ილზი და ინგლისელი ბილ ბიმონტი.

IRB-ის ჟიურიმ 2002 წლის საუკეთესო მორაგბედ საფრანგეთის ნაკრების კაპიტანი ფაბიენ გალტიე დაასახელა. ამ ნომინაციაში „მამლების" ნახევარმცველი აშკარა ფავორიტი იყო. გალტიე სხვებზე მეტად გამოირჩა შარშანდელ ექვს ერზე და ტესტ-მატჩებშიც ბრწყინვალედ ითამაშა. მან „ღმერთად" წოდებულ ბრაიან ოდრისკოლს (ირლანდია), რიჩარდ მაკქოუს (ახალი ზელანდია) და ჯო ვან ნიკერკს (სამხრეთ აფრიკა) აჯობა.

წლის გუნდად საფრანგეთის ნაკრები დასახელდა. ფრანგებმა „დიდი სლემით" (ყველა მატჩის მოგებით) იჩემპიონეს ექვს ერზე. ჟიურიმ ისინი ამჯობინა სამი ერის გამარჯვებულ ახალ ზელანდიას და საშემოდგომო ტესტ-სერიებში ბრწყინვალედ მოთამაშე ინგლისის ნაკრებს, რომელმაც ევროპას ნასტუმრევ სამივე სამხრეთულ გრანდს — ახალ ზელანდიას, ავსტრალიასა და სამხრეთ აფრიკას საარაკო ტესტები მოუგო.

წლის მწვრთნელიც „მამლებისა" ითქვა — ბერნარ ლაპორტი, რომელსაც კონკურენცია ვერ გაუწიეს ჯონ მიტჩელმა (ახალი ზელანდია) და კლაივ ვუდვორდმა (ინგლისი).

საუკეთესო შვიდკაცა ნაკრების ნომინაციაში ახალმა ზელანდიამ გაიმარჯვა. საუკეთესო ახალგაზრდა (21 წლამდელი) მორაგბედ სამხრეთაფრიკელი პატ ბერნარი აღიარეს. ახალზელანდიელი ვუნდერკინდი ლიუკ მაკალისტერი ჭაბუკებში (19 წლამდელებში) გამოარჩიეს.

ახალზელანდიელივე მონიკა ჰიროვანა საუკეთესო ქალი მორაგბე გახდა.

ნომინაციამ „რაგბის სული" შეკრებილთ 30 წლის წინანდელი ტრაგედია გაახსენა.

1972 წლის 13 ოქტომბერს მონტევიდეო-სანტიაგო ავიარეისის თვითმფრინავს კატასტროფა შეემთხვა. თვითმფრინავში მონტევიდეოს სარაგბო კლუბ „ოლდ ქრისჩიანზის" წევრები ისხდნენ, სულ 18-19 წლის ბიჭები. ისინი ჩილეში მიდიოდნენ ამხანაგური მატჩების სათამაშოდ.

ანდებზე გადაფრენისას აერობუსი მწვერვალს დაეჯახა და ორ ნაწილად გახლეჩილი ანდების ფერდობებზე დაენარცხა. ცოცხლად გადარჩენილებს მაშველები 69 დღე ეძებდნენ და რვა მათგანი იპოვეს.

19 წლის ბიჭებმა სიცოცხლის შესანარჩუნებლად ჯოჯოხეთური გზა გაიარეს. მათ თავიანთი დაღუპული მეგობრების შეჭმაც მოუხდათ. ვინც ეს ვერ შეძლო, შიმშილით მოკვდა. მაშინ ეს ამბავი არ გახმაურდა, მაგრამ მერე გადარჩენილებმა არ დამალეს, დაღუპულ მეგობრებთან პირნათელნი უნდა ვიყოთო.

მათ აღორძინეს გუნდი და მომდევნო 14 სეზონში „ოლდ ქრისჩიანზი" 12-ჯერ გახდა ქვეყნის ჩემპიონი.

30 წლის შემდეგ „რაგბის სულის" პრიზი სიკვდილს სასწაულებრივ გადარჩენილმა მონტევიდეოელებმა — გუსტავო სერბინომ და რობერტო კანესამ ჩაიბარეს. დღეს სერბინო წარმატებული ბიზნესმენი და ურუგვაის რაგბის კავშირის ექს-პრეზიდენტია. „ეს აღიარება დაღუპული ბიჭების სახელს უკვდავყოფს" — თქვა აცრემლებულმა კანესამ.

**ბაჩო სვანიძე**



გადარჩენილი ურუგვაელები, რობერტო კანესა, ხავიერ მეთოლი და როი ჰარლი 30 წლის წინანდელ ტრაგედიაზე დღესაც იცრემლებიან



# ანანდმა საქალემთი პოლგარისგან იხსნა

ინდოელ დიდოსტატ ვიშვანათან ანანდის გამარჯვებით დასრულდა ჰოლანდიაში გამართული ვეიკ-ან-ზეეს ტრადიციული სუპერტურნირი.

იქ შეკრებილთაგან უპირველესად გამოსარჩევნი იყვნენ მსოფლიოს ორი მოქმედი ჩემპიონი — რუსლან პონომარიოვი (ფიდე) და ვლადიმირ კრამნიკი (კლასიკური ჭადრაკი), ორი ექს-ჩემპიონი — ანანდი, კარპოვი და ვიცე-ჩემპიონი შიროვი.

ყველასთვის მოულოდნელად, ძალიან მოისუსტა ორივე მსოფლიოს ჩემპიონმა. პონომარიოვი მეათე ტურამდე სულაც ბოლოსწინა ადგილზე იყო, შემდეგ სამი გამარჯვებით ცოტა გამოიკეთა მდგომარეობა, მაგრამ ბოლო ტურში ივანჩუკთან დამარცხდა და ეს ფიდეს ფავორიტი მეათე-მეთერთმეტე ადგილებს დასჯერდა. პონომარიოვს გვერდი დაუმშვენა აწ უკვე ჩამქრალმა ვარსკვლავმა კარპოვმა. კარპოვის დარად, სუსტად ისპარეზა კიდევ ერთმა ვეტერანმა ტიმანმა, რომელმაც ერთი პარტიაც ვერ მოიგო და ბოლო ადგილზე გავიდა. 15 წლის ბაქოელ თეიმურაზ რაჯაბოვისთვის კი მე-9 ადგილი ალბათ არ უნდა იყოს ურიგო შედეგი. ვეიკ-ან-ზეეს შემდეგ აზერბაიჯანელი ვუნდერკინდი უფრო დიდ, ლინარესის ტურნირზეა მიწვეული.

ვეიკ-ან-ზეეს ჩემპიონმა ანანდმა ნახევარი ქულით აჯობა ტურნირის მონაწილე ერთადერთ მანდილოსან იუდიტ პოლგარს. ინდოელმა ერთპიროვნული ლიდერობა მეშვიდე ტურში მოიპოვა და დარჩენილ თამაშებში ამ ადგილის შესანარჩუნებლად იბრძოლა. გადამწყვეტი პარტია ინდოელ ვეფხვად წოდებულ ანანდს ბოლოსწინა ტურში სწორედ იუდიტ პოლგართან ჰქონდა. ყაიმმა ანანდს ჩემპიონობა და საპრიზო 10 ათასი ევრო მოუტანა. ვიცე-ჩემპიონ პოლგარს 7 ათასი ევრო ერგო.

**ლაშა გეგეჭკორი**



იუდიტ პოლგარმა და ვიშვანათან ანანდმა ვეიკ-ან-ზეე გაინაწილეს

# ვალერი ბრუმელის სიკვდილი



სარბიელის არქივიდან

1964, ტოკიო. ვალერი ბრუმელი ოლიმპიური ჩემპიონია

**მოსკოვში** სამოცი წლისა გარდაიცვალა ვალერი ბრუმელი, დიდი რუსი სპორტსმენი, ოლიმპიური ჩემპიონი სიმაღლეზე ხტომაში.

ბრუმელი მსოფლიომ გაიცნო 1960 წელს, რომის ოლიმპიადაზე, სადაც ჩემპიონი რობერტ შავლაყაძე გახდა, 18 წლის ბრუმელი კი მეორე ადგილზე გავიდა. ბრუმელი ძალიან პოპულარული იყო ხალხში და უკვე ოცი წლისა მსოფლიოს საუკეთესო სიმაღლეზე მხტომელად ითვლებოდა.

1964 წელს ბრუმელი ტოკიოს ოლიმპიადის ჩემპიონი გახდა, მაგრამ უკვე 23 წლისა მძიმე ავტოკატასტროფაში მოჰყვა და ჩვეული სპორტული ფორმა ველარ აღიდგინა.

ფაქტობრივად დაკოჭლებულმა, ქირურგ ელიზაროვის უნიკალური ოპერაციების წყალობით, ბრუმელმა მაინც შეძლო სტადიონზე გასვლა და მაინც აიღო ორ მეტრზე მაღალი ნიშნული, რითაც დაამტკიცა, რომ დიადი სპორტსმენი იყო. ბრუმელი სამჯერ ზედიზედ, 1961-63 წლებში აღიარეს მსოფლიოს საუკეთესო სპორტსმენად და ბოლო დრომდე ლეგენდარულ ფიგურად რჩებოდა მძლეოსანთათვის და მასმედიისთვის. ამას ხელს უწყობდა ბრუმელის ხასიათიც — ის იყო ჯენტლმენი, რომელიც არასდროს ტრაბახობდა, თუმცაღა რჩებოდა უაღრესად ღირსეულ კაცად.



სარბიელის არქივიდან

რომში რობერტ შავლაყაძე პირველი იყო, ბრუმელი — მეორე

## ამერიკული ფეხბურთი



REUTERS სან დიეგოდან



REUTERS სან დიეგოდან

# 37-ე სუპერამერიკული



ამერიკა დუმდება წელიწადში მხოლოდ ერთ საღამოს და ამერიკა ჩერდება წელიწადში მხოლოდ ერთ საღამოს. ეს ხდება ხოლმე იანვარში, როცა ქვეყნის ერთს რომელიმე ქალაქში იმართება სუპერბოული, ამერიკული ბურთაობის დიდი ფინალი.

ამჯერად მასპინძელი სან დიეგო იყო, „კუალკომის" სტადიონი. ერთმანეთის პირისპირ კი იდგნენ „ოკლენდ რაიდერზი" და „ტამპა ბეი ბუკანიერზი". ოკლენდელები ფავორიტებად მიიჩნეოდნენ, თუმცაღა ყველა აღიარებდა ტამპელთა მწვრთნელის ჯონ გრუდენის ნიჭიერებას, რომელმაც თავის სადებიუტო სეზონში სასწაული შეძლო და სუპერბოულამდე მიიყვანა გუნდი.

თამაში დიდებული გამოვიდა: მასში ფრენაც იყო და ჯაჯგურიც. აი, ტამპელი (85) კენ დილჯერი ასე მიფრინავდა ხაზისკენ, ოკლენდელი ერიკ ჯონსონი კი ასე. სუპერბოული დიდებული შოუც იყო: თამაშის წინ კარლოს სანტანა და ბიონს ნოულესი ატკბობდნენ ხალხს, დიდი შესვენებისას კი გვინ სტეფანი და სტინგი.

საბოლოოდ, ტამპელებმა გვარიანი სხვაობით 48:21 მოიგეს და ისტორიაში პირველად შეიქნენ ჩემპიონები. სამაგიეროდ, არეულობა შეიქნა ოკლენდში, სადაც ფავორიტთა მარცხით აღშფოთებულმა ხალხმა ქუჩებში ბარიკადების გამართვა დაიწყო და იქაური პოლიცია მთელ ღამეს ფეხზე იდგა.

ესეც, რა თქმა უნდა, სუპერბოულში შედის.



REUTERS სან დიეგოდან



REUTERS სან დიეგოდან


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ პოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ლარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ვაჟა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, დავით ბიბილაშვილი, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, დავით კვაჭანტირაძე, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbiell.com.ge